საქართველოს მთავრობა - მეხანძრეების გუნდი A8

ევროისტორია B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 5 დეკემბერი, 2002 წელი. №186

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### გურამ შარაძეს, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე უთხრეს

*სამწუხაროა, ბატონო გურამ, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის ესოდენ ფაქიზ გრძნობებს საკუთარი პოპულისტური მიზნებისთვის ასე აქტიურად იყენებთ.*

A3

## ეკონომიკა

### „აზოტი„ მომავალ საპარლამენტო არჩევნებს ემსხვერპლა

*"იტერასთან" ორი დღის წინ დადებულმა გარიგებამ, რომელიც ამ კომპანიისთვის "აზოტის" სიმბოლურ ფასად გადაცემით დაგვირგვინდა, არაერთგვაროვან შეფასებები დაიმსახურა. ზოგი ექსპერტი, მთავრობის პოზიციას იზიარებს და მიაჩნია, რომ "აზოტს" ყველაზე კარგად, სწორედ რუსული "იტერა" მოუვლის.*

A4

## უცხოეთი

### აშშ-ევროპა: პარტნიორები თუ მეტოქეები?

*საერთო ღირებულებების მიუხედავად, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ამერიკელ და ევროპელ პოლიტიკოსთა მოსაზრებები ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავდება. ტრანსატლანტიკური აზრთა სხვადასხვაობა და მისი მიზეზები ძველ მოკავშირეებში დიდ შეშფოთებას იწვევს.*

A5

## საზოგადოება

### „ნავთობსადენი რომ არ ყოფილიყო, მოვიგონებდი"

*აჭარის ავტონომიის წარმომადგენლობაში გუშინ გამართული შეხვედრა საზოგადოებისთვის ნათელ და უკვე მობეზრებულ ქართულ ნავთობტრილერს ეძღვნებოდა.*

A6

## სამართალი

### სადი შარიფოვის გატაცება, შესაძლოა, „ლუკოილით" დაინტერესებას უკავშირდებოდეს

სამშაბათს "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის ვაგიტ შარიფოვის მამის, 79 წლის სადი შარიფოვის, გატაცება დაემთხვა რუსეთის ხელისუფლების მიერ ლონდონის ბირჟაზე კომპანიის აქციათა პაკეტის ნაწილის გატანას.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 12 |
| ქუთაისი | 17 |
| ბათუმი | 19 |
| სოხუმი | 17 |
| ფოთი | 19 |
| თელავი | 7 |
| ზუგდიდი | 18 |
| გორი | 7 |
| ახმეტა | 7 |
| ჭიათურა | 11 |
| გაგრა | 17 |
| სამტრედია | 17 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1700 |
| ევრო | 2.1629 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3861 |
| რუბლი | 0.0681 |

# ზოდელავას გადადგომამდე, "ლეიბორისტები" დედაქალაქის მთავრობას არ დაამტკიცებენ

ვახტანგ ბასილაია ფოტო

*აქცია მერიის წინ*

*"ლეიბორისტები" თბილისის მერის წინააღმდეგ ახალ კამპანიას იწყებენ და ვიდრე ზოდელავა არ გადადგება, დედაქალაქის მთავრობის დაკომპლექტებაში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ. გუშინ "ლეიბორისტებმა" მერიის წინ გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. თუ პრეზიდენტი ზოდელავას არ გადააყენებს, "ლეიბორისტები" ფართომასშტაბიან აქციებს კანცელარიის შენობასთანაც მოაწყობენ. კულუარული ინფორმაციით, "ლეიბორისტული" აქცია სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში დაიგეგმა.*

სოფო ბუკია

**"თბილისს ვანო არ სჭირდება", "მოგვეშვი, კორუმპირებულო მერო", "ზოდელავა თბილისის მესაკუთრე ვერ გახდება", "ძირს ხალხის ფულით გამდიდრებული მერი",** - მსგავსი ლოზუნგებით ხელდამშვენებული ათასამდე თბილისელი გუშინ მერიის წინ მყუდროებას არღვევდა.

თბილისის მერის მიერ **"აბუჩად აგდებულ ხალხს"** გუშინ "ლეიბორისტებმა" მოუყარეს თავი. შრომის

გაგრძელება A2 გვერდზე

## ასევე ხდება - საქართველოს რუსეთი ყურით უჭირავს

გიორგი ასანიშვილი

*რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში პოლიტიკური თამაშის პირობებს, როგორც წესი, მოსკოვი კარნახობს. თუმცა, წესს გამონაკლისიც აქვს - მართალია, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ საქართველოს ხელისუფლებასაც ეძლევა თავის ჩრდილოელ მეზობელზე ზემოქმედების შესაძლებლობა. როგორც ჩანს, ამჯერად სწორედ ასეთ გამონაკლისთან გვაქვს საქმე: რუსეთს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანება სურს, ეს კი, ამავე ორგანიზაციის წესდების თანახმად, მხოლოდ WTO-ს ყველა წევრის კონსენსუსის საფუძველზე შეიძლება მოხდეს. ამდენად, საქართველოს საკმაოდ სერიოზული ბერკეტი ეძლევა იმისთვის, რათა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრინებისთვის მხარდაჭერის სანაცვლოდ, მოსკოვისგან გარკვეულ პოლიტიკურ დათმობებს მიაღწიოს. საქართველოს პარლამენტში მიაჩნიათ, რომ ასეთი შესაძლო დათმობები, უპირველესად, აფხაზეთის პრობლემატიკასთან უნდა იყოს დაკავშირებული.*

*გიორგი ბარამიძის მიერ დეპუტატებისთვის განსახილველად შეთავაზებული დადგენილების პროექტის მიხედვით, საქართველომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაუჭიროს მხარი WTO-ში რუსეთის მიღებას, თუ ეს უკანასკნელი შეწყვეტს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ დისკრიმინაციულ ქმედებებს. ასეთი ქმედებების ნიმუშად დოკუმენტში, კერძოდ, დასახელებულია: 1) სოხუმისა*

გაგრძელება A3 გვერდზე

## "ეი-ი-ეს"-ი ხელისუფლებას "ტვირთად დააწვა"

თამარ ხორბალაძე

**"რუსეთშიც არიან კომპანიები, რომლებიც კარგად მუშაობენ და აშშ-შიც არიან კომპანიები, რომლებიც მუშაობენ ცუდად. AES-ის შემოსვლას საქართველოში აპლოდისმენტებით შევხვდით, მაგრამ დღეს იგი ტვირთად დააწვა საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ 300 მილიონის ინვესტიცია განახორციელა. დღეს იგი იძულებულია, წავიდეს საქართველოდან..."** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მას შემდეგ, რაც "აზოტის" "იტერასთვის" გადაცემა მოიწონა.

ამ კომენტარს წინ უძღოდა სახელმწიფო მინისტრის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ **"დროა, სახელმწიფომ ურთიერთობები გაარკვიოს "ეი-ი-ეს-თელასთან." არ შეიძლება, კომპანიის ფინანსური ინტერესები პოლიტიკური ვაჭრობის საგანი ხდებოდეს."**

ასეთი განცხადებები მთავრობამ გააკეთა გუშინ, ზამთრის პირველ თვეს. გააკეთა მაშინ, როცა ზამთრის პიკი ჯერ კიდევ წინაა.

საინტერესოა, რომ ეს განცხადება დაემთხვა სამთავრობო კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ენერგეტიკულ სფეროში ინტერესთა გამიჯვნისა და ახალი მმართველი ძალების შემოსვლის დრო დგება.

ამ თვალსაზრისით საინტერესო გახლდათ ამ დღეებში "იტერასთან" დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებიც.

აღსანიშნავია მთავრობის გუშინდელ სხდომაზევე გახმოვანებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მთავრობის უახლოესი სხდომა მთლიანად მიეძღვნება ენერგეტიკის თემას, რასაც, შესაძლოა, არა მხოლოდ ენერგეტიკის სფეროს მესვეურთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, არამედ თავად სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმებაც მოჰყვეს.

იმ სიტუაციაში, როცა "აზოტი" რუსული კომპანიის ხელში გადადის, "თბილგაზის" საკითხიც გაურკვეველია და მოვლენათა არანაირი განვითარება მოულოდნელი არ არის, "ეი-ი-ეს"-ი კი დღემდე ერთადერთი სერიოზული ამერიკული კომპანიაა საქართველოს ბაზარზე, პრეზიდენტის განცხადება საკმაოდ უცნაური და მოულოდნელი გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ხმები

გაგრძელება A3 გვერდზე

## "გარდიანის" ლიტერატურული პრიზის მფლობელი

*ჯონათან საფრან ფოერი*

## „რუსთავის ყაჩაღურ არჩევნებს დამკვირვებლის სიცოცხლე შეეწირა„

**ზურაბ ჭიაბერაშვილი: "თუ ცესკო რუსთავში არჩევნებს ჩატარებულად მიიჩნევს, "სამართლიანი არჩევნები" სასამართლოს მიმართავს"**

ვერიკო თევზაძე

"სამართლიანი არჩევნებისა" და "დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რუსთავის 30 ნოემბრის არჩევნების მსვლელობისას უხეში დარღვევები დააფიქსირეს. მათივე ინფორმაციით, ამ "ყაჩაღურ არჩევნებს" დამკვირვებლის - მედეა ბერაძის სიცოცხლე შეეწირა. **"არჩევნების დასრულების შემდეგ ქალბატონმა მედეამ მითხრა, რომ სახლში დაბრუნების ეშინოდა... ისიც კი გამანდო, რომ ასი ლარი შეაძლიეს. ეს თანხა ჩემი ოჯახისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორ ვიკადრებდიო",** -განაცხადა ერთ-ერთმა დამკვირვებელმა კახა ლომაიამ. მან ჟურნალისტებს ისიც აუწყა, რომ მედეა ბერაძეზე ზემოქმედებას ახდენდნენ ნათესავის - ბიცოლას მეშვეობით, რომელიც საარჩევნო კომისიის წევრი იყო.

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლის, რუსუდან ხორგუაშვილის განცხადებით, 30 ნოემბერს, დღის მეორე ნახევარში, მის მობილურ ტელეფონზე დაფიქსირდა ანონიმური ზარები: **"მუქარის ტონით ჩემგან მოითხოვდნენ, რომ გამეჩერებინა მედეა ბერაძე, რომელიც მათ პრობლემებს უქმნიდა."** "სამართლიანი არჩევნების" აღმოსავლეთ საქართველოს კოორ-

გაგრძელება A3 გვერდზე

## ავტოქარხნის დირექტორი გაუჩინარდა

თამარ კაციტაძე

მესამე დღეა, ქუთაისის ავტოქარხნის დირექტორი ამირან ნაცვლიშვილი არც სამსახურში გამოჩენილა და არც ოჯახში. სარწმუნო წყაროს ცნობით, იგი ორშაბათს საღამოს საკუთარი ავტომანქანით თბილისისკენ მიმავალი ნახეს. ორი დღის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელის შესახებ ახლობლებმა და ოჯახის წევრებმა ვერაფერი გაიგეს, ოჯახის წევრებისა და ახლობლების გარდა, ქალაქის მთავრობაც ცდილობს დაკარგულ დირექტორთან დაკავშირებას, მაგრამ ამირან ნაცვლიშვილის ხმა ჯერ არავის გაუგია - მისი მობილური ტელეფონი, მესამე დღეა, მუდმივად გამორთულია.

არასამთავრობო ორგანიზაცია "მოძრაობა იმერეთის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორმა ამირან ნაცვლიშვილმა ქარხნის ხარჯზე საკმაოდ დიდი ქონების დაგროვება მოახერხა: **"ნაცვლიშვილს მოსკოვსა და თბილისში კეთილმოწყობილი საცხოვრებელი**

გაგრძელება A7 გვერდზე

## როგორ ამტკიცებდა რუსეთის პროკურატურა ზაკაევის დანაშაულს

ფოთა უტიაშვილი

დანიის ხელისუფლების გადაწყვეტილებამ, აჰმად ზაკაევის გათავისუფლების შესახებ, მოსკოვის აღშფოთება გამოიწვია. საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრებმა ცალცალკე განაცხადეს, რომ კოპენჰაგენის ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურად არის მოტივირებული. რუსეთის გენერალუმა პროკურატურამ კი დანია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის "მეტად თავისებურ ინტერპრეტაციაში" დაადანაშაულა.

თავის მხრივ, დანიის იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ექსტრადიციისათვის არასაკმარისი იყო. ჯერ ერთი, დოკუმენტების ინგლისური და დანიური ვერსიები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, თანაც არეულ-დარეული გახლდათ მოწმეთა ჩვენებებიც. ბევრი მათგანი კი ყურმოკრულ ამბებს ეყრდნობდა. ზაკაევს ბრალი 94-96 წლებში ჩადენილ დანაშაულებში ედებოდა, თუმცა, ჩვენებები და სხვა სამხილები მოპოვებული იყო მხოლოდ 30 ოქტომბრის (ზაკაევის დაკავების თარიღის) შემდეგ.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ევროისტორია B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** დღეს სტრასბურგში ვიზიტით მყოფი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის სხდომაზე მოხსენებით გამოვა. ნადარეიშვილი სტრასბურგში ევროსაბჭოს მიწვევით იმყოფება. იგი ევროსაბჭოს გააცნობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მისეულ ხედვას. კერძოდ, დაასაბუთებს გაერო-ს წესდების მე-7 პუნქტის ამოქმედების აუცილებლობას, რომელიც მშვიდობის ძალის გამოყენებით დამყარებას ითვალისწინებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** იმისათვის, რომ გაირკვეს, ვინ არის დამნაშავე არჩევნების გაყალბებაში, მოქალაქეთა კავშირი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე მოქალაქეთა კავშირის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მამუკა არეშიძემ განაცხადა, საჭიროა შეიცვალოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მთელი შემადგენლობა და შეიქმნას ახალი საარჩევნო კოდექსი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახალი პრემიერ-მინისტრი გენადი გაგულია აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღიარების მიღწევას აპირებს. "ყველა აფხაზის, რომელიც ხელისუფლებაში მოდის სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს ის, რომ ქვეყანამ ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოებრიობა მიიღოს", - აცხადებს გენადი გაგულია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრი საფარ აბიევი საქართველოს დეკემბრის პირველ ნახევარში ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში ხელმოსაწერად მზადდება შეთანხმება ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ განვრთნილი საქართველოს შეიარაღებული ძალების საარტილერიო ნაწილი სწავლებას დაასრულებს. არტილერისტთა პირველი ნაკადის გამოშვებას ვაზიანის სანვრთნელ ბაზაზე თავდაცვის მინისტრი და სამინისტროს მაღალჩინოსანი პირები დაესწრებიან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 5 დეკემბერს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე რიგაში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ნატო-ს გაფართოების პერსპექტივებთან დაკავშირებულ ორდღიან კონფერენციაში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ფინანსური პრობლემების გამო ვერ მიემგზავრება პორტუგალიაში, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს სხდომაში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ ოთხშაბათს განაცხადა, რომ არ გააჩნია მონაცემები, რუსეთის შინაგან საქმეთა და კომუნიკაციების სამინისტროების გეგმების თაობაზე, რომლითაც სოხუმი-ადლერის სარკინიგზო მარშრუტი უნდა შემუშავდეს. როგორც კაკაბაძე ამბობს, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, ასევე, "საერთაშორისო სამართლისა და მსოფლიოში დამყარებული პრაქტიკის" გათვალისწინებით, ასეთი რამ დაუშვებელია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო ხუთშაბათს, საზღვრის დარღვევისათვის დაკავებული სამი ჩეჩენის ექსტრადიციის საკითხს განიხილავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთსა და ქუთაისში ქარიშხლით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისა და მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად თანხების მობილიზაციის მიზნით ხუთშაბათს, მთავრობა პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების შეტანის წინადადებებით წარდგება. **პრაიმ-ნიუსი**

## "გაერთიანებული დემოკრატების" დელეგაცია გერმანიაში

"გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია და პარტიის გენერალური მდივანი გიორგი გაბაშვილი, გერმანიის ინდუსტრიის კავშირის მიწვევით, ბერლინში იმყოფებიან.

2 დეკემბერს ზურაბ ჟვანიამ მონაწილეობა მიიღო გერმანიის ეკონომიკის აღმოსავლეთის ფორუმის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიალში, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ რუსეთის, სერბიისა და რუმინეთის პრემიერ-მინისტრები. ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდა გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროიდერი.

3 დეკემბერს ზურაბ ჟვანია შეხვდა გერმანიის პარლამენტის თავმჯდომარეს - ბატონ ვოლფგანგ ტირზეს, ბუნდესტაგის ფრაქციების წარმომადგენლებს და პარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარეს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს ფოლკერ რუეს. საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ვითარებას კონფლიქტურ რეგიონებში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, აგრეთვე, გერმანია-საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს.

4 დეკემბერს ზურაბ ჟვანია შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს შარიოტს.

## „აფხაზეთს სულ მალე აღიარებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ„

### დარწმუნებულია მარი ელში სოხუმის "სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი"

ზაზა წულაძე

*იმ ფონზე, როცა რუსეთი ყოველთვიურად გვიყენებს ულტიმატუმებს, საქართველოში იჩქერიის არაოფიციალური წარმომადგენლობისა და ჰუმანიტარული საზოგადოებების ფუნქციონირების გამო, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება, ყოველგვარი პრობლემების გარეშე, საკუთარ "საელჩოებს" ხსნის რუსეთის დედაქალაქში და ფედერაციის სუბიექტების ტერიტორიებზე. 17 ნოემბერს, სახელმწიფო მინიტრის, ავთანდილ ჯორბენაძის გალის რაიონის სოფელ საბერიოში სტუმრობისას, აფხაზეთის დეფაქტო ვიცე-პრემიერმა და ეკონომიკის მინისტრმა ბესლან კუბრავამ გვითხრა, რომ* ***"აფხაზეთის საელჩო მარი ელის რესპუბლიკის დედაქალაქ იოშკარ-ოლაშიც გაიხსნა".*** *მარი ელში უმეტესად რუსები, მარიელელები და თათრები ცხოვრობენ. მარიელების ქვეყანა (ელ – მარიულად ქვეყანას ნიშნავს) მე-14 საუკუნიდან შედის რუსეთის შემადგენლობაში, ფედერაციის სუბიექტი კი 1992 წლიდან გახდა, როცა ყოფილი ავტონომია ოფიციალურად რესპუბლიკად გამოცხადდა. როგორც "24 საათმა" გაარკვია, იოშკარ-ოლაში აფხაზეთის საელჩო 1 სექტემბრიდან ფუნქციონირებს, "ელჩი" კი ადგილობრივი რუსი, იოშკარ-ოლას მთავარი ბაზრის დირექტორი ანდრეი ბარანიუკი ყოფილა. "ელჩთან" დაკავშირებაში მარი ელის საინფორმაციო სააგენტო დაგვეხმარა.*

**- ბატონო ბარანიუკ, როგორ შეხვდა მარი ელის ხელისუფლება იოშკარ-ოლაში აფხაზეთის საელჩოს გახსნას, რუსეთის ფედერაცია ხომ აფხაზეთს დღემდე საქართველოს ნაწილად აღიარებს...**

- მარი ელის ხელისუფლებას არანაირი რეაქცია არ ჰქონია, არც მოულოცავთ და არც წინააღმდეგობა გაუწევიათ. თუმცა, ეს პრობლემა არ არის, მე გახლავართ აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ელჩი მარი ელში, მაქვს შესაბამისი საბუთიც. რაც შეეხება იმას, რომ რუსეთი აფხაზეთს დღემდე საქართველოს ნაწილად აღიარებს, ეს დროებითია, აფხაზეთის დამოუკიდებლობას სულ მალე ყველა ცნობს.

**- როგორ მოხდა თქვენი არჩევა ელჩად, რაიმე გაკავშირებთ აფხაზეთთან?**

- საბჭოთა პერიოდში აფხაზეთში ხშირად ვისვენებდი, იქ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. საქართველოსა და აფხაზეთს შორის ომის შემდეგ მეგობრებს ვეხმარებოდი, ისინი ხელისუფლებაშიც არიან. აფხაზეთის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა ჩემი მეგობარია. მე დახმარებას ვუწევდი აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიას აფხაზეთის შესახებ წიგნების გამოცემაში. ყველაფერს ვაკეთებ, რომ მსოფლიომ გაიგოს აფხაზური კულტურის შესახებ. ვფიქრობ, აფხაზები არ ინანებენ ჩემს დანიშნვას ამ თანამდებობაზე.

**- რას აკეთებს აფხაზეთის საელჩო მარი ელში, როცა აფხაზეთი არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა?**

- საელჩო, ძირითადად, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე მუშაობს. მალე მარი ელს ეწვევიან აფხაზეთის ბავშვთა ანსამბლები. აფხაზური მხარე მზად არის, შემოიტანოს მარი ელში ციტრუსები, თხილი... დაგეგმილია იოშკარ-ოლაში აფხაზეთის წარმომადგენლობის გახსნა, სადაც აფხაზეთის სანატორიუმების საგზურები გაიყიდება. გასულ წელს მე თავად დავათვალიერე სანატორიუმები, რომლებიც საგზურებს გვთავაზობენ, იქ ძალიან კარგი სიტუაციაა. წარმოიდგინეთ, იანვარში ტემპერატურა პლუს 28 იყო, ასეთ სამოთხეში მოხვედრა მარი ელის რესპუბლიკის მცხოვრებთათვის პირდაპირ მისწრებაა.

**- მარიელებს არ აშინებთ აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია, ბევრი გყავთ იქ დასვენების მსურველი?**

- რამდენიც გინდათ! წელს, ზაფხულში საგზურები საერთოდ აღარ დარჩა, აფხაზეთის სანატორიუმები გავსებული იყო. ყველამ იცის, რომ სროლები ხანდახან მხოლოდ გალის რაიონში ხდება, სხვაგან სიმშვიდეა. დამსვენებელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. წელს უკრაინიდან, მოლდოვადან და სხვა სახელმწიფოებიდან ბავშვთა უამრავი ჯგუფი ჩავიდა. ყველა კმაყოფილი იყო, რადგან აფხაზეთში კარგი სერვისი და სიიაფეა.

**- აფხაზეთის რამდენი საელჩო მოქმედებს დღეისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებში?**

- მარი ელისა და რუსეთის გარდა, საელჩოები გვაქვს ჩინეთში, თურქეთში, ტაივანსა და გერმანიაში. ასევე წარმომადგენლობები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, სირიაში, ეგვიპტეში, იორდანიაში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ადიღეში.

# ზოდელავას გადადგომამდე, "ლეიბორისტები" დედაქალაქის მთავრობას არ დაამტკიცებენ

პირველი გვერდიდან

*ლეიბორისტების მიტინგზე ათასამდე მხარდამჭერი მივიდა*

ბესო გულაშვილის ფოტო

პარტია საკუთარ საარჩევნო დანაპირებს იხსენებს და შევარდნაძის ხელისუფლების დემონტაჟს კორუმპირებული მერის გზიდან ჩამოშორებით იწყებს.

**"ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ ამ ძირმომპალი სისტემის შესაცვლელად. პირნათლად შევასრულებთ თბილისელების დავალებას. ნუთუ ქალაქს, რომელიც 1500 წლისაა, არ ეკუთვნის ხალხის მიერ არჩეული მერი?"** - კითხულობდნენ მიკროფონთან გამომსვლელი "ლეიბორები", რისთვისაც მადლიერი მომიტინგეები მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ.

თბილი სკამებიდან წამოდგომა გუშინ ქალაქის მთავრობის სხვა წარმომადგენლებსაც ურჩიეს. ძველი მთავრობის არც ერთ წარმომადგენელს "ლეიბორისტები" მხარს არ დაუჭერენ. შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელებს არც მერის მიერ შემოთავაზებული ახალი სახეები "აწყობთ". **"არ გვინდა, დანიშნულმა მერმა საკუთარი პირობები გვიკარნახოს",** - ამბობენ ისინი.

მერიის წინ მიმდინარე აქციას მოგვიანებით თავად "ზოდელავას რისხვა" - შალვა ნათელაშვილიც შეუერთდა. **"სავადმყოფოების გამყიდველ"** და **"სკვერების გამანადგურებელ"** თბილისის მერს ნათელაშვილმა გუშინ ხუთწუთიანი გამოსვლა დაუთმო და გააფრთხილა: **"თუ მერიის წინ მიმდინარე აქციები შედეგს ვერ გამოიღებს, ხვალ კანცელარიასთან შევიკრიბებით".**

ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ, ნათელაშვილი "კანცელარიას უამისოდაც ხშირად სტუმრობს".

კულუარული ინფორმაციით, გუშინწინ ღამით შრომის პარტიის მთავარი იდეოლოგი, ორ თანაპარტიელთან ერთად, კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრთან სტუმრობდა. სანდო წყაროს თქმით, სახელმწიფო მინისტრმა ნათელაშვილს დაახლოებით ამგვარი დირექტივა მისცა: "შენ მოაწყვე მერის წინააღმდეგ აქციები, მე კი ზოდელავას მთავრობის სხდომაზე "დავარტყამო". იმასაც ამბობენ, რომ, ჯორბენაძე-ნათელაშვილის ფარული თათბირის პარალელურად, თბილისის მერსაც არ ეძინა და საქართველოს პრეზიდენტს სტუმრობდა.

მერიის წინ მოწყობილი გამაფრთხილებელი აქცია სწორედ ოთხშაბათს, მთავრობის სხდომის დღეს დაემთხვა. თუმცა, გუშინ ენერგეტიკაზე მზრუნველ მთავრობას ზოდელავასთვის ნამდვილად არ ეცალა.

თავად "ლეიბორისტები" მერიიდან გამოჟონილ ამ ინფორმაციას "სისულელეს" უწოდებენ. **"შალვა სამ დეკემბერს მთელი დღე ოფისში იჯდა, არსად არ გასულა, მით უმეტეს, კანცელარიაში,"** – დაიცვა საკუთარი შეფი **"ვიღაცის უსაზღვრო ფანტაზიით აღფრთოვანებულმა"** "ლეიბორისტმა" ზურაბ ჟვანიამ.

თავად ნათელაშვილი ხელს "გაერთიანებული დემოკრატებისკენ" იშვერს: **"ეს არის სრული სისულელე. ამგვარი ინფორმაცია ჟვანიას ოფისიდან მოდის".**

ნათელაშვილის ბრალდებას ჟვანიას გუნდის წევრი გიორგი გოდაბრელიძე "გაერთიანებული დემოკრატების" სიძლიერეს მიაწერს და ვაჟა-ფშაველას აფორიზმს - "ცუდას რად უნდა მტერობა..." - იშველიებს.

"აღორძინების" წევრი გიორგი ტაბიძე აღიარებს, რომ ნათელაშვილის კანცელარიაში სტუმრობის შესახებ ინფორმაცია მანაც მიიღო. **"მე ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ ამ ფაქტს, მაგრამ ამაში არის გარკვეული ლოგიკა,"** – განაცხადა მან "24 საათთან" საუბარში.

თბილისის მთავრობის მემკვიდრეობის საკითხი, სავარაუდოდ, საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე უნდა დადგეს. მერიიდან გავრცელებული ინფორმაციით, დედაქალაქის ახალი მთავრობის მოდელი ვანო ზოდელავამ საკრებულოს უკვე გააცნო, თუმცა ფრაქციები ამას ოფიციალურ დონეზე არ ადასტურებენ. თბილისის მთავრობაში "მსუყე" ადგილებისთვის ბრძოლა პოლიტიკურ ამბიციათა სერიოზული შეჯახების ფონზე მიმდინარეობს. კონსულტაციებად მონათლული გარიგებები ყველა ფრონტზეა გაჩაღებული: საკრებულოს ფრაქციებს შორის, მთავრობასა და ფრაქციებს შორის... თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დედაქალაქის მთავრობა მერმა უნდა წარადგინოს, ზოდელავასთან მეგობრობა ამ ეტაპზე ნამდვილად დიდი კოზირია. საკრებულოში უმრავლესობით მოსულმა "ლეიბორისტებმა" თბილისის მერთან საერთო ენის გამონახვა ვერ შეძლეს. ზოდელავა, როგორც ჩანს, წყენას არ ივინყებს და "ლეიბორისტებს" ახლოსაც არ იკარებს.

ამას გარდა, კულუარული ინფორმაციით, შრომის პარტიას საკუთარ რიგებშიც ვერა აქვს საქმე კარგად. "ლეიბორისტი" ჟვანია ამ ინფორმაციას არ ადასტურებს და აცხადებს, რომ მის ფრაქციაში "ყველაფერი მშვენივრადაა". "ლეიბორისტების" ათკაციანი ფრაქცია საკუთარი რიგების რიცხობრივად გაზრდასაც აპირებდა. ჟვანია არ გამორიცხავდა, რომ მშობლიური პარტიის რიგებს გველებიანი და უმფრიანი დაუბრუნდებოდნენ.

ჟვანიას პროგნოზი არ გამართლდა, როგორც "24 საათმა" გუშინ მერიაში შეიტყო, გველებიანმა და უმფრიანმა "აღორძინების" სამკაციანი ფრაქცია ამჯობინეს.

კულუარებში ამბობენ, რომ "ლეიბორისტების" ფრაქციის არდაშლაზე სერიოზულად ზრუნავენ "ნაციონალები", რომელთაც დედაქალაქის მთავრობის დამტკიცების პროცესში სულაც არ აძლევთ ხელს ჭრელი უმრავლესობა.

როგორც საკრებულოს წევრი, "ნაციონალი" გიორგი არველაძე ამბობს, მისი ფრაქცია მთავრობის არც ერთ ძველ სახეს მხარს არ დაუჭერს. იგი დარწმუნებულია, რომ საკრებულო თბილისის მთავრობასთან დაკავშირებით კონსოლიდირებას მოახერხებს. მისი თქმით, "ლეიბორისტული" აქციის იდეას "ნაციონალები" თავიდან ბოლომდე იზიარებენ და მერის გადაყენების სურვილი მათაც არ ასვენებთ. თუმცა, მანამდე საკრებულო მთავრობის დაკომპლექტებას აპირებს და "ნაციონალები" საერთო ენას "ლეიბორისტებთანაც" გამონახავენ. მას შემდეგ, რაც საკრებულოში შემავალმა ფრაქციებმა დედაქალაქის პრემიერის იმპიჩმენტს ვერ მოაბეს თავი, "ნაციონალების" ამგვარი ოპტიმიზმი ნამდვილად გასაკვირია.

გაბრაზებული და თამაშგარეთ დარჩენილი "ლეიბორისტები" დედაქალაქის მთავრობის დამტკიცებაში მონაწილეობას საერთოდ არ აპირებენ, ვიდრე ქალაქის მერი არ გადადგება. "ლეიბორისტების" ათკაციანი ფრაქციის ნება-სურვილმა, შესაძლოა, მართლაც დაბლოკოს მთავრობის დაკომპლექტება. შევარდნაძის ფავორიტი ზოდელავას თანამდებობიდან მოხსნა რომ არც ისე იოლი საქმეა, ეს პრეზიდენტმა ერთხელ უკვე ყველას გააგებინა. დეკემბრის ბოლოს საკრებულომ დედაქალაქის ბიუჯეტი უნდა დაამტკიცოს, თავად ბიუჯეტი კი უნდობლობაგამოცხადებულმა მთავრობამ უნდა წარმოადგინოს. "ლეიბორისტებს" საკრებულოს საბოტაჟი აქვთ ჩაფიქრებული.

**"ლეიბორისტებს" უნდათ, ყველაფერი საკრებულოს დაბრალდეს. როგორ შეიძლება, დედაქალაქს მთავრობა არ ჰყავდეს? თბილისი საკრებულოს ამარა რჩება,"** – აცხადებს გიორგი ტაბიძე "აღორძინებიდან".

მერიის კულუარებში "ლეიბორისტულ" აქციას გუშინ სხვადასხვაგვარი შეფასება მისცეს. ერთნი ამბობენ, რომ გუშინდელი აქციით გაბრაზებულმა "ლეიბორისტებმა" სააკაშვილ-ზოდელავას მეგობრობას გაუსვეს ხაზი. სხვათა აზრით, ნათელაშვილმა გუშინ ზოდელავას გაუგზავნა მესიჯი: "მოდი და ჩვენც გვევაჭრეო..."

# "ეი-ი-ეს"-ი ხელისუფლებას "ტვირთად დააწვა"

პირველი გვერდიდან

კომპანიის საქართველოდან წასვლის შესახებ პერმანენტულად ვრცელდებოდა, ამჯერად არც ენერგეტიკის სამინისტრო და არც თავად ამერიკული კომპანია არ გახლდათ ინფორმირებული იმის შესახებ, რომ **"ეი-ი-ეს-ი" იძულებულია, წავიდეს საქართველოდან..."**

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მერაბ კვეკვესქირმა საკითხის კომენტირებისას განაცხადა, რომ, ჩანს, საქართველოს პრეზიდენტს მეტი ინფორმაცია აქვს და, სავარაუდოდ, ალბათ, საუბარია იმ პრობლემებზე, რასაც სათავო ოფისი განიცდის.

თავად კომპანიამ, ირიბარენის საქართველოში ჩამოსვლამდე, საერთოდ თავი შეიკავა საკითხის კომენტირებისგან.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ ექსპერტების აზრით, ამერიკულ კომპანიას, წმინდა ფინანსური მოტივებით, საქართველოდან წასვლა აშკარად არ აძლევს ხელს. ექსპერტები კომპანიას საქართველოში უახლოეს პერიოდში სერიოზულ მოგებაზე გასვლასაც უწინასწარმეტყველებდნენ და იმასაც ამბობდნენ, რომ "ეი-ი-ეს"-ი საკუთარი აქციების გაყიდვას მისთვის ხელსაყრელ ფასში ვერ მოახერხებდა.

მათივე აზრით, თუ ასეთი შესაძლებლობა მაინც იქნებოდა განხილული, ეს წმინდა პოლიტიკური საფუძვლების გამო შეიძლება მომხდარიყო.

გუშინ, საქართველოს პრეზიდენტის განცხადების კომენტირებისას, ექსპერტები პოლიტიკურ მოტივებზე არ საუბრობდნენ და არც კომპანიის შესაძლო წასვლის შეფასებასთან დაკავშირებით გახლდნენ ერთსულოვანნი.

მაგალითად, სანდრო თვალჭრელიძე აცხადებდა, რომ უბედურებას ვერ ხედავს კომპანიის შესაძლო წასვლაში. "ეი-ი-ეს"-ს, შესაძლოა, სხვა რომელიმე კომპანია ჩაენაცვლოს," - აღნიშნავდა იგი.

ეკონომიკის ექს-მინისტრი ლადო პაპავა კი აქცენტს აკეთებდა იმ უარყოფით ზეგავლენაზე, რაც მსგავსმა ნაბიჯმა, შესაძლოა, ქვეყნის იმიჯზე მოახდინოს: **" შევხედოთ პრობლემას ზოგადად - როდესაც ქვეყანას ტოვებს სერიოზული ინვესტორი, ეს საინვესტიციო ბაზარზე აღიქმება, როგორც ძალზე უარყოფითი მოვლენა, რაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში სერიოზულ ინვესტორს ისეთი პრობლემები შეექმნა, რომ იძულებული გახდა, წასულიყო. მსოფლიოში არავინ არ გაამართლებს ამ ქვეყანას და პირქით, გაამართლებს სერიოზულ ინვესტორს. ახლა გადმოვიტანოთ პროვოცირება საქართველოში. აქ, პრაქტიკულად, ორი სერიოზული ინვესტიცია განხორციელდა. ერთი - ეს არის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომელიც იყო წმინდა პოლიტიკური და არა ეკონომიკური პროექტი; მეორე სერიოზული ეკონომიკური ინვესტიცია კი გახლავთ "ეი-ი-ეს"-ის შემოსვლა თბილისში. ახლა წარმოიდგინეთ ეს ერთადერთი ინვესტორი, რომელიც მიდის ისეთი სახელმწიფოდან, როგორიც არის საქართველო, რომელსაც ისედაც ჩამოუყალიბდა არასტაბილური ქვეყნის იმიჯი. ეს იქნება სიგნალი, რომ საერთოდ არავინ აღარ შემოვიდეს საქართველოს ბაზარზე უახლოეს მომავალში, რომ არაფერი ვთქვათ შორეულ მომავალზე. ქვეყანაში, რომელსაც აქვს ტერიტორიული პრობლემები, ქვეყანაში, რომელსაც ჩრდილოელ მეზობელთან გააჩნია პრობლემა, რომელსაც ვერ გადაუჭრია საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისი და რომლიდანაც მიდის სერიოზული ინვესტორი, არავინ აღარ მოისურვებს ჩასვლას."**

პარლამენტის სპეციალური ენერგეტიკული საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი კი, რომელიც გასულ კვირას "თელასის" პასუხისმგებლობაზეც საუბრობდა, საერთოდ არ აღმოჩნდა მზად პრეზიდენტის განცხადების კომენტირებისთვის.

თემა, რომელიც გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა საკმაოდ ხისტად წამოჭრა, უახლოეს პერიოდში, სავარაუდოდ, სერიოზული განხილვის საგანი გახდება. დღეს საქართველოში ჩამოდის იგნასიო ირიბარენი, რომელიც, ალბათ, რაიმე კომენტარს მაინც გააკეთებს. სავარაუდოდ, ამ საკითხს გამოეხმაურება საქართველოს პოლიტიკური სპექტრიც, რომელიც "თელასის" თემით ყოველთვის განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული. შალვა ნათელაშვილმა გუშინვე გაავრცელა განცხადება, რომლითაც დაემუქრა "ეი-ი-ეს-თელასს" და ცოდვების მოკითხვას დაჰპირდა.

# რუსი მშვიდობისმყოფელები კოდორის ხეობაში უცნობი სამხედრო დაჯგუფების კვალს ეძებენ

*რუსეთის სამშვიდობო ძალების ინკოგნიტო წარმომადგენელზე დაყრდნობით, ზოგიერთ რუსულ საინტერნეტო გამოცემაში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში 40 ბოევიკი იმალება.*

მინდია დავითური

შარშან ზამთარში კოდორის ხეობა რამდენჯერმე აღმოჩნდა ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე. აფხაზეთის ერთადერთ არაოკუპირებულ მთიან ნაწილში სურსათისა და პირველადი მოხმარების ნივთების შეზიდვა დროულად ვერ მოხერხდა. ამას დაემატა აფხაზურ-რუსული ავიაციის მიერ კოდორის ხეობის დაბომბვათა სერია, რის გამოც რამდენიმე ასეული ქალი და ბავშვი იძულებული გახდა, დროებით დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილები.

ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულისა და შეიარაღებული ძალების კოდორის ოპერატიული მიმართულების სარდლის, ემზარ კვიციანის განცხადებით, შარშანდლისგან განსხვავებით, წელს დროულად მოხდა კოდორის ხეობაში საჭირო რაოდენობის პროდუქტებისა და მედიკამენტების სამანქანო გზით შეტანა. სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების შემდეგ, ლტოლვილების უდიდესი უმრავლესობა კვლავ დაბრუნდა ხეობაში. ერთადერთი პრობლემა, რასაც დანარჩენი საქართველოს მსგავსად ხეობის მოსახლეობა განიცდის, ელექტროენერგიის ნაკლებობაა.

ემზარ კვიციანი: ***"წყალდიდობები იყო და ამის გამო ბევრს გაუფუჭა ადგილობრივი პატარა ჰესები. განსაკუთრებით გაუჭირდა ორ-სამ სოფელს, რომლებიც მოშორებით იმყოფებიან და ვერ ვწვდებით, მაგრამ სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით, ენერგეტიკის სამინისტრომ უკვე იქაც დაიწყო მიკროჰესის აშენება, რომელიც 150 კილოვატ ენერგიას მოგვცემს. გარკვეულ ნაწილს კი სხვა მხრიდან მოვამარაგებთ."***

გარდა ამისა, საველე აეროდრომის რეკონსტრუქციის შემდეგ, აღდგა საჰაერო მიმოსვლა და კვირაში ერთხელ AN - 2 ტიპის სამგზავრო ვერტმფრენი სპეციალურ რეისს ასრულებს კოდორის მიმართულებით. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა საველე აეროდრომის აღდგენის ფაქტი, პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოიყენა, რითაც, კვიციანის თქმით, ცუდი სამსახური გაუწია კოდორის მოსახლეობას.

ემზარ კვიციანი: ***"ამით, ვითომ აფხაზებს აშინებენ და აწყენინებენ მოთხოვნას, რომ პოსტი გაიხსნას აჟარაში."***

სხვათა შორის, ცნობა იმის შესახებ, რომ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში 40-კაციანი დაუდგენელი სამხედრო ფორმირება უნდა იმყოფებოდეს, რუსეთის სამშვიდობო ძალების ინკოგნიტო წარმომადგენლებმა უკვე გაავრცელეს სააგენტო "ინტერფაქსის" საშულებით. კვიციანის თქმით, რუს მშვიდობის დამცველებს იოლად შეუძლიათ ამ ფაქტის გადამოწმება რეგულარული პატრულირების დროს, რომელიც დამკვირვებელთა შერეული ჯგუფების მიერ კვირაში სამჯერ, წინასწარი შეთანხმების გარეშე ტარდება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „რუსთავის ყარაღურ არჩევნებს დამკვირვებლის სიცოცხლე შეეწირა„

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ

ᲑᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲑᲣᲪᲐᲩᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

დინატორის დავით კუპრეიშვილის თქმით, **"33-ე უბანზე თავად მედეა ბერაძეს შეუქმნეს პრობლემები ხუთი საათის შემდეგ. მას თანხა შესთავაზეს... ქალბატონმა მედეამ ჩვენს მიერ შეთავაზებულ ჩანაცვლების წინადადებაზე უარი თქვა და უბანზე ბოლომდე დარჩა. "ამ ქალაქში არ გინდა ცხოვრება? ბოლოს და ბოლოს შვილები გყავს"... მუქარის ტექსტი ამ შინაარსისა იყო. მასზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას უბნის კომისიის თავმჯდომარე ახდენდა."** მედეა ბერაძე არჩევნების მეორე დღეს, 1 ნოემბერს გარდაიცვალა უეცრად, როცა შვილებს ვახშამს უმზადებდა. გულის კუნთის ინფარქტი - ასეთია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. ოჯახის წევრები და ახლობლები აცხადებენ, რომ ბერაძეს მანამდე გული არ აწუხებდა. გუშინდელ პრესკონფერენციაზე მოწვეულმა გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა, ამ ფაქტთან დაკავშირებით, პრესისთვის კომენტარი არ გააკეთა. პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა ჟურნალისტებს უჩვენეს ვიდეოჩანაწერი, სადაც მედეა ბერაძე "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტს ეუბნება, რომ დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატის - მგალობლიშვილის მხარე მის მოსყიდვას შეეცადა.

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რუსთავში ამომრჩევლის აქტივობა ძალზე დაბალი იყო და თუ ცესკო არჩევნებს ჩატარებულად ჩათვლის, საზოგადოება სასამართლოს მიმართავს.

**"რუსთავის საარჩევნო ოლქში ათი უბნის მაგალითზე უჩვეულო შედეგი დაფიქსირდა. 11 საათისთვის ამომრჩეველთა მხოლოდ ორ პროცენტს ჰქონდა მიღებული მონაწილეობა არჩევნებში. შუადღისთვის ეს მაჩვენებელი შვიდ და ცამეტ პროცენტამდე გაიზარდა. საღამოს რვა საათისთვის უკვე ამომრჩეველთა 21 პროცენტი დაფიქსირდა. ზუსტად ხუთიდან რვა საათამდე, როცა ამომრჩეველთა აქტივობა საეჭვოდ გაიზარდა, შეინიშნებოდა "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელთა შეზღუდვის, მუქარისა და დაშინების ფაქტები."**

"სამართლიანმა არჩევნებმა" რუსთავში მრავალი დარღვევა დაფიქსირა. ნიმუშისთვის რამდენიმეს მოვიტანთ: **"მე-16 საარჩევნო უბანზე კომისია ხმების დათვლას კატეგორიულად არ იწყებდა. საბოლოოდ, უბანზე მოვიდა სპორტულ ფორმაში ჩაცმული უცნობი პიროვნება და კომისიის თავმჯდომარეს ესაუბრა. ამ უკანასკნელმა ყუთის გაუხსნელად და ხმების დაუთვლელად გამოაცხადა კანდიდატების მიერ მიღებული ხმები."**

**"35-ე უბნიდან გამოაძევეს ყველა დამკვირვებელი და მათ გარეშე მიმდინარეობდა ხმის დათვლა."**

**"დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატი - როლანდ მგალობლიშვილი დაუკავშირდა "სამართლიანი არჩევნების" რუსთავის კოორდინატორს და სთხოვა, რომ გარკვეულ უბნებზე დარღვევები არ დაეფიქსირებინათ."**

**"რუსთავის საარჩევნო ოლქის თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე მასობრივად მიმდინარეობდა დამკვირვებელთა შეზღუდვა, ხმის დათვლის პროცესი 23 საათამდე თითქმის არც ერთ უბანზე არ დაწყებულა."**

"მშვიდობისა და კავკასიის ინსტიტუტის" დირექტორი გია ნოდია აცხადებს, რომ რუსთავში დაფიქსირებული თავხედური დარღვევები ბევრად უფრო სავალალოა წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიდრე, უშუალოდ, შედეგით – რომელმა კანდიდატმა გაიმარჯვა და რომელი დამარცხდა.

**"როცა საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები იმასაც კი არ ცდილობენ, რომ კანონდარღვევა დამალონ, ეს უკვე საარჩევნო ყაჩაღობაა. ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, არ ვართ დაინტერესებულნი რევოლუციის მოწყობით და ხელისუფლების ჩამოგდებით. ჩვენი მიზანია, დავაფიქსიროთ ის, რაც არჩევნების მსვლელობისას ხდებოდა."**

"სამართლიანი არჩევნების" და "დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" დირექტორის ზურაბ ჭიაბერაშვილის აზრით, დღეისთვის ცესკო-ს ავტორიტეტი საზოგადოებაში დაცემულია. **"სოციოლოგიური გამოკითხვა რომ ჩავატაროთ, აღმოჩნდება, რომ მოსახლეობა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას იმდენად ენდობა, რამდენადაც ამა თუ იმ სამინისტროს."** ზურაბ ჭიაბერაშვილი აუცილებლად მიიჩნევს ცეესკო-ს პირადი შემადგენლობის შეცვლას და მის სტრუქტურულ რეორგანიზაციას, ასევე, სიების საკითხის დაუყოვნებლივ მოგვარებას. **"ტენდენციად იქცა - ცესკო არ ზრუნავს სიების გამართვაზე. ხელისუფლება არ არის დაინტერესებული, რომ სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს. მოსახლეობას ნდობა და რწმენა ეკარგება. თანდათან ჩნდება საშიშროება იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები კონსტიტუციის ფარგლებს გასცდეს. ეს ხელისუფლებაზე მეტად, საზოგადოებისთვის არის სავალალო და საზიანო."**

"სამართლიანი არჩევნებისა" და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები რუსთავში 1 დეკემბერს გარდაცვლილი დამკვირვებლის მედეა ბერაძის მიერ არჩევნების მსვლელობისას გამოჩენილ პრინციპულობასა და შეუვალობას სამოქალაქო გმირობად აფასებენ.

# ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲫᲘᲚᲘᲡᲒᲣᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲢᲣᲥᲡᲐ

*სახელმწიფო მინისტრი გუშინ შეეცადა, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმირების გაჭიანურების ტვირთი საქართველოს პარლამენტისთვის "აეკიდებინა". ეს ბრალდება მთავრობას, შესაძლოა, უახლოეს დღეებში ბუმერანგივით შემოუტრიალდეს.*

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲐᲫᲔ

ედუარდ შევარდნაძეს პარლამენტის თემა ავთანდილ ჯორბენაძემ "ჩაანოდა". სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ პარლამენტი აჭიანურებს მშენებლობისა და ქონების მართვის სამინისტროების გაუქმებას, მათი ფუნქციების გადანაწილებას სამინისტროებს შორის და ამით, ფაქტობრივად, ხელს უშლის მთავრობის რეფორმირებას.

**"საკითხის გადადებას მართვის უსუსურობამდე მივყავართ. თუ ასე გაგრძელდა, სახელმწიფოს მართვაში პრობლემები შეიქმნება,"** - განაცხადა გუშინ ავთანდილ ჯორბენაძემ.

საქართველოს პრეზიდენტი აქტიურად გამოეხმაურა პარლამენტის უპასუხისმგებლობის თემას, თუმცა, განსაკუთრებული აქცენტები არა მხოლოდ ამ კონკრეტული სამინისტროების, არამედ, ძირითადად, ბოლო პერიოდში საერთოდ განხორციელებულ საქმიანობაზე, განსაკუთრებით კი, სამშაბათს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით გამართულ მსჯელობაზე გადაიტანა:

**" იმუშაონ, ვინ უშლის... რა უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, ღამის სამ საათზე თავის მინისტრს შეხვდესო. მე ვმუშაობ ასეთ რეჟიმში, თვითონ სძინავთ გვიანობამდე... რატომ ჩვენ არ გვეკითხებითო? რატომ ვკითხო, ერთხელ უკვე მივედით, როგორც წესიერი ხალხი... რამდენიც უნდა იღრიალონ, რადენიც უნდა იხმაურონ, მაინც განხორციელდება ასეთი პროექტები, ყულევშიც აშენდება ტერმინალი და ანაკლიის პროექტიც განხორციელდება..."** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა, რითიც, პრინციპში, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქვეყანაში ვითარების ბატონ პატრონი თავადაა.

**"ჩხობაძის ქალსაც დავურეკე. ჰქონდა შენიშვნები და ყველაფერი გათვალისწინებულიაო. რა გინდათ ახლა, რა, რა?"** - გაცხარდა ქვეყნის პრეზიდენტი.

აქვე ედუარდ შევარდნაძემ საჭიროდ ჩათვალა, გამოხმაურებოდა აკაკი ჩხაიძესთან დაკავშირებულ აჟიოტაჟსაც: **"თუ დამნაშავეა, მოვხსნი ჩხაიძეს, თუმცა კაცს ვერ ვიშოვით... წესით, ორდენით უნდა დააჯილდოვო, რაც მაგან ამ რამდენიმე წელში მოახერხა."**

რაც შეეხება მთავრობის სტრუქტურულ რეფორმას - საკითხის განხილვას კანცელარიის მიერ შეტანილი ფორმატით, რომლის გაჭიანურების გამოც გუშინ პარლამენტს "მოხვდა", არა მხოლოდ პარლამენტი, არამედ თავად ანტიკორუფციული ბიუროც არ უჭერს მხარს.

შეგახსენებთ, რომ ორი სამინისტროს გაუქმებისა და ფუნქციათა გადანაწილების შესახებ კანონპროექტი, კანცელარიამ "ანტიკორუფციული პროგრამის" ფარგლებში მოამზადა და ორიოდე კვირის წინ პარლამენტში განხილვა ითხოვა.

პარლამენტმა რამდენიმე მოტივით, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი ის გახლდათ, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება მთავრობის რეფორმირების საკითხის ერთიან სისტემურ კონტექსტში განხილვას მოითხოვს, ანუ შეპირებული სტრუქტურული რეფორმის პროექტის შემოტანას, ამ საკითხის განხილვა მართლაც გააჭიანურა და იგი მიმდინარე სხდომის დღის წესრიგშიც არ არის შეტანილი.

საზღვარგარეთიდან ჩამობრუნებულმა საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელმა "24 საათთან" საუბარში თავად კანონპროექტის ცალკეული დეტალებიც გააკრიტიკა, განაცხადა რა, რომ **"სამინისტროების გაუქმება და სხვა უწყებებს შორის ფუნქციების გადანაწილება არ უნდა ატარებდეს ხელოვნურ ხასიათს, რადგან მიზანი არა მხოლოდ სამინისტროების რაოდენობის შემცირებაა, არამედ - მათი სტრუქტურული ოპტიმიზაცია,"** - და აქვე ისიც თქვა, რომ **"ანტიკორუფციული საბჭო მთავრობის რეფორმირების საკითხის ერთიან პაკეტში განხილვის მომხრეა".**

კანცელარიამ, ანუ სახელმწიფო მინისტრმა და პრეზიდენტმა, რომლებმაც ამ პოზიციის შესახებ ჯერ კიდევ კანონპროექტის პარლამენტში შეტანამდე იცოდნენ, ანტიკორუფციული ბიუროს პოზიცია უგულებელყვეს.

კანცელარიაში აცხადებენ, რომ სტრუქტურული რეფორმის პროცესი არ არის ერთჯერადი და მეყსეული აქტი და ამას გარკვეული დრო სჭირდება, რადგან ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია, ასეთი სერიოზული რეფორმის განხორციელება.

პარლამენტმა კი, ჯერჯერობით მაინც, არ გაიზიარა კანცელარიის პოზიცია და არ დაიწყო ცალკეული სამინისტროების ფრაგმენტული რეფორმირება, რამაც მთლიანი ხელისუფლების რეფორმირების პროცესი დროში, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაწელოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კანცელარია პარლამენტში საკუთარ ბერკეტებს არ აამოქმედებს და შედეგის მიღწევას ამ გზით არ შეეცდება.

# ᲑᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔᲡ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ - "ᲛᲐᲛᲘᲡ (ᲗᲝᲚᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ) ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ"

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იმას, რაც პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ გურამ შარაძეს დამართა, კულუარებში "პოლიტიკურად დასამარებასა და მიწის მიყრას" უწოდებდნენ. ნინო ბურჯანაძემ ოპონენტს არ აპატია, რომ პარლამენტის ტრიბუნიდან "სიცრუესა და მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლის აზრებით სპეკულირებაში" დასდო ბრალი. სპიკერის მიერ განხორციელებული საპასუხო პოლიტიკური დარტყმა ისეთი ძალისა იყო, როგორიც გურამ შარაძეს აქამდე, ალბათ, ჯერ არ უგემია.

**"გურამ შარაძის ბოლოდროინდელი განცხადებები ყველანაირ ფარგლებს სცილდება - პოლიტიკურსაც, ეთიკურსაც, მორალურსაც, ადამიანურსაც და კაცურსაც. იგი თავს უფლებას აძლევს, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის ყველაზე ძვირფას - ეროვნულ და რელიგიურ გრძნობებზე მოახდინოს აპელირება. სამწუხაროა, ბატონო გურამ, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის ესოდენ ფაქიზ გრძნობებს საკუთარი პოპულისტური მიზნებისთვის ასე აქტიურად იყენებთ. თქვენგან განსხვავებით, მე არ ვარ ის ადამიანი, ვისაც პატრიარქის, პრეზიდენტისა და საქართველოს მოსახლეობის აზრის დაუსაბუთებლად აპელირება შეუძლია. კატეგორიულად გაფრთხილებთ, როდესაც სპეკულაციაზე, ეროვნულ ინტერესებზე და მათ განხორციელებაზე ჩემთან მიმართებაში საუბრობთ, შეარჩიეთ გამოთქმები და ძალიან ფრთხილად ილაპარაკეთ, თორემ გაცილებით მწარე, მწვავე და ბევრად უფრო არგუმენტირებულ პასუხებს მიიღებთ, ვიდრე თქვენი ბრალდებებია. თქვენგან განსხვავებით, მე ჩემს სიტყვებზე პასუხს ვაგებ. კიდევ ერთხელ მოგმართავთ: თავი დაანებეთ ქართველი ერისთვის ისეთი სანუკვარი და მტკივნეული გრძნობებით სპეკულირებას, როგორიც არის სამშობლოს სიყვარული, ეროვნულობის განცდა და რელიგიურობა. ეს ის თემებია, რომლებითაც საკუთარი პოპულარობის გამყარებას ცდილობთ. მომავალში თქვენთან პოლემიკის გამართვას არ ვაპირებ - მოსახლეობა ჩემსა და თქვენს გარეშეც კარგად მიხვდება, ვინ რას აკეთებს ქვეყნისთვის და ამა თუ იმ განცხადების გაკეთებისას ან ნაბიჯის გადადგმისას, რა გრძნობებითა და მიზნებით ხელმძღვანელობს",** - ნინო ბურჯანაძის ასეთმა მრისხანე ტირადამ გურამ შარაძე დროებით გამოიყვანა მწყობრიდან, მაგრამ, ეტყობა, იგი "სხვა მასალისგან არის ნაგები". ცოტა ხნის შემდეგ შარაძე მიკროფონთან მივიდა და საპასუხო მუქარა წარმოთქვა:

**"თქვენი მონოლოგი დიდი მოთმინებით მოვისმინე. შვილის ტოლა ქალი ბრძანდებით. თუმცა, ასაკისა და თქვენი მდგომარეობის მიუხედავად, გარწმუნებთ, რომ სრულიად უსაფუძვლო, დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მომაყენეთ მამის ტოლა კაცს და თქვენი ასეთი განცხადება ძალიან ძვირად დაგიჯდებათ".**

# ᲐᲡᲔᲒ ᲮᲓᲔᲑᲐ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲧᲣᲠᲘᲗ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

და ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმებთან ოფიციალური მოსკოვის უკანონო ეკონომიკური თანამშრომლობა და აფხაზეთის დაკეტილი საზღვაო აკვატორიის საერთაშორისო წესების დარღვევით გამოყენება; 2) საქართველოსთან შემოღებული სავიზო რეჟიმის დისკრიმინაციული ხასიათი, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უვიზო რეჟიმი მოქმედებს; 3) აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მასობრივი მინიჭება; 4) რუსეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების მიერ აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან სხვადასხვა ხელშეკრულების გაფორმება და ა.შ.

**"ვიდრე ეს საკითხები არ მოგვარდება, საქართველომ მხარი არ უნდა დაუჭიროს WTO-ში რუსეთის შესვლას,"** - მოითხოვს ბარამიძე, რომელსაც სჯერა, რომ ქართული მხარის მიერ წაყენებული მოთხოვნები ნამდვილად გამოდგება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საპირწონედ. მისი აზრით, მოსკოვს სერიოზულად მოუწევს დაფიქრება, რადგან, თავად რუსი ექსპერტების გათვლებით, WTO-ში შესვლის შემთხვევაში, რუსეთის ბიუჯეტი ყოველწლიურად დამატებით 2-3 მილიარდ დოლარს მიიღებს.

მართალია, ბარამიძე აღნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები, ჯერჯერობით, ეფექტურად მიჰყავს, მაგრამ ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე ბოლომდე არ არის დარწმუნებული, რომ, მოსკოვიდან ზეწოლის შემთხვევაში, ოფიციალური თბილისი უკან არ დაიხევს. ამიტომაც, დადგენილების პროექტი შეიცავს მოთხოვნას, რომ **"რუსეთის მიერ საათანადო ვალდებულებების აღებისა და მათი შესრულების მყარი გარანტიების დაფიქსირების გარეშე, საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ WTO-ში რუსეთის გაწევრიანებას მხარი არ დაუჭიროს."**

პარლამენტარების მიერ მთავრობისადმი უნდობლობის დამადასტურებელია დადგენილების პროექტის ის მუხლიც, რომლის თანახმადაც საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, WTO-ში რუსეთის გაწევრიანებაზე თანხმობის მიცემამდე, პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს ინფორმაცია რუსულ მხარესთან გამართულ მოლაპარაკებებზე მიღწეული შედეგების შესახებ.

გუშინდელი განხილვის დროს "მოქალაქეებმა", "მრეწველებმა", "ტრადიციონალისტებმა", "აფხაზეთმა" და სხვა ფრაქციების წევრებმა დადგენილების პროექტი მოინონეს და კენჭისყრის დროს (ის დღეს ჩატარდება) ბარამიძეს მისი მხარდაჭერა აღუთქვეს. ფეხს ითრევენ მხოლოდ "აღორძინებისა" და "სოციალისტების" წარმომადგენლები - ჯემალ გოგიტიძე და ირაკლი მინდელი. მათი არგუმენტია: **"ამ საქმიდან არაფერი გამოვა, რუსეთი WTO-ში მაინც განევრიანდება და ჩვენი ქმედება მას მხოლოდ გააღიზიანებს. სჯობია, რუსეთი შევიდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ამის მერე შევეცადოთ მასზე ზეგავლენის მოხდენას (?!)."**

თუმცა, ამ მოსაზრებას პარლამენტართა უმეტესობა ეჭვის თვალით უყურებს და არ ეთანხმება. საერთო განწყობას უფრო ნინო ბურჯანაძის განცხადება გამოხატავს, რომლის თანახმადაც, **"ამ დადგენილების მიღებით ძალიან დიდი საქმე კეთდება."**

**"არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ რუსეთი მტრად გადავიკიდოთ და WTO-ში მისი შესვლა დავბლოკოთ. პირიქით, ჩვენ მივესალმებით ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას, ოღონდ, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ის ცივილიზებულად შეასრულებს თავის ვალდებულებებს,"** - დასძენს პარლამენტის სპიკერი.




# საქართველოს წლიურად 10 ტონა ოქროს წარმოება შეუძლია

## იაპონელები სამთო დარგის განვითარებას გვირჩევენ

***"საქართველოსთვის პრიორიტეტულია ოქროს, სპილენძის და მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების გაფართოება, ამ რესურსების რაციონალური გამოყენება, რადგან ეს პროდუქცია კონკურენტუნარიანია და მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილებით სარგებლობს",*** *– აღნიშნულია იაპონური კომპანია "მინდეკოს" მიერ საქართველოს სამთო დარგის შესწავლის საფუძველზე მომზადებულ დასკვნაში. ამ დოკუმენტის შესწორებულ ვარიანტს 20 დეკემბერს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში განიხილავენ. სამთო-მომპოვებელი მრეწველობის განვითარების გეგმაში დარგში არსებული თითქმის ყველა პრობლემაა აღწერილი. ეს დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და "ჭიათურ-მანგანუმით" დაინტერესებული ინვესტორებისთვისაა გათვალისწინებული. იაპონელების დელეგაცია საქართველოში 11 დეკემბერს ჩამოვა და თვის ბოლომდე დარჩება.*

სოფიკო ოხანაშვილი

გვანცა კვინიკაძე

"მინდეკოს" გამოკვლევა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) გრანტის ფარგლებში განხორციელდა. დასკვნის თანახმად, რომელიც ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ გაზაფხულზე განიხილა, საქართველომ სამთო-მომპოვებელი დარგის საშუალო და გრძელვადიანი (30 წლიანი) პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე უნდა იზრუნოს. ამ პოლიტიკის მიზანს კი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) სამთო-მომპოვებელი მრეწველობის წილის 10 პროცენტამდე გაზრდა უნდა წარმოადგენდეს. იაპონელი ექსპერტების აზრით, ასეთ მატებას საქართველომ წლიურად 10 ტონა ოქროს, 100 ათასი ტონა სპილენძისა და 2 მილიონი ტონა მანგანუმის კონცენტრატის წარმოებით უნდა მიაღწიოს. ამ გზაზე ქვეყანას რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა ექნება შესასრულებელი.

იაპონელების აზრით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია არსებული მარაგების, მინერალური პოტენციალის ხელახალი შეფასება დაზუსტების მიზნით. უნდა აღდგეს საბადოები, რომელთა დიდი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სპილენძისა და ოქროს მცირე და საშუალო საბადოების დამუშავების დაწყებაც. "მინდეკოს" დასკვნის თანახმად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამთო-მომპოვებელი დარგში კერძო სექტორის მხარდაჭერას სუბსიდირებითა და საგადასახადო ტვირთის შემცირების გზით. თუმცა, უმთავრესი მაინც დარგის (მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის) ურთიერთშეთანხმებული განვითარების მიღწევაა, რაშიც უდიდესი მნიშვნელობა პოლიტიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ენიჭება. იაპონური კომპანიის პირველადი დასკვნის თანახმად, ჩამოთვლილ ამოცანათა შესრულების დასაფინანსებლად 30 მლნ დოლარია საჭირო. ამ თანხით უნდა მოხდეს გეოდაზვერვითი სამუშაოების სუბსიდირება, საბადოების დამუშავების, მანქანა-დანადგარების შეძენის, ეკოლოგიური და უტილიზაციის ღონისძიებების, დარგის მმართველობითი სტრუქტურის მოდერნიზებისა და რაციონალიზაციის პროცესების დაფინანსება.

20 დეკემბერს დაგეგმილ შეხვედრაზე "მინდეკოს" მიერ შემუშავებულ გეგმაში გათვალისწინებული იქნება ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტების შენიშვნები, რომლებიც ამ დოკუმენტის პირველი განხილვის დროს წარუდგინეს იაპონური კომპანიის წარმომადგენლებს. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა სახელმწიფო რეგულირებისა და კოორდინაციის პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორის სერგო ტოპრაკაშვილის თქმით, ეს იქნება საბოლოო ვარიანტი, რომელსაც სამინისტრო და დაინტერესებული უწყებები კიდევ ერთხელ განიხილავენ.

"მინდეკოს" დასკვნაში განსაკუთრებული ადგილი დარგის განვითარების ფინანსურ-ეკონომიკურ მხარეს უკავია. კომპანიის ანალიზის თანახმად, საქართველოს სამთო-მომპოვებელ დარგს საკუთარი ეკონომიკური სახსრებით განვითარების ძალა არ შესწევს. ამიტომ, აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელ პარტნიორებად აშშ-ს, გერმანიის და იაპონიის საფინანსო ორგანიზაციები მიიჩნევა. **"ეს დოკუმენტი უმთავრესად სამთო-მომპოვებელი მრეწველობით დაინტერესებული ინვესტორისთვის არის მომზადებული. ამ დასკვნის მეშვეობით პოტენციური ინვესტორი გაიგებს, თუ რა რესურსები არსებობს საქართველოში და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს",** - განაცხადა სამრეწველო საწარმოთა სახელმწიფო რეგულირებისა და კოორდინაციის პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორმა.

სერგო ტოპრაკაშვილის თქმით, იაპონელებმა განსაკუთრებული ყურადღება ჭიათურ-მანგანუმის საწარმოში ინვესტორის შესვლის აუცილებლობაზე გაამახვილეს. ამჟამად ქართული მხარე მუშაობს ჭიათურაში ინვესტორის მოზიდვასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე კანცელარიაში განიხილავენ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და კრედიტორების მიერ განხილულ და მოწონებულ სარეაბილიტაციო პროგრამის ბიზნესგეგმას, რომელიც წარმოების მიერაა მომზადებული. სერგო ტოპრაკაშვილის ინფორმაციით, ამ ეტაპზე უკვე არსებობს ჭიათურ-მანგანუმის წარმოებით დაინტერესებული რამდენიმე კომპანია; თუმცა დეპარტამენტის დირექტორი ინვესტორობის კანდიდატებს არ ასახელებს.

# ევროკავშირი თამბაქოს რეკლამას კრძალავს

*ევროკავშირის გადაწყვეტილებით, რამდენიმე წელიწადში ძველი კონტინენტის ტერიტორიაზე თამბაქოს რეკლამირება მკვეთრად შეიზღუდება. კერძოდ, რეკლამა აიკრძალება ჟურნალ-გაზეთებში, ინტერნეტსა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე.*

თორნიკე შარაშენიძე

ეს აკრძალვები, რომელსაც ევროკავშირის ქვეყნების 15 ჯანდაცვის მინისტრიდან 13-მა მისცა ხმა, 2005 წლიდან შევა ძალაში. როგორც ევროკომისიის ექსპერტმა აღნიშნა, **"თამბაქოს მრეწველობამ ყველაზე მტკივნეულ ადგილას მიიღო დარტყმა."**

ძველ კონტინენტს თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლა ახლა არ დაუწყია. დაახლოებით ერთი თვის წინ ევროპარლამენტმა თამბაქოს რეკლამირება ტელევიზიით აკრძალა. ჟურნალ-გაზეთებში აკრძალვის მცდელობებს კი ევროპარლამენტის მხრიდან ჯერ კიდევ ორი წლის წინ ჰქონდა ადგილი, მაგრამ მაშინ ევროპის სასამართლომ ეს გადაწყვეტილება დაბლოკა. მოტივირება შემდეგნაირი იყო: ეს ევროკავშირის ქვეყნების გადასაწყვეტია და ბრიუსელი ასეთ საქმეებს საკუთარ თავზე არ უნდა იღებდესო. მაგრამ ახლა საქმე თავად ევროკავშირის ქვეყნებმა გადაწყვიტეს.

გერმანია ახლაც წინააღმდეგი იყო ზოგიერთი შეზღუდვისა. კერძოდ, ბერლინმა მოითხოვა, რომ აკრძალვა არ გავრცელებულიყო იმ ჟურნალ-გაზეთებზე, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ არ ვრცელდება. მოთხოვნა საბოლოოდ დაკმაყოფილდა და სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან თამბაქოს რეკლამა გერმანული ბეჭდვითი მედიის შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა. ეკონომიკური პრობლემები კი გერმანიას, მით უფრო - მის მედიას, ნამდვილად არ აკლია. გავიხსენოთ თუნდაც იგივე "ლეო კირხის" გაკოტრება და "ბერტელსმანის" უზარმაზარი ვალები.

საბოლოო ჯამში რეკლამის აკრძალვა არ გავრცელდა აფიშებსა და პოსტერებზე. არ აიკრძალა, აგრეთვე, თამბაქოს მწარმოებელ კომპანიათა ლოგოების ტანსაცმელზე გადატანა. სამაგიეროდ, იკრძალება პრომოუშენი სიგარეტის უფასოდ დარიგების გზით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თამბაქოს რეკლამირება საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე. მაგალითად, ეს ნიშნავს იმას, რომ "ფორმულა 1" თავის ერთ-ერთ უდიდეს სპონსორს დაკარგავს. თუმცა, ეს შეზღუდვა ერთი წლით გვიან, 2006 წელს შევა ძალაში.

ევროკომისია გადაწყვეტილებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. **"თამბაქოს მრეწველობას ყოველწლიურად 500 ათასი ახალი მწეველი სჭირდება მუშაობის გასაგრძელებლად, რადგან ყოველწლიურად დაახლოებით ამდენი იღუპება ნიკოტინისგან. ჩვენი შეზღუდვები თამბაქოს მაგნატებს ხელს შეუშლის ახალი მსხვერპლის გამონახვაში,"** - განაცხადა ევროკომისიის ერთ-ერთმა ექსპერტმა.

# „აზოტი„ მომავალ საპარლამენტო არჩევნებს ემსხვერპლა

*"იტერასთან" ორი დღის წინ დადებულმა გარიგებამ, რომელიც ამ კომპანიისთვის "აზოტის" სიმბოლურ ფასად გადაცემით დაგვირგვინდა, არაერთგვაროვან შეფასებები დაიმსახურა. ზოგი ექსპერტი, მთავრობის პოზიციას იზიარებს და მიაჩნია, რომ "აზოტს" ყველაზე კარგად, სწორედ რუსული "იტერა" მოუვლის. არსებობს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, აღნიშნული გარიგება ქართული მხარისთვის წამგებიანია და სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონულ ენერგოპროექტებშიც მისთვის სერიოზული პრობლემების შექმნით იმუქრება.*

ალექსანდრე თვალჭრელიძე

რომან გოცირიძე

გვანცა კვინიკაძე

ყველა არგუმენტს, რომლითაც მთავრობა "იტერასთვის" "აზოტის" გადაცემას ამართლებს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე მცდარად და არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. მისი განცხადებით, "აზოტის" აქციების 90 პროცენტის ნახევარ მილიონ დოლარად მიყიდვით, ხელისუფლებამ ეს საწარმო "იტერას", ფაქტობრივად, აჩუქა. გოცირიძის აზრით, ასეთი დაბალი გასაყიდი ფასის დაწესებას ვერ ამართლებს "იტერას" მიერ ნაკისრი ვალდებულებებიც, რომლებიც, უმთავრესად, "აზოტის" დავალიანებების მხოლოდ ნაწილის დაფარვასა და საკმაოდ მწირი ინვესტიციების განხორციელებას გულისხმობს. განსხვავებული აზრი აქვს დამოუკიდებელ ექსპერტს ალექსანდრე თვალჭრელიძეს. იგი მიიჩნევს, რომ ისეთ არალიკვიდურ საწარმოში, როგორიც "აზოტია" თუნდაც ნახევარი მილიონი დოლარის მიღება, მეტად ხელსაყრელია.

საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი აბსურდულს უწოდებს მთავრობის წარმომადგენელთა შეხედულებას, რომ "აზოტი" აუცილებლად იმ კომპანიას უნდა გადასცემოდა, რომელსაც ბუნებრივი აირის საკუთარი რესურსები გააჩნია. გოცირიძის თქმით, ზოგადად, ბუნებრივი აირის მფლობელი გაცილებით მეტად არის დამოკიდებული მომხმარებელზე ვიდრე მომხმარებელი – გაზის მიმწოდებელზე. **"აზოტი" რომ გადახდისუნარიანი ყოფილიყო, მას ბუნებრივი აირის მიწოდების მხრივ არანაირი პრობლემა არ ექნებოდა",** - მიაჩნია გოცირიძეს. მისი აზრით, ის, რომ "აზოტის" რენტაბელურ და, შესაბამისად, გადახდისუნარიან საწარმოდ ჩამოყალიბება წლების განმავლობაში არ მოხერხდა, უპირველეს ყოვლისა, ამ საწარმოს მიმართ სახელისუფლო ოჯახური კლანების არაჯანსაღი ინტერესის დამსახურებაა. **"ოჯახურმა კლანებმა ლიმონივით გამოწურეს "აზოტი" და მას უზარმაზარი ვალები აჰკიდეს, რომელთაგან უმეტესობა კრიმინალური გზით არის დაგროვილი",** - აცხადებს გოცირიძე. მისი შეფასებით, "იტერას" მიერ ქართული მხარისთვის მიცემული გარანტიები მეტად არამყარია და იგი არც "აზოტის" ვალების გასტუმრებით და არც ინვესტიციების განხორციელებით თავს დიდად არ შეიწუხებს. **"აზოტის" გაჩერება კი, ისეთი მსხვილი საწარმოსთვის, როგორიც "იტერაა", პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს",** - მიაჩნია გოცირიძეს.

საერთაშორისო ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში "აზოტით" რომელიმე სხვა მსხვილი კომპანიის დაინტერესებას, მით უფრო, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის ამოქმედების პერსპექტივის გათვალისწინებით, გოცირიძე არ გამორიცხავს. როგორც ცნობილია, ამ გაზსადენის ამოქმედების შემდეგ საქართველოს ტრანზიტული გაზის ხუთ პროცენტს განსაკუთრებით ხელსაყრელ ფასად, 1000 კუბურ მეტრს 55 დოლარად მიიღებს. გოცირიძის განცხადებით, ცხადია, რომ რუსული "იტერა" ამ აზერბაიჯანული გაზის შესყიდვაზე უარს იტყვის, მით უმეტეს, რომ არც ერთ ხელშეკრულებით ქართული მხარე "იტერას" უფრო იაფი გაზის შეძენას არ ავალდებულებს. გოცირიძის აზრით, შაჰ-დენიზთან მიმართებაში "იტერასთან" ურთიერთობა კიდევ უფრო საშინელი შედეგების მომტანი იქნება, თუ ამ კომპანიისთვის "თბილგაზის" გადაცემის საკითხიც დადგება. **"ამ შემთხვევაში საქართველო შაჰ-დენიზის პროექტიდან მის კუთვნილ ბუნებრივ აირს ვერასდროს მიიღებს",** - განაცხადა გოცირიძემ. "იტერასთვის" მის საკუთარ გაზზე უფრო იაფი ბუნებრივი აირის შეძენის ვალდებულების დაკისრებას საქართველოს ხელისუფლება რამდენიმე თვის წინ აპირებდა, როცა აქტიურად განიხილებოდა "თბილგაზის" სამართავად საქართველო - "იტერას" ერთობლივი საწარმოს შექმნის საკითხი. თუმცა, ამ პროექტის ჩაშლის შემდეგ (რაშიც საკმაოდ სერიოზული წვლილი მსოფლიო ბანკს მიუძღვის), "იტერასთვის" მსგავსი მოთხოვნის წაყენება, ჯერჯერობით, აზრადაც არავის მოსვლია.

"იტერასთვის" "თბილგაზის" მიყიდვის ან გადაცემის საკითხის კვლავ გააქტიურებას, პრაქტიკულად გამორიცხავს ალექსანდრე თვალჭრელიძე. რაც შეეხება "აზოტისთვის" შაჰ-დენიზიდან მიღებული ბუნებრივი აირის მიწოდებას, თვალჭრელიძის აზრით, **"ასეთ მკვდარ საწარმოზე აზერბაიჯანული გაზის დახარჯვა დაუშვებელი ფუფუნება იქნება".** იგი მიიჩნევს, რომ "იტერა" აზერბაიჯანული გაზის სიიაფეს გაითვალისწინებს და, შესაბამისად, ქართულ მხარეს შაჰ-დენიზის გაზის შესყიდვასთან დაკავშირებით პრობლემებს არ შეუქმნის. იგივეს აცხადებს საქართველოში "იტერას" წარმომადგენელი თამაზ პატარიძეც. მისი თქმით, "იტერა" კომერციული ორგანიზაციაა და უფრო იაფი გაზის გამოჩენის შემთხვევაში, საკუთარი საწარმოსთვის, ეს "აზოტი" იქნება, თუ რომელიმე სხვა, აუცილებლად ამ იაფ პროდუქტს შეიძენს. თუმცა, "იტერას" ასეთი პოზიცია არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის დაფიქსირებული.

რომან გოცირიძე დარწმუნებულია რომ "იტერასთან" შემდგარი გარიგება ქართულ მხარეს არანაირ მოგებას არ ჰპირდება. მისი თქმით, "იტერას" მხრიდან ერთადერთ დათმობად, შეიძლება მისი თბილისისთვის წინანსწარი გადახდის გარეშე უწყვეტი გაზმომარაგების უზრუნველყოფაზე დათანხმება ჩაითვალოს. თუმცა, იგი ამ შეთანხმებასაც სკეპტიკურად აფასებს და მას შენელებული მოქმედების ნაღმად მიიჩნევს, რომელიც აწყობს როგორც "იტერას", ასევე საქართველოს მთავრობას. გოცირიძის თქმით, წინასწარი გადახდის მექანიზმი, ქართულ მხარეს თანხების მაქსიმალურად ამოღებას აიძულებდა. **"ამ მარწუხისგან გათავისუფლება "თბილგაზს" მეტის მოპარვის საშუალებას მისცემს და არ არის გამორიცხული, რომ სულ რამდენიმე თვეში საქართველოს "იტერასადმი" ახალი სოლიდური დავალიანება დაუგროვდეს. მაგრამ ასეთი სიტუაცია საქართველოს მთავრობას მომდევნო ოთხ თვეში გაზის გათიშვისგან დააზღვევს, "იტერას" კი ამ ახალი ვალებით საჭირო მომენტში მანიპულირების საშუალებას მისცემს,"** – აცხადებს გოცირიძე. ამის გათვალისწინებით, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის თქმით, "აზოტი" მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ხელისუფლების მშვიდ გამოზამთრებას და "თბილგაზში" არსებულ კორუფციას შეეწირა ზვარაკად.


MBG

Microfinance Bank of Georgia

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

MBG – ის დამფუძნებლები არიან ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები. ჩვენი მიზანია, ვიყოთ პროფესიონალური და სანდო პარტნიორი, რომელიც სთავაზობს ევროპული სტანდარტების მომსახურებას ქართველ და უცხოელ კორპორაციულ და კერძო კლიენტებს. 1999 წლის მაისში ბანკის ფუნქციონირების დაწყებიდან, ჩვენ ვართ ყველაზე სწრაფად მზარდი ბანკი საქართველოში.

გთავაზობთ გახდეთ ჩვენი ჯგუფის წევრი და დაიკავოთ შემდეგი ვაკანსიები:

ოპერაციონისტი

*სამუშაო მოვალეობები:*
კონსულტაციების გაწევა კლიენტებისათვის
ანგარისის მართვა
საბანკო ოპერაციების წარმოება (ნაღდი ფულის გაცემა, თანხების მიღება, გადარიცხვები, ა.შ)

*მოთხოვნები :*
უმაღლესი განათლება
სამუშაოსადმი მიუკერძოებელი დამოკიდებულება, კლიენტებისადმი კეთილგანწყობილება, თვით-მოტივირებულობა, მზადყოფნა რთული სამუშაოს შესრულებისა და მუდმივი წინსვლისათვის;
უნარი სათანადო ყურადღება დაეთმოს დეტალებს, საუკეთესო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები
ზეწოლის ქვეშ და სწრაფად მუშაობის უნარი;
მშობლიური ენა – ქართული, რუსული ენის თავისუფალი ცოდნა (კითხვა და წერა), ინგლისური ენის კარგი ცოდნა ჩაითვლება პლუსად;
ასაკი: 22-30;

დეპოზიტების ექსპერტი
სამუშაო მოვალეობები:
- არსებული და პოტენციური კლიენტებისათვის საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე კონსულტაციების გაწევა
კლიენტების მოზიდვა, საბანკო პროდუქტების გაყიდვა
მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება ფინანსებში, მარკეტიგინში ან რომელიმე სხვა დაკავშირებულ საგანში (ან ბოლო კურსის სტუდენტი, სრული განაკვეთით მუშაობის შესაძლებლობით)
თვით-მოტივირებულობა, მზადყოფნა რთული სამუშაოს შესრულებისა და მუდმივი წინსვლისათვის; ურთიერთობის კარგი უნარ-ჩვევები
საბანკო საქმიანობის და პროდუქტების კარგი ცოდნა
კლიენტზე ორიენტირებული საქმიანი მიდგომა
მშობლიური ენა-ქართული, რუსული ენის თავისუფლად ცოდნა (კითხვა, წერა) და ინგლისური (კითხვა);
ასაკი: 20-30 წელი

სალომბარდო განყოფილების ოპერატორი
მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება
მოტივირებულობა, რთულ პირობებში მუშაობისათვის მზადყოფნა და განვითარებაზე ორიენტირებულობა
მშობლიური ენა – ქართული, რუსული ენის თავისუფალი ცოდნა,
ასაკი- 35 წლამდე

მოლარე
მოთხოვნები:
არანაკლებ ერთი წლის მუშაობის გამოცდილება იგივე თანამდებობაზე
მშობლიური ენა – ქართული, რუსული ენის თავისუფალი ცოდნა
მოტივირებულობა, რთულ პირობებში მუშაობისათვის მზადყოფნა და განვითარებაზე ორიენტირებულობა
რეკომენდაციები წინა სამუშაო ადგილებიდან
ასაკი- 35 წლამდე

საკრედიტო ექსპერტი (6 ვაკანსია)
მოთხოვნები:
საწყის ეტაპზე თეორიული და პრაქტიკული სწავლების შემდეგ, ჩვენს საკრედიტო ექსპერტებს ევალებათ სათანადო კლიენტების შერჩევა და მათი ფინანსური შესაძლებლობების ანალიზი. საკრედიტო ექსპერტი პასუხისმგებელია მთლიან სასესხო პროცესის ორგანიზებაზე და მის კონტროლზე.

მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება (აუცილებელი არ არის ეკონომიკური)
ზოგადი ეკონომიკური საკითხებით დაინტერესება
მუდმივ ზრდაზე და განვითარებაზე ორიენტირებულობა
კომუნიკაბელურობა
უპირატესობად ჩაითვლება მუშაობის გამოცდილება მცირე ბიზნესში
მშობლიური ენა ქართული, თავისუფლად ფლობდეს რუსულ ენას (წერა, ზეპირი).
ასაკი – 30 წლამდე

აღნიშნულ ვაკანსიებზე კანდიდატურები განიხილება თბილისის ფილიალისათვის

დაინტერესებულმა პირებმა გამოგვიგზავნეთ შემდეგი საბუთები:
განცხადება
რეზიუმე ერთი ფოტოსურათით
დიპლომის და სხვა სერთიფიკატების ასლები
რეკომენდაცია

გთხოვთ მიუთითოთ რომელ ვაკანსიაზე შემოგაგვთ განცხადება და გამოაგზავნოთ საბუთები შემდეგ მისამართზე:
**MBG – საქართველოს მოკროსაფინანსო ბანკი**
**ქ. თბილისი-380012, თამარ მეფის გამზ. N18**

***საბუთები მიღება წარმოებს 2002 წლის 14 დეკემბრამდე***

# პრეზიდენტი პუტინი აღმოსავლეთში ტურნეს განაგრძობს

გუშინ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ჩინეთიდან ინდოეთში ჩავიდა. ის ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან და პრეზიდენტთან საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს განიხილავს. **"არსებობს უამრავი პრობლემა, რომელიც ჩვენ ინდოეთის ხელმძღვანელობასთან უნდა განვიხილოთ. საერთაშორისო არენაზე ერთად ბევრის გაკეთებას შევძლებთ. ჩვენი ამოცანაა, ზღვარი დავუდოთ ტერორიზმს მთელ მსოფლიოში და იმ რეგიონებში, რომლებიც ჩვენს შეშფოთებას იწვევს,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა. მოსალოდნელია, რომ რუსეთისა და ინდოეთის ლიდერები ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ერთობლივი კომისიის შექმნის საკითხს განიხილავენ. ისინი ასევე ხელს მოაწერენ ერთობლივ შეთანხმებებს რეგიონული თანამშრომლობის შესახებ. **"ჩვენ, რასაკვირველია, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში თანამშრომლობის საკითხებსაც შევეხებით,"** - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა დელიში გამგზავრების წინ.

რუსეთის ფედერაციის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრის ილია კლებანოვის ინფორმაციით, საუბარი შეეხება ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის, სამხედრო ავიაციისა და ჯავშანტექნიკის სფეროებში ახალი ერთობლივი პროექტების განხორციელებას. წლის ბოლომდე ხელი მოეწერება კონტრაქტს ინდოეთისათვის რუსული გემის "ადმირალ გროშკოვის" გადაცემის თაობაზე. კონტრაქტის ღირებულება დღემდე გასაიდუმლოებულია. კლებანოვის თქმით, რუსეთისა და ინდოეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის მოცულობა ყოველწლიურად, დაახლოებით, 1,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

თავის მხრივ, დელი რუსეთს პაკისტანთან კონფლიქტში თავის პარტნიორად განიხილავს. ამდენად, ინდოეთის ხელისუფლებას პუტინთან მოლაპარაკებების დროს სურს, ყურადღება გაამახვილოს პაკისტანის მიერ ქაშმირელი ტერორისტების მფარველობაზე.

მოსალოდნელია, რომ ორი ქვეყნის ლიდერები ასევე დიდ ყურადღებას დაუთმობენ ერაყის პრობლემატიკას. მოსკოვი და დელი კიდევ ერთხელ დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, ერაყის საკითხის მშვიდობიანი მეთოდებით დარეგულირების თაობაზე.

REUTERS

*ვლადიმირ პუტინი მეუღლესთან ერთად, ინდოეთის პრეზიდენტი აბდულ ქალამი და ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ათალ ბიჰარი ვაჯპაიი*

# აშშ-ევროპა: პარტნიორები თუ მეტოქეები?

*საერთო ღირებულებების მიუხედავად, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ამერიკელ და ევროპელ პოლიტიკოსთა მოსაზრებები ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავდება. ტრანსატლანტიკური აზრთა სხვადასხვაობა და მისი მიზეზები ძველ მოკავშირეებში დიდ შეშფოთებას იწვევს.*

რევაზ ბახტაძე

ერაყის განიარაღება, ახლო აღმოსავლური პოლიტიკა, ევროკავშირის გაფართოება, მსოფლიოში უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და ორმხრივი ვაჭრობა – ეს იმ საკითხთა ნუსხაა, რომლის შესახებ ამერიკელთა და ევროპელთა პოზიციები თითქმის ყოველთვის განსხვავებულია.

ევროპელი ინტელექტუალები, ფაქტობრივად, ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ამერიკელებსა და ევროპელებს, კარგა ხანია, საერთო "სტრატეგიული კულტურა" აღარ აერთიანებთ.

აშშ-ევროკავშირის დღევანდელი ურთიერთობების შესახებ სასაუბროდ ვაშინგტონში არსებულ "საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიის ცენტრში" სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმარების განყოფილების დირექტორი რიჩარდ ჰაასი საგანგებოდ მიინვიეს.

რიჩარდ ჰაასის თქმით, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობები თანამედროვე საფრთხეებსა და შესაძლებლობებს უნდა პასუხობდეს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დანგრევისა და ევროპის ინტეგრაციის ფონზე წარმოიქმნა.

სახელმწიფო დეპარტამენტის მომხსენებელმა სამი ძირითადი სფერო გამოჰყო, სადაც ევროპელები და ამერიკელები თვალსაზიერ მომავალში კვლავ პარტნიორებად დარჩებიან: 1. საერთაშორისო პრობლემების მოგვარება, როგორებიცაა ტერორიზმი, კლიმატის ცვლილება, მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობა და გლობალიზაციის უარყოფითი ეფექტების დაძლევა; 2. რეგიონული კრიზისების მოგვარება, მათ შორის, ავღანეთში, ერაყში, სამხრეთ აზიასა და ანდების რეგიონში; 3. რუსეთის, ჩინეთისა და ისლამური სამყაროს ისეთ საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრირება, სადაც "სახელმწიფოები გარკვეულ წესებს ემორჩილებიან".

ვაშინგტონში გამართული შეხვედრის პარალელურად, ლონდონის "სტრატეგიის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტში" ანალოგიური თემა განიხილებოდა. მომხსენებელთა შორის იყო ევროკავშირში ამერიკის ელჩი როკველ შნაბელი. მისი თქმით, აშშ-ევროკავშირის ურთიერთობი თვისობრივად განსხვავდება ისტორიაში არსებული ყველა ურთიერთობებისაგან: სწორედ შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპა აკონტროლებს გლობალური ეკონომიკის 50 პროცენტს და ყოველწლიურად ორმხრივი ვაჭრობისა და ინვესტიციების მოცულობა 1.4 ტრილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. თუმცა, მისი აზრით, არ არის საკმარისი მხოლოდ საერთო მიზნების არსებობა. მთავარია, საერთო მიდგომების ჩამოყალიბება.

მაინც, რამ განაპირობა მოკავშირეებს შორის პოზიციათა გაუცხოება? ამ შეკითხვას პოლიტიკოსებიცა და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებიც ძალიან ხშირად სვამენ. მასზე ამომწურავი პასუხი, ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა ზოგიერთი მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება.

მართალია, ევროპელებსა და ამერიკელებს საერთო მსოფლმხედველობა და ღირებულებები გააჩნიათ, მაგრამ ძალასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე (ძალის ეფექტურობა, ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ზნეობრივი დილემა, ძალაუფლების მოპოვების სურვილი) ევროპელთა და ამერიკელთა შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება. ევროპა ძალაზე, ძალის გამოყენებაზე სულ უფრო ხშირად ამბობს უარს; ის ძალაზე მაღლა მდგომი კანონების, წესების, საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და თანამშრომლობის მოდელისაკენ მიილტვის.

ევროპელთა აზრით, აშშ, ევროპასთან შედარებით, გაცილებით ხშირად მიმართავს ძალის გამოყენებას და დიპლომატიური ურთიერთობებისას ნაკლებ მოთმინებას ამჟღავნებს. ამის საპირისპიროდ, ევროპელები პრობლემებს უფრო კომპლექსურად და დახვეწილი მეთოდებით უდგებიან. ისინი ცდილობენ, სხვებზე გავლენა არაპირდაპირ, შეუმჩნევლად მოახდინონ. ისინი წარუმატებლობას უფრო მეტად ეგუებიან, უფრო მომთმენნი არიან იმ სიტუაციებში, როდესაც სასურველი შედეგი სწრაფად არ მოდის, ჩვეულებრივ, პრობლემებზე მშვიდობიანი მეთოდებით რეაგირებენ, ძალადობას კი მოლაპარაკებებს, დიპლომატიასა და დარწმუნებას ამჯობინებენ. ევროპელები დავების გადასაჭრელად საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო კონვენციებს გაცილებით ხშირად მიმართავენ. ისინი კომერციული და ეკონომიკური კავშირების გამოყენებას სახელმწიფოთა გასაერთიანებლად ცდილობენ, უფრო მეტ აქცენტს, შედეგის ნაცვლად, პროცესზე აკეთებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ პროცესი, საბოლოოდ, შეიძლება არსად გადაიქცეს.

იმის მიუხედავად, თუ რა მიზეზებს უძებნიან ევროპელები და ამერიკელები აღნიშნულ შეუთანხმებლობას, ფაქტია, რომ დღეს არსებული სხვაობები, თავისთავად, ამერიკელებისა და ევროპელების ეროვნული თავისებურებების გამო არ წარმოქმნილა. მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწეების გამოსვლები დღევანდელი ევროპელი პოლიტიკოსების მოწოდებებს ძალიან ჰგავდა. ორი საუკუნის შემდეგ, ამერიკელებმა და ევროპელებმა ადგილები და შეხედულებები გაცვალეს. ეს, ნაწილობრივ, იმით არის განპირობებული, რომ ამ ორასი წლის მანძილზე და, განსაკუთრებით, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ძალის განაწილება მსოფლიოში მკვეთრად შეიცვალა. **როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები სუსტი იყო, ის სუსტისთვის დამახასიათებელ სტრატეგიებს იყენებდა; ახლა, როდესაც აშშ ძლიერია, ის ისე იქცევა, როგორც ძლიერ სახელმწიფოს შეჰფერის.**

## ძალის ასიმეტრია: აღქმა და რეალობა

ევროპა, სამხედრო თვალსაზრისით, დიდი ხნის განმავლობაში სუსტი იყო, თუმცა დღემდე ამ სისუსტეს კარგად ნიღბავდა. მეორე მსოფლიო ომმა ევროპული სახელმწიფოები, როგორც მსოფლიო პოლიტიკის შემოქმედნი, გაანადგურა. ომის შემდგომმა სამხედრო უძლურებამ ევროპელებს აზიაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში კოლონიური იმპერიების შენარჩუნებაზე ხელი ააღებინა და აიძულა, ხუთსაუკუნოვან იმპერიულ ბატონობაზე უარი ეთქვათ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მათი სისუსტე ცივი ომის დროს წარმოქმნილი უნიკალური გეოპოლიტიკური ვითარებით იყო შენიღბული. ორ ზესახელმწიფოს შორის მოქცეული დასუსტებული ევროპა, ყველაფრის მიუხედავად, კომუნიზმსა და თავისუფალ სამყაროს შორის მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ბრძოლის ცენტრალური არენა იყო. მსოფლიო ლიდერობის გამოცდილება ევროპელებს იმაზე მეტი საერთაშორისო გავლენის შენარჩუნების საშუალებას აძლევდა, ვიდრე ეს მათ რეალურ სამხედრო შესაძლებლობებს შეესაბამებოდა. **ექსპერტების თქმით, ევროპამ მსოფლიოს სტრატეგიული ცენტრის როლი სწორედ ცივი ომის დამთავრებასთან ერთად დაკარგა.**

ცივი ომის დასრულებისთანავე წარმოიშვა თეორიები, რომლის თანახმად, გაერთიანებული ევროპა ახალი ზესახელმწიფო გახდებოდა. თუმცა, ევროპელთა პრეტენზიები და ამერიკელთა აღქმა არასწორი აღმოჩნდა. 1990-იან წლებში, ევროპული ზესახელმწიფოს აღმავლობის ნაცვლად, ევროპის ძლიერებამ მკვეთრად იკლო. ბალკანეთის კონფლიქტმა ევროპელთა სამხედრო სისუსტე და პოლიტიკური გათიშულობა გამოააშკარავა; მე-20 საუკუნის ბოლოს კოსოვოს კონფლიქტმა ამერიკასა და მის ევროპელ მოკავშირეებს შორის თანამედროვე ომის საწარმოებლად აუცილებელ სამხედრო ტექნოლოგიებსა და შესაძლებლობებში არსებული უფსკრული გამოავლინა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, საუკეთესო შემთხვევებში, ევროპის როლი სამშვიდობო ოპერაციებით შემოიფარგლებოდა, როდესაც შეერთებული შტატები გადამწყვეტ სამხედრო ბრძოლას იგებდა და სიტუაციის სტაბილიზირებას ახერხებდა. როგორც ზოგიერთი ევროპელი მიმომხილველი აღნიშნავს, ახლა შრომის საერთაშორისო განაწილება იმაში გამოიხატება, რომ შეერთებული შტატები "სადილს ამზადებს", ევროპა კი "ჭურჭელს რეცხავს".

ანალიტიკოსების თქმით, არარეალისტურია იმის მოლოდინი, რომ ევროპა საერთაშორისო არენაზე დიდი სახელმწიფოს სტატუსს დაიმკვიდრებს მანამ, სანამ ევროპელები მზად არ იქნებიან, რომ მნიშვნელოვანი რესურსები სოციალური პროგრამებიდან სამხედრო ხარჯებზე გადაიტანონ. ცივი ომის შემდეგ ისინი იმდენსაც კი არ ხარჯავენ, რომ კონტინენტზე მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაცია ამერიკელთა დახმარების გარეშე ჩაატარონ. ამჟამად, ევროპის ქვეყნების თავდაცვის ბიუჯეტები მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტზე ნაკლებია.

## ძლიერისა და სუსტის ფსიქოლოგია

ცნობილი ანალიტიკური ცენტრის - "საერთაშორისო მშვიდობის კარნეგის ფონდის" მკვლევარის რობერტ კაგანის აზრით, ამჟამინდელი ტრანსატლანტიკური პრობლემა ჯორჯ ბუშის მიერ კი არ არის ხელოვნურად შექმნილი, არამედ ძალის ასიმეტრიულობით გახლავთ გამოწვეული. ამერიკის სამხედრო ძლიერება ამ ძალის გამოყენების ცდუნებას ქმნის. ევროპის სამხედრო სისუსტის გათვალისწინებით, ძალის მიმართ მათი უარყოფითი დამოკიდებულება სავსებით გასაგებია. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ევროპის ინტერესი იმგვარი მსოფლიო წესრიგის შესაქმნელად, სადაც ძალას დიდი მნიშვნელობა არ ექნება, სადაც საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს ასრულებს, სადაც ძლიერი სახელმწიფოების მიერ ცალმხრივი მოქმედება აკრძალულია, სადაც ყველა სახელმწიფო, მათი ძალის მიუხედავად, თანაბარი უფლებებით სარგებლობს და საერთო შეთანხმებით შექმნილი საერთაშორისო ქცევის წესებით თანაბრად არის დაცული. უხსოვარი დროიდან სწორედ ეს სურდათ სუსტ სახელმწიფოებს, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებს მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში, როდესაც ევროპული გიგანტების შემოტევის ეშინოდა.

ევროპელები თავიანთ ძალასა და შესაძლებლობებს არ ზრდიან. მათი სტრატეგია, ისევე როგორც მათი მიზანი, ზოგადად, სუსტის ტაქტიკაა. ისინი ამერიკის ძალის შეზღუდვას საკუთარი ძალის გაზრდის გარეშე ცდილობენ. მათ "ბეჰემოთის" კონტროლი მისი სინდისის მოხმობით სურთ.

კაგანის თქმით, ეს საკმაოდ სერიოზული სტრატეგიაა. შეერთებული შტატები სინდისის მქონე "ბეჰემოთია". ამერიკელებს ევროპის ძველი წესრიგისათვის დამახასიათებელი პრიციპი - "ძლიერი ყოველთვის მართალია" - არასოდეს გაუზიარებიათ. შეერთებული შტატების საზოგადოება ლიბერალური და პროგრესულია, რომელსაც ძალის სჯერა, მაგრამ მას ლიბერალური ცივილიზაციის პრინციპების გასავრცელებლად და ლიბერალური მსოფლიო წესრიგის გასამტკიცებლად იყენებს. ამერიკელები ევროპელებს ეთანხმებიან, რომ მსოფლიო სისტემა უფრო მოწესრიგებული, ძალის პრიმატის ნაცვლად, საერთო წესებზე დაფუძნებული უნდა იყოს. ამას რიჩარდ ჰაასი და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ამერიკელი პოლიტიკოსების გამოსვლებიც მოწმობს.

ამჟამინდელი ვითარება პარადოქსულია. ევროპის მიერ ძალის პოლიტიკის უარყოფა, შეიარაღებული ძალების, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ინსტრუმენტის როლის დაკნინება ამერიკის შეიარაღებული ძალების ევროპაში განლაგებით არის განპირობებული. შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერებამ ევროპელთა ყველა თავსატეხი მოაგვარა: უზრუნველყო ევროპელთა უსაფრთხოება და გადაჭრა "გერმანიის პრობლემა", რაც ევროპელებს საშუალებას აძლევს, დაიჯერონ, რომ ამერიკის სამხედრო ძლიერება და მისი "სტრატეგიული კულტურა", რომელმაც მათი "სასწაული" შექმნა და შეინარჩუნა, სახიფათო და მოძველებულია.

როდესაც მილიონობით ევროპელი 11 სექტემბრის შემდეგ ქუჩაში გამოვიდა, ამერიკელთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ეს საერთო საფრთხის გაცნობიერებამ გამოიწვია. ამერიკელების აზრით, ევროპელები მიხვდნენ, რომ შემდეგი ისინი იქნებოდნენ. ევროპელები კი, უმეტესწილად, ასე არ ფიქრობენ. მათ არ სჯერათ, რომ ეს საფრთხე მათაც ემუქრებათ. ისინი მეორადი სამიზნეები არიან, რადგან ევროპული სახელმწიფოები, დიდი ხანია, ახლო აღმოსავლეთში იმპერიულ პოლიტიკას აღარ აწარმოებენ, რასაც მათ წინააღმდეგ, შესაძლოა, ისეთივე ანტაგონიზმი მოჰყოლოდა, როგორიც ამჟამად ამერიკის მიმართ არსებობს. ევროპელთა მიერ შეერთებული შტატების დროშის ფრიალი მხოლოდ ადამიანური სოლიდარობა, მწუხარება და თანალმობა იყო, ვიდრე საკუთარი ინტერესის გამოხატულების ნიშანი.

რობერტ კაგანის აზრით, დღეს ამერიკელები იმდენად ძლიერები არიან, რომ მათ ევროპელებისა და მათთან დაპირისპირების არ ეშინიათ. თუმცა, ევროპულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობას ვაშინგტონისათვის უზარმაზარი იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ამის გამო, ამერიკამ საერთაშორისო წესებს, უბრალოდ, მეტი პატივი უნდა სცეს, ხოლო გადამწყვეტ მომენტებში ერთპიროვნულად იმოქმედოს, თუ სხვა გამოსავალი არ იარსებებს, - ამერიკელისათვის დამახასიათებელი პრაგმატულობით ამტკიცებს კაგანი. შეერთებული შტატები და ევროპა საერთო ღირებულებებს იზიარებენ და იმის მიუხედავად, რომ ძალის ამგვარი ასიმეტრია არსებობს, "დიდი გულუბრყვილობა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მინიმალური დოზით საერთო გაგება კიდევ დიდხანს იარსებებს", - დარწმუნებულია ამერიკელი მკვლევარი.

# როგორ ამტკიცებდა რუსეთის პროკურატურა ზაკაევის დანაშაულს

პირველი გვერდიდან

ზოგიერთი ბრალდება და წარდგენილი მტკიცებულებები, მიმომხილველთა თქმით, პირდაპირ ანეკდოტური იყო.

ზაკაევისათვის წაყენებული ყველაზე სერიოზული ბრალდება 1996 წელს ორი მართლმადიდებელი მღვდლის მოტაცებასა და მკვლელობას ეხებოდა. რუსეთის პროკურატურის მტკიცებით, ზაკაევმა და ჩეჩნეთის მაშინდელმა სამხედრო პროკურორმა ჯანიევმა, იჩქერიის პრეზიდენტის ნებართვით, რუსი სასულიერო პირები გაიტაცეს და მოკლეს.

დანიამ რუსეთისაგან ამ ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები მოითხოვა. პროკურატურას მათი წარდგენა გაუჭირდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ჯანიევი ექვსი წლის მკვდარია, იანდარბიევი კი, ბუნებრივია, ჩვენების მიცემას არ აპირებდა.

ამის შემდეგ, ჭკვიანი პროკურორები ადგნენ და დანიაში მამა სერგეი ჟიგულინის ცინცხალი ჩვენება გააგზავნეს. ეს ის ჟიგულინია, რომლის მკვლელობაშიც ბრალი ედებოდა ზაკაევს.

საქმე ისაა, რომ სანამ დანია დამატებით მტკიცებულებების გამოგზავნას ელოდა, რუსმა ჟურნალისტებმა ცოცხალ და ჯანმრთელ მღვდელს მიაკვლიეს. პროკურატურამ კი მას სასწრაფოდ ჩვენება ჩამოართვა და დანიას გაუგზავნა, როგორც ზაკაევის დანაშაულის ერთ-ერთი მტკიცებულება.

ამის შემდეგ დანიის იუსტიციის სამინისტროს ისღა დარჩენოდა, რომ ზაკაევისათვის ბოდიში მოეხადა და იგი ვადაზე ადრე გაეშვა.

ჩეჩნეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი გაათავისუფლეს და განუცხადეს, რომ შეუძლია, სადაც უნდა, იქ წავიდეს. ზაკაევს შენგენის ერთნლიანი მოქმედი ვიზა აქვს, რომელიც, ფორმალურად, ევროკავშირის ყველა ქვეყანაში შესვლის უფლებას აძლევს. თუმცა, საეჭვოა, რომელიმე ქვეყანამ, განსაკუთრებით კი - ბელგიამ, რომელმაც მას ვიზა მისცა, მისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაც მოინდომოს.

ევროპაში ზაკაევს საკმაოდ გავლენიანი მფრველი ჰყავს ცნობილი ბრიტანელი მსახიობის - ვანესა რედგრეივის სახით, რომლის სახლშიც იგი დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა. "ამ საშინელ სამყაროში სასწაულები კიდევ ხდება," - განაცხადა რედგრეივმა, როდესაც ზაკაევის გათავისუფლების შესახებ შეიტყო.

რუსეთის სამართალდამცავები აპირებენ, დანიის იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება ევროპის სასამართლოში გაასაჩივრონ.

# თურქეთის პოზიცია ერაყთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, უცნობია

ლევან ღირსიაშვილი

გუშინწინ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო და აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილე პოლ ვოლფოვიცი ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვივნენ. მათი ანკარაში ჩასვლის მიზანი, ერაყის წინააღმდეგ ომზე თურქეთის დათანხმება იყო. გუშინ ცნობილი გახდა თურქეთის მთავრობის პოზიცია, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა იასირ იაკიშმა თავის ბრიტანელ კოლეგასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე დააფიქსირა. იაკიშის თქმით, საჭიროების შემთხვევაში თურქეთი შეერთებულ შტატებთან აუცილებლად ითანამშრომლებს. თუმცა, ამავე დროს, თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი გაერო-ს უშიშროების საბჭოსგან ახალი რეზოლუციის მიღებას მოითხოვს, სადაც საუბარი იქნება სამხედრო ძალის გამოყენების უფლებაზე. **"უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული -1441 რეზოლუცია ძალის ავტომატურად გამოყენების უფლებას არ იძლევა, თუმცა, ჩვენ ვითანამშრომლებთ აშშ-სთან, ანუ დავუთმობთ მათ სამხედრო-საჰაერო ბაზებსა და საჭირო აღჭურვილობას,"** - განაცხადა იაკიშმა და იქვე დასძინა, რომ თურქეთის ხელისუფლებას კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით გადაჭრის იმედი აქვს. **"მაგრამ, თუ საქმე ომამდე მივა, ჩვენ, რასაკვირველია, აშშ-სთან ვითანამშრომლებთ, რადგან ის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა, რომელთანაც შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს,"** - აღნიშნა იაკიშმა.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოგვიანებით იაკიშის განცხადების შერბილებას შეეცადა და გაავრცელა პრეს-რელიზი, რომლის მიხედვითაც თურქეთის მთავრობას ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის მხარდაჭერის შესახებ საბოლო გადაწყვეტილება, ჯერჯერობით, არ მიუღია. **"თურქეთს თავის თავზე არანაირი ვალდებულება არ აუღია,"** - აღნიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ხელისუფლების პოზიცია, ჯერჯერობით, ნათელი არ არის, აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილე პოლ ვოლფოვიცი დაჟინებით ცდილობს ერაყის საკითხში თურქეთის მხარდაჭერის მოპოვებას. **"ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, რომ აღარ ვთამაშობთ და ჩვენთვის მთავარია ერაყის განიარაღება. სასურველია, რომ ეს მათი ნებით მოხდეს, მაგრამ ჩვენ მზად ვართ, გამოვიყენოთ სამხედრო ძალა, თუკი ეს საჭირო იქნება. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ სადამ ჰუსეინი, რომ მთელი მსოფლიო ამ საკითხის მიმართ სერიოზულად არის განწყობილი და აშშ და თურქეთი მჭიდროდ თანამშრომლობენ. მხოლოდ ამგვარად მივაღწევთ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას,"** - განაცხადა ვოლფოვიცმა ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას. ამასთანავე, მან უარი თქვა, ეპასუხა კითხვაზე, განაცხადებს თუ არა აშშ თურქეთში, ერაყის საზღვართან 100 ათას სამხედრო მოსამსახურეს. ინფორმაციამ ამის თაობაზე რამდენიმე ხნის წინ გაჟონა. ასევე ნათქვამი იყო, რომ თითქოს აშშ აპირებს, თურქეთს 40-ათასიანი არმიის გამოყოფის შესახებ სთხოვოს. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც უარი განაცხადეს, დაეკონკრეტებინათ თურქეთის სამხედრო მოსამსახურეთა ზუსტი რიცხვი, რომლებიც ერაყის წინააღმდეგ შესაძლო კამპანიაში მიიღებენ მონაწილეობას.

ვოლფოვიცმა თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერს - ერდოქანს აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ოფიციალური მიწვევა გადასცა. შეერთებული შტატების ლიდერი ერდოგანს მომავალ კვირას ვაშინგტონში იწვევს, სადაც ერაყისა და კვიპროსის საკითხებზე ისაუბრებენ. ამავე შეხვედრაზე განიხილავენ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივასაც.

## მოკლედ

**კენია.** დასავლეთის სპეცსამსახურებმა გასულ კვირას კენიის დედაქალაქში განხორციელებული ტერაქტის მთავარი ორგანიზატორის ვინაობა დაასახელეს. ეჭვმიტანილი - ფეიზალ აბდულ მოჰამედი მსოფლიოში ყველაზე საშიში 22 ტერორისტის სიაშია შეყვანილი.

▪ ▪ ▪

**თურქმენეთი.** თურქმენეთის გენერალური პროკურორის გურბანბიბი ათაჯანოვის განცხადებით, გასულ კვირას ქვეყნის პრეზიდენტზე - საფარმურატ ნიაზოვზე განხორციელებულ თავდასხმაში თურქი და ჩეჩენი დაქირავებული მკვლელები იღებდნენ მონაწილეობას. თითოეულ მათგანს ნიაზოვის მოკვლისათვის 25 ათას ამერიკულ დოლარს შეჰპირდნენ.

▪ ▪ ▪

**ერაყი.** სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში სამხედრო მოქმედებები დაიწყო. ერთმანეთს ქურთისტანის პატრიოტთა კავშირისა და საერთაშორისო ტერორისტული ქსელის - "ალ ქაიდას" წევრები ებრძვიან.

▪ ▪ ▪

**ჰოლანდია.** გუშინ პოლიციამ ბომბები აღმოაჩინა ავეჯის მწარმოებელი ცნობილი ფირმის "იკეას" ერთდროულად სამ მაღაზიაში. უტრეხტში, ამსტერდამსა და სლიდრეხტში ნაპოვნი ასაფეთქებელი მოწყობილობები პოლიციამ გააუვნებელყო. შვედური "იკეა" ავეჯის მწარმოებელი, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა. წინასწარი ვერსიით, პოლიცია აცხადებს, რომ მომხდარი ტერორისტების ნამოქმედარი არ არის.

▪ ▪ ▪

**აღმოსავლეთ ტიმორი.** ხუთი ახალგაზრდა დაიღუპა პოლიციისა და სტუდენტების შეტაკების შედეგად. ხუთივე მათგანი ცეცხლსასროლი იარაღით არის მოკლული. სისხლისღვრას სტუდენტთა მასობრივი გამოსვლები მოჰყვა, რასაც მთავრობამ დედაქალაქ დილიში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით უპასუხა.

# რამდენი შიდსით დაავადებულია აჭარაში?

*"აჭარაში შიდსის ვირუსით დაავადებულთა რაოდენობა შემაშფოთებელია და სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს", თვლის აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის განყოფილების თანამშრომელი ზორია წურწუმია.*

ნატა ცივაძე

ბათუმი

დღეისთვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 50 შიდსით ინფიცირებული, მათგან 12 ქალია. 5 ინფიცირებული (სამი მამაკაცი, ერთი ქალი და ერთი ბავშვი) უკვე გარდაიცვალა. "გარდა ამისა, ეჭვი გვაქვს კიდევ ორ ბავშვზე, რადგან მშობელია ინფიცირებული, თუმცა, ოფიციალურად ამის თქმა არ შეგვიძლია, რადგან გამოკვლევაზე უარს აცხადებენ. კანონით, ეს ნებაყოფლობითია და დაძალების უფლება არა გვაქვს. ამ ციფრიდან 16 ხელვაჩაურის რაიონზე მოდის. ეს ის ხალხია, რომლებიც რუსეთსა და უკრაინაში მოძრაობდნენ. ჩვენს მოქალაქეებს თავიდან იქიდან ჩამოტანილი შიდსი ჰქონდათ, მაგრამ ახლა ადგილობრივი წყაროებით ვრცელდება", - ამბობს ზორია წურწუმია. ინფიცირებულთაგან 5 მეძავია, 40 - ინტრავენური ნარკომანი, ხოლო 7 დაავადებულია მათი მიზეზით. "ფაქტობრივად, 95 პროცენტი ნარკომანიაზე მოდის. ეს საშინელი პროცენტია", - აღნიშნავს წურწუმია. რაც შეეხება ზრდის დინამიკას, ერთი წლის წინ, როცა შიდსთან დაკავშირებით ბათუმი პანიკამ მოიცვა, მხოლოდ 21 ინფიცირებული იყო.

ერთი წლის წინ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შიდსთან ბრძოლის განყოფილებამ, სოროსის ფონდის მხარდაჭერით, შიდსის ზიანის შემცირების პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის ფარგლებში განყოფილება 50 ნარკომანს ყოველდღიურად უფასოდ შპრიცებს და პრეზერვატივებს ურიგებდა. "ეს ციფრი პროექტით იყო გათვალისწინებული, თორემ, დახმარებით, პრაქტიკულად, 2000-მდე ნარკომანმა ისარგებლა",- ამბობს ზორია. მისი განცხადებით, სამართალდამცავებს პროექტისთვის ხელი არ შეუშლიათ. სპეციალური სემინარების შემდეგ პოლიციელებმა გაითავისეს ეს პრობლემა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა ანონიმური კვლევა. 50 ინექციური ნარკომანიდან 43 "სუფთა" ნარკომანი აღმოჩნდა. დანარჩენი მათი პარტნიორი იყო. 43 ნარკომანიდან 39-ს ჰეპატიტი აღმოაჩნდა, ორს - B, ორი შიდსით იყო ინფიცირებული და მხოლოდ ერთი - სრულიად ჯანმრთელი. "ბათუმის ნარკოლოგიურ დისპანსერში 1500-ზე მეტი ნარკომანია აღრიცხული. აღარაფერს ვამბობ არაოფიციალურ ციფრზე. ყველა რომ გამოვიკვლიოთ, წარმოიდგინეთ, როგორ სტატისტიკას მივიღებთ. ეს, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელია, მაგრამ ჯერ კიდევ ის ციფრია, როცა შეიძლება შველა", -გვითხრა პროექტის ხელმძღვანელმა.

ბათუმში ხშირად ვრცელდება ჭორები შიდსით ინფიცირებულთა შესახებ. არადა, ეს მათი პირადი საიდუმლოა და მკაცრად უნდა იყოს დაცული. ზორია წურწუმია აღნიშნავს, რომ ანონიმურობის ინსტიტუტი, მართლაც, დახვეწას საჭიროებს და მის კოლეგებს, პროფესიული საიდუმლოს დაცვისას, მეტი სიფრთხილე მართებთ.

## სტიქიით დაზარალებული დასავლეთ საქართველო დახმარებას ითხოვს

დასავლეთ საქართველოში ორშაბათს დაწყებული ძლიერი ქარიშხლის სიჩქარემ 35 მ/წმ-ს გადააჭარბა. ამის შესახებ გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულებმა თემურ შაშიაშვილმა და ბონდო ჯიქიამ განაცხადეს.

თემურ შაშიაშვილის ინფორმაციით, იმერეთში 500-მდე საცხოვრებელი სახლი სახურავის გარეშე დარჩა. იმერეთის მსგავსად, მძიმე ვითარებაა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ქარიშხლის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადამცემი ხაზები ფოთში, ტყიბულში, ბაღდადში, თერჯოლაში, ქუთაისში, სამტრედიის, ხონისა და ვანის რაიონებში. გარდა ამისა, ქარიშხალმა სახლებს სახურავი გადახადა, მოსახლეობას არ მიეწოდება სასმელი წყალი. იმერეთში კი ტყის მასივებს ცეცხლი გაუჩნდა. მარტო ქუთაისში საგანმანათლებლო ობიექტებს 390 ათასი ლარის ზარალი მიადგა.

როგორც ბონდო ჯიქია აცხადებს, ფოთში დაზიანდა ცამეტამდე საცხოვრებელი სახლი, ხუთი საბავშვო ბაღი და ექვსი სკოლა. ჩამოწყვეტილია ელექტროხაზები. ფოთის მოსახლეობას სასმელი წყალი და ელექტროენერგია არ მიეწოდება. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 200-ზე მეტი საცხოვრებელი სახლია დაზიანებული. შაშიაშვილისგან განსხვავებით, ბონდო ჯიქია ცენტრალური ხელისუფლებისგან ითხოვს დახმარებას და აცხადებს, რომ ადგილობრივი ძალებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება შეუძლებელია.

რწმუნებულების გამოსვლის შემდეგ რეგიონული სამსახურის უფროსმა ირაკლი ბოჭორიძემ განაცხადა, რომ ქარიშხალი გრძელდება, ამიტომ შეუძლებელია რეგიონებში ადგილზე რაიმეს გაკეთება. მისი თქმით, უნდა შეიქმნას სარეზერვო ფონდი, რომელიც ასეთ ვითარებაში ამოქმედდება, ვინაიდან ადგილობრივი სახსრებით ამგვარი პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია. **კავკას-პრესი.**

## "თიკოს და ნიკოს თავგადასავალი" სამცხე-ჯავახეთში

საერთაშორისო მართლმადიდებელ ქრისტიანთა მოწყალების ფონდის ინიციატივითა და სამოქალაქო აღზრდისა და გარემოსმცოდნეობის ცენტრის „გაიას" თანამონაწილეობით, უახლოეს დღეებში სამცხე-ჯავახეთის სკოლებში მოეწყობა ტრენინგები. ისინი წარიმართება წიგნის „თიკოს და ნიკოს თავგადასავლის" დახმარებით, რომელშიც წარმოდგენილია აღზრდის, ბავშვთა უფლებებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ელემენტები. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ პროგრამას საქართველოში ახორციელებს საერთაშორისო მართლმადიდებელ ქრისტიანთა მოწყალების ორგანიზაცია, რაც შეთანხმებულია განათლების სამინისტროსთან. მსგავსი ტრენინგები თბილისსა და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში უკვე ჩატარდა. სამცხე-ჯავახეთში წარმოდგენილი იქნება წიგნის ორენოვანი (ქართული და რუსული) ვერსიები, რომლის ქართული ვერსია „გაიასთან" ერთად შეიქმნა. ავტორები არიან ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი მაია თენეიშვილი და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის გენერალური დირექტორი თამარ მეიფარიანი. წიგნი გააფორმა ბუბა ოჩიაურმა. „თიკოს და ნიკოს თავგადასავალი" 52-გვერდიანია, ილუსტრირებული. მასში შეტანილია შემეცნებით-გასართობი კროსვორდები და სახალისო ტექსტები. წიგნი სასკოლო განათლებისა და კვების იმ პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიხედვით საქართველოს სხვადასხვა სკოლაში მართლმადიდებელ ქრისტიანთა მოწყალების ფონდი მოსწავლეებს უფასო კვებას სთავაზობს. **მედია-ნიუსი.**

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინწინ, ღამით, მაგისტრალურ წყალსადენზე, რომელიც დედაქალაქს ნატახტრის წყალსაცავიდან ამარაგებს, მორიგი ავარია მოხდა. გელოვანის პროსპექტზე დიდი რაოდენობით სასმელი წყალი დაიღვარა, რის გამოც ერთ-ერთმა მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბორდიურს შეეჯახა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი გაემგზავრა ჟენევაში, სადაც ოქონის ტრიპტიკონის შესაძლო დაბრუნების საკითხს განიხილავს. სავარაუდოდ, მასთან ერთად ჟენევას ეწვევა გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ბადრი ბინაძე. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ზუგდიდის მოზრდილთა პოლიკლინიკის თანამშრომლებმა 5 თვის გაუცემელი ხელფასების მოთხოვნით გაფიცვა გამოაცხადეს. თუ ხელფასებს მთლიანად არ მიიღებენ, ისინი, როგორც თავად აცხადებენ, გაფიცვას არ შეწყვეტენ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რადგან AES-თელასის პროფკავშირების ხელმძღვანელის ოთხდღიანმა შიმშილობამ შედეგი ვერ გამოიღო, დღეიდან AES-თელასის თანამშრომლები რადიკალურ საპროტესტო აქციებს გამართავენ. AES-თელასის პროფკავშირებს სოლიდარობას უცხადებს პროფკავშირების გაერთიანებაში შემავალი 33 დარგობრივი პროფორგანიზაცია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს (22 ათას ლარს) „USAID" გადაიხდის. რამდენიმე დღის წინ, მსოფლიო სასურსათო პროგრამის თანახმად, ცენტრმა, საკვები პროდუქტების სახით, ჰუმანიტარული დახმარება მიიღო. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდი დიღმის I-II-III კვარტლების შემაერთებელი გზის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, 16-სართულიანი კორპუსის ნაცვლად, რომლისთვისაც საძირკველი უკვე მომზადებული იყო, ეკლესია აშენდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ელექტროენერგიის პერიოდული გათიშვის გამო, პარასკევიდან კვირის ჩათვლით, თბილისის მეტროპოლიტენი 19 ათასი ლარით დაზარალდა. **მედია-ნიუსი.**

# „ნავთობსადენი რომ არ ყოფილიყო, მოვიგონებდი„

*აჭარის ავტონომიის წარმომადგენლობაში გუშინ გამართული შეხვედრა საზოგადოებისთვის ნათელ და უკვე მობეზრებულ ქართულ ნავთობტრილერს ეძღვნებოდა.*

გიორგი გახელაძე

"სამწუხაროდ, ჩვენ ჩართული ვართ საზოგადოებრივი მონაწილეობის ერთ დიდ სიმულაციაში. მაჩვენეთ ტვინი, რომელმაც თავდაპირველი 4 მარშრუტიდან მაინცდამაინც ეს ამოარჩია და რატომ წყვეტს ეს ტვინი მთელი საქართველოს ან, თუნდაც, მისი ფილტვების ბედს?" – ითხოვდა პასუხს შეხვედრის მონაწილე, კავკასიის ქალთა ქსელის კვლევის ცენტრის თანადირექტორი ნინო ციხისთავი და თან ნინო ჩხობაძეს თანაგრძნობას უცხადებდა.

აჭარის წარმომადგენლობის მასპინძელმა, ჰამლეტ ჭიპაშვილმა, მოულოდნელად აშკარა ანტირუსული განცხადება გააკეთა: "ახალქალაქიდან რუსეთის სამხედრო ბაზის მალე გასაყვანად და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციისთვის." მასაც და კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილსაც გულუბრყვილო არგუმენტად მიაჩნიათ 2005 წლამდე საქართველოდან გასაყვანი სამხედრო ბაზის რისკიანობა. "ახლანდელი მარშრუტი, სულ რაღაც, 30-35 კილომეტრით სცილდება ახალქალაქს. ისინი, რომ მოინდომონ, 100 კილომეტრის დაცილებითაც განახორციელებენ დივერსიას," – განავრცო თემა მწვანეთა ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ. მათ განაცხადეს, რომ საფრთხე მოდის არა რუსი სამხედროებისგან და თურქეთ-აზერბაიჯანისთვის არასაიმედო ჯავახეთის სომხური დიასპორიდან, არამედ იქიდან, რომ საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს საკუთარი მოსახლეობისთვის შესათავაზებელი ალტერნატივა. ნიდერლანდების გარემოსდაცვითი დამოუკიდებელი კომისიის მისიის ხელმძღვანელისთვის, დიკ დიზეუსთვის, იქაურებს პირდაპირ უთქვამთ, რომ მილსადენის გაყვანას დასაქმების იმედით უყურებდნენ: "ეს ბაზა რომ გავა, მერე რა ვქნათ? მარტო მიწის და კარტოფილის იმედად ოჯახი როგორ დავტოვოთ?"

აჭარის წარმომადგენლობაში შეკრებილები ხმაშეწყობილად ამბობდნენ, რომ ნავთობსადენის გარშემო ატეხილ აურზაურში მიიჩქმალა მთავარი გარემოსდაცვითი საკითხი – მტკნარი წყლის საბადოები, რაც საკუთრივ "ბორჯომზე" მეტი მნიშვნელობისაა. ერთსულოვნები იყვნენ ჩვენი სახელმწიფო მოხელეების საერთო შეფასებაში: უნიათო, ზერელე, პრიმიტიული. ჰიდროგეოლოგ გურამ ბუაჩიძისა და ახალგაზრდა იურისტ ბესო აბაშიძის აზრით, ასეთმა აღმაშფოთებელმა უპასუხისმგებლობამ "ბრიტიშ პეტროლიუმს" იურიდიული ზურგი გაუმაგრა.

*აჭარის წარმომადგენლობაში*

(ფოტო ლეონიდ ფილიპოვის ფოტოდან)

რაც იყო - იყო, ახლა რა ეშველება საქმეს? - კითხვა დასვეს ჟურნალისტებმა. არასამთავრობო "მწვანე ალტერნატიველ" ქეთი გუჯარაიძეს საერთაშორისო საზოგადოებაზე ზეგავლენის იმედი დარჩა: "ბიპის" საკრედიტო განაცხადი ჯერ არ შეუტანია მსოფლიო და ევრობანკებში. იქ კი, 120-დღიანი საჯარო განხილვის შემდეგ, იღებენ გადაწყვეტილებას თანხის გაცემის შესახებ. ამ პროცესში, წერილობითი ფორმით, შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა და ორგანიზაციამ მიიღოს მონაწილეობა. ეს ბანკები დონორი სახელმწიფოების საზოგადოებრივი, ე.ი. საბიუჯეტო ფულით ოპერირებენ და ამ ქვეყნების მოქალაქეებს დიდ ანგარიშს უწევენ."

მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელმა დირექტორმა რუსუდან სვანიძემ კი ომახიანად განაცხადა, რომ ხელმოწერების შეგროვების აქციას იწყებენ.

# ისრაელის ელჩმა პირობა შეასრულა

*ისრაელის ელჩი საქართველოში რივკა ქოენი თბილისის 67-ე საშუალო სკოლას პირველად ამ ცოტა ხნის წინ ესტუმრა. დამშვიდობებისას ელჩი სკოლის ხელმძღვანელობას და მოსწავლეებს შეჰპირდა, რომ მას ამ სკოლაში სულ უფრო ხშირად იხილავდნენ. რივკა ქოენმა პირობა შეასრულა და 67-ე საშუალო სკოლას გუშინ ისევ ეწვია.*

ირინე სანებლიძე

სკოლის ხელმძღვანელობამ და მოსწავლეებმა სტუმრებისთვის გამართეს საზეიმო საღამო, რომელიც ებრაელთა ხანუქის (სინათლის) დღესასწაულს მიეძღვნა (ცნობისთვის: ჩვენ წელთაღრიცხვამდე 164 წელს, ელინებმა ებრაული ტაძარი დაარბიეს და წმინდა ზეთი შეურაცხყვეს. ებრაელებს ზეთის, სულ რაღაც, ერთი დღის მარაგი დარჩათ. ტაძარში კი სხვა გასანათებელი საშუალება არ ჰქონდათ. მოხდა სასწაული: ზეთს მოკიდებული ცეცხლის აღი რვა დღის განმავლობაში ანათებდა. ხანუქის – სინათლის დღესასწაულს ებრაელები მაშინ ზეიმობენ, როცა მუსულმანებს რამადანი აქვთ, ქრისტიანები კი ქრისტეშობის დღესასწაულისთვის ემზადებიან).

"დღეს უფრო ვნერვიულობდი იმიტომ, რომ ელჩს უკვე შევუყვარდით და მისი მოლოდინი ხომ უნდა გავამართლოთ", - გვითხრა თორმეტი წლის გიორგიმ. გიორგიმ და მისმა თანატოლებმა კი, სკოლის ერთ-ერთი მასწავლებლის თქმისა არ იყოს, "მართლა ძალიან მოინდომეს". ბავშვებმა წაიკითხეს ებრაელი პოეტის რახელის ლექსები და შეასრულეს ებრაელთა ჰიმნი "ათიკვა". მსოფლიო ებრაულ სააგენტო "სოხნუტთან" არსებულ ტრიოსთან ერთად იმღერეს ებრაულ ენაზე.

რივკა ქოენი, როგორც პირველი სტუმრობისას, ამჯერადაც კმაყოფილი ჩანდა. აღნიშნა, რომ ბავშვებისა და მასწავლებლების ივრითის დონით აღფრთოვანებულია.

სტუმრებმა მასპინძლებს საჩუქრები მოუტანეს: ებრაული ლექსებისა და სიმღერების ბროშურები, ისრაელისა და იერუსალიმის ამსახველი პლაკატები, ხანუქის დღესასწაულისთვის ტრადიციული, სიმბოლური ფუნთუშები და სათამაშო ჩიკორები – სვევივინები. საუკუნეების წინ ასეთ ჩიკორებზე ებრაული ასოები ეწერა და, თურმე, ებრაელი ბავშვების უმრავლესობა ებრაულ დამწერლობას თამაშისას სწავლობდა.

*ებრაელი სტუმრები 67-ე სკოლაში*

ღონისძიებას ესწრებოდა რაბინიც, რომელმაც, პატარა რიტუალის შემდეგ, დღესასწაულის სიმბოლური სანთლები აკურთხა.

პირველი სტუმრობისას ელჩმა სკოლის ხელმძღვანელობას და ბავშვებს ასევე აღუთქვა, რომ "ამ სკოლასა და ისრაელის საელჩოს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი და მეგობრობა" დაიწყებოდა. საქართველოში ისრაელის კულტურის ატაშეს უშუალო ხელმძღვანელობით, 67-ე სკოლასა და ისრაელის ქალაქის, ცფათის ერთ-ერთ საშუალო სკოლას შორის "მეგობრობა და თანამშრომლობა" უახლოეს მომავალშია დაგეგმილი.

# ცოფით დაღუპულთა რაოდენობით საქართველო პირველ ადგილზეა

*ასტრიდ ლინდგრენის "ბიჭუნას" მსგავსად, ძაღლის ლეკვზე საქართველოშიც ბევრი პატარა ოცნებობს. ზოგს კი კატა უფრო უყვარს. სამწუხაროდ, მხოლოდ სიყვარულით, სითბოთი, საკვებით, ხარისხიანი დასაბანი საშუალებებით თუ სხვა ძვირფასი წვრილმანებით "რჩეულთა" უზრუნველყოფა საკმარისი არ არის. მას, ვისაც სახლში ძაღლი ან კატა ჰყავს, ზოგჯერ პასუხისმგებლობა ბოლომდე გათავისებული არა აქვს. არსებობს გარკვეული მოვალეობები, რომლებიც მოშინაურებული ცხოველების, განსაკუთრებით კი, ძაღლისა და კატის პატრონებმა, აუცილებლად უნდა იცოდნენ და დაიცვან. თორემ, საზოგადოებას, ცოფის გარდა, სხვა დაავადებების საშიშროებაც ემუქრება.*

ირინე სანებლიძე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ, რატომღაც, ძაღლსა და კატას ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს კი ისინი განსაკუთრებით უყვარს. ბევრ ოჯახში თანამცხოვრები ძაღლი ან კატა, ზოგჯერ კი ორივე ერთად, ოჯახის წევრადაა მიჩნეული და, შესაბამისად, მათ მიმართ დამოკიდებულებაც ადეკვატურია. და მაინც, არსებობს მთელი რიგი უფლება-მოვალეობები, რომლებიც აუცილებლად უნდა დავიცვათ და რომელთაც ცხოველთა მფლობელები არ ან ვერ იცავენ.

თბილისის ვეტერინარული გაერთიანების მიერ შემუშავებული და თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული "თბილისში ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების შენახვის წესების" თანახმად, ძაღლების, კატებისა და მტაცებელი ცხოველების მფლობელები ვალდებულნი არიან, ცხოველის შეძენიდან ხუთი დღის განმავლობაში, შეატყობინონ ვეტერინარულ სამკურნალოს (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და ცხოველი რეგისტრაციაში გაატარონ, რის შემდეგაც პატრონი მიიღებს ვეტერინარულ მოწმობას.

ცხოველის მოვლა-პატრონობის მეთოდი ინდივიდუალურად განისაზღვრება. "სპეციალისტებთან კონსულტაცია ეფუძნება მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ცხოველის სისტემატურ დაკვირვებას, საჭირო გამოკვლევებს, რაც ვეტერინარსა და მის პატრონს აუცილებელი ღონისძიებების დროულად გატარების საშუალებას აძლევს", - გვითხრა თბილისის მთავარმა ეპიზოოტოლოგმა ქეთევან წიკლაურმა.

ცხოველებში ცოფის საწინააღმდეგო აცრებს, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს, უფასოდ აწარმოებს მხოლოდ სახელმწიფო ვეტერინარული სამკურნალოები. არსებობს ცხოველთა კომპლექსური აცრებიც, რომლებიც, თბილისის მთავარი ეპიზოოტოლოგის თქმით, სასურველია, ჩაუტარდეს ყველა მოშინაურებულ ცხოველს. ჭირის, ინფექციური ჰეპატიტის, ადენოვირუსის, პარაგრიპისა და სხვა დაავადებათა თავიდან ასაცილებელი აცრები საზოგადოებას დაიცავს ტუბერკულოზის, ლეიშმანიოზის, ინფექციური და ინვაზიური, კანის სხვადასხვა დაავადებისგან.

*მეგობრები*

(ფოტო ლეონიდ ფილიპოვის ფოტოდან)

თურმე, "მსოფლიოში ცოფის წინააღმდეგ ყველაზე მეტი ადამიანი საქართველოში იცრება. მიუხედავად ამისა, ცოფით დაღუპულთა მაჩვენებელი მაინც ყველაზე მაღალია. მარტო წლეულს ცოფით ათი ადამიანი გარდაიცვალა. საქართველოსთვის ეს ძალიან ბევრია", - აღნიშნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ.

"მხოლოდ ადამიანთა აცრებით პრობლემა არ მოგვარდება", - თვლის იმნაძე, – "აცრა ბოლო ეტაპია. თუ ყველა პატრონიანი ცხოველი აცრილი იქნება, ცოფისა და სხვა დაავადების წინააღმდეგ აცრა ადამიანებს აღარ დასჭირდებათ".

პაატა იმნაძის აზრით, ერთნაირი აქტიურობითა და პროფესიონალიზმით უნდა მუშაობდნენ **ადგილობრივი მმართველობის კომუნალური სამსახურები**, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ უპატრონო ცხოველთა იზოლაცია, **ვეტერინარული სამკურნალოები**, რომლებსაც ცხოველები სისტემატური ზედამხედველობის ქვეშ ეყოლებათ და **ჯანმრთელობის სახელმწიფო თუ კერძო სამსახურები**.

ასე რომ, ფრთხილად, ვიდრე "აქტიური" თანამშრომლობა "პროფესიონალურად" დაიწყებოდეს!

# სადი შარიფოვის გატაცება, შესაძლოა, „ლუკოილით„ დაინტერესებას უკავშირდებოდეს

*სამშაბათს "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის ვაგიტ შარიფოვის მამის, 79 წლის სადი შარიფოვის, გატაცება დაემთხვა რუსეთის ხელისუფლების მიერ ლონდონის ბირჟაზე კომპანიის აქციათა პაკეტის ნაწილის გატანას.*

სოფიკო ჩხაიძე

*სადი შარიფოვი*

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან "ლუკოილის" აქციების გაყიდვის ეს უკვე მეორე ცდაა. პირველ შემთხვევაში წამოწყება კრახით დასრულდა. შესაბამისად, ახლა ხელისუფლების წარმომადგენლებმა აქციათა გაყიდვის გადაწყვეტილების შესახებ მხოლოდ ორშაბათს განაცხადეს. ამ დროისთვის "ლუკოილის"აქციათა ფასი ბირჟაზე საგრძნობლად მაღალი გახლდათ. თუმცა, უშუალოდ ვაჭრობის დღეს, სამშაბათს, აქციათა კურსი მას შემდეგ დაეცა, რაც გახმაურდა "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის, ნავთობპროდუქტების რეალიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ვაგიტ შარიფოვის მამის გატაცების დეტალები.

ბოლო ხანებში მზარდი წარმატებით მომუშავე კომპანიის აქციათა უეცარ დაცემას რუსეთის ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება სწორედ საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ პანტიანში მომხდარ გატაცებას უკავშირებს. მაგალითად, ინტერნეტგაზეთის "სტრანა.რუს" კორესპონდენტი ლონდონის ბირჟის ამბებსა და "ლუკოილის" ირგვლივ ბოლო ხანებში განვითარებულ კრიმინალურ ისტორიებს ერთმანეთს უკავშირებს და მიიჩნევს, რომ "ლუკოილის" აქციათა გაყიდვის ოპერაციაში არაეკონომიკური ფაქტორები სრულიად შეგნებულად ერევა. შესაბამისად კი რუსეთის ხელისუფლებამ, შესაძლოა, დიდი დანაკარგი განიცადოს. სამი თვის მანძილზე "ლუკოილის" სახელთან დაკავშირებული უკვე მეორე გატაცება (პირველი სერგეი კუკურას გატაცება გახლდათ) ანალიტიკოსებს საფუძველს აძლევს, იფიქრონ, რომ კრიმინალური ძალები იღწვიან ნავთობკომპანიაზე გავლენის მოსაპოვებლად.

"სადი შარიფოვის გატაცების გახმაურებისთანავე რუსეთის საფონდო ბირჟაზე "ლუკოილის" აქციათა ფასი 515 რუბლიდან 506-მდე დაეცა და ეს მიუხედავად იმისა, რომ მანამდე აქციათა ფასის ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა. ამ ინციდენტს შეუძლებელი იყო, ლონდონის ბირჟის მონაცემებზეც არ ემოქმედა. ანალიტიკოსთა აზრით, საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია, გატაცებისა და აქციათა ფასის დაცემა უბრალო დამთხვევად მოინათლოს და ვაგიტ შარიფოვის მამის გატაცება მხოლოდ გამოსასყიდის მიღების სურვილით იყოს ჩადენილი. საფონდო ანალიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ ვიღაც ცდილობს ხელოვნურად დააგდოს "ლუკოილის" აქციების ფასი, რათა მათი იაფად შეძენის შესაძლებლობა მიეცეს", - წერს "სტრანა.რუ". ვინ არის ის, ვინც ნებისმიერი მეთოდებით შეიძლება ცდილობდეს "ლუკოილის" აქციების ხელში ჩაგდებას? – ამის თაობაზე რუსული მასმედია მინიშნებითაც კი არ საუბრობს.

ამას გარდა, რუსულ პრესაში უკვე გამოჩნდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ინტერპოლის რუსეთის განყოფილება, ქართველი კოლეგების მხრიდან შესაბამისი სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, მზად არის შარიფოვის მამის ძებნაში ჩაერთოს. რაც შეეხება ქართველ სამართალდამცველებს, ისინი ამის საჭიროებას ვერ ხედავენ. მეტიც, მათი კომენტარები რუსი ანალიტიკოსების ვერსიის საპირისპიროს ამტკიცებს. კერძოდ, გენერალური პროკურატურის გამომძიებლის თქმით, თავდამსხმელებმა, შესაძლოა, არც იცოდნენ სადი და ვაგიტ შარიფოვების ნათესაური კავშირის შესახებ.

ქართველი სამართალდამცველების ვარაუდით, ყაჩაღებს გატაცება წინასწარ არც ჰქონიათ განზრახული და სადი შარიფოვის წაყვანა მხოლოდ მოვლენათა მოულოდნელი განვითარების შედეგად მოხდა. მათი აზრით, ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ გატაცებული თავად მიუჯდა საკუთარი მანქანის საჭეს და გამტაცებლებთან ერთად წავიდა. როგორც მისი ოჯახის წევრები ირწმუნებიან, ამის შემდეგ არც გამტაცებელთაგან და არც გატაცებულისგან არაფერი სმენიათ. მათი თქმით, არც გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით დაკავშირებიათ ვინმე. ასეთ ინფორმაციას აწვდიან ისინი სამართალდამცველებს; თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ შარიფოვების ოჯახის წევრები, გატაცებულის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რაღაცას მალავდნენ.

გამოძიებას, საქმის რეზონანსულობის გამო, გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები აწარმოებენ. როგორც შევიტყვეთ, გუშინ, თბილისში უნდა ჩამოსულიყო გატაცებულის ვაჟიც – ვაგიტ შარიფოვი. გუშინვე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ამბობდა, რომ გამტაცებელთა ვინაობა ცნობილია და გატაცებულის გათავისუფლება უახლოეს 24 საათშია შესაძლებელი. თუ ნარჩემაშვილის სიტყვები გამართლდა, სავარაუდოდ, გატაცების მიზეზებსაც აეხდება ფარდა.

# ავტოქარხნის დირექტორი გაუჩინარდა

პირველი გვერდიდან

**ბინები აქვს, გელათის ტაძრის ჩრდილოეთით კი - ფეშენებელური სახლი, რომელიც შემოღობილია ქარხანაში დამზადებული, ბათუმის მოზარდთა საზაფხულო ბანაკისთვის განკუთვნილი მესრით. მას აქვს ორი - "ვოლვოსა" და "გაზ-31" მარკის მანქანა. მისი შვილი განათლებას საზღვარგარეთ იღებს,"** - მოყვანილი ინფორმაციის სანდოობის მტკიცებას ნამდვილად ვერ დავიწყებთ, მაგრამ საავტომობილო ქარხნის დირექტორს რომ პოპულარობა არ აკლია და, აქედან გამომდინარე, მტრებიც ეყოლება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. გავრცელებული ხმებით, ამირან ნაცვლიშვილი ქუთაისის გუბერნატორის პროტეჟეა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთი თვის წინ ავტოქარხანა კონტროლის პალატამ შეამოწმა და ქალაქში ამირან ნაცვლიშვილის სახელის გარშემო სკანდალიც სწორედ მას შემდეგ აგორდა. ქუთაისში გავრცელებული ხმებით, საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელობაში გარკვეული დაპირისპირება არსებობს.

სწორედ ამიტომაც, თანამშრომლებმა ორშაბათს სამსახურში დირექტორი რომ ვერ ნახეს, ეჭვი მაშინვე მის გატაცებაზე მიიტანეს. ამირან ნაცვლიშვილი ქარხანაში დღემდე არ გამოჩენილა, მაგრამ მის გაუჩინარებაზე სამართალდამცავ ორგანოებში, ჯერჯერობით, ოფიციალური განცხადება არ შესულა. მიუხედავად ამისა, იმერეთის ოლქის პროკურატურამ მოკვლევა მაინც დაიწყო. გამოკითხულები არიან ნაცვლიშვილის ოჯახის თბილისში მცხოვრები წევრები და ახლო მეგობრები.

ერთი სიტყვით, ქუთაისის ავტოქარხნის დირექტორის გაუჩინარებას უკვე გატაცება დაერქვა. გატაცების სავარაუდო ვერსიებად კი ჯერ კიდევ გაურკვეველი სამსახურებრივი კონფლიქტი და მისი ოჯახის დიდძალი ქონება სახელდება.

# „აგრობიზნესბანკის„ ფული გაიტაცეს

გუშინ, დილით, ზუგდიდიდან ჩხოროწყუს რაიონის მიმართულებით მიმავალ "აგრობიზნესბანკის" ზუგდიდის ფილიალის კუთვნილ ავტომანქანას, რომლითაც ბანკის თანამშრომლებს ფული გადაჰქონდათ, ავტომატებითა და ნაღმმტყორცნით შეიარაღებული ოთხი ნიღბიანი ყაჩაღი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა ავტომანქანა დაცხრილეს. სროლის შედეგად დაჭრილი მძღოლი და მისი თანმხლები მანქანიდან გადმოიყვანეს და "აგრობიზნესბანკის" კუთვნილი 105 ათასი ლარი გაიტაცეს. თავდამსხმელებმა ნაძარცვი ფული ბანკის კუთვნილი ავტომანქანითვე წაიღეს და ენგურის ხიდზე გადასულებმა მანქანა იქვე, მდინარესთან დატოვეს. "ვისთვის და რისთვის იკლავთ თავს, წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, სჯობს წყნარად იყოთ", - უთქვამთ თავდამსხმელებს "აგრობიზნესბანკის" თანამშრომლებისთვის.

ყაჩაღებმა თავდასხმა ზუგდიდიდან ათი კილომეტრის მოშორებით განახორციელეს. "ყაჩაღებს სერიოზული შეიარაღება ჰქონდათ და თანაც, დაზარალებულთა თქმით, წმინდა რუსული აქცენტით საუბრობდნენ", – გვითხრა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილემ სერგო ჩაჩიბაიამ. მისივე თქმით, თავდამსხმელთა კვალის მისაგნებად კინოლოგი ძაღლებიც გამოიყენეს, მაგრამ უშედეგოდ, რადგან თავდამსხმელები გაუჩინარდნენ- მათ ჭუბურხინჯში მოასწრეს გადასვლა.

# სისხლისღვრა „ჯოისთან„

თბილისი, შესაძლოა, რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ გახდეს უბნებს შორის კრიმინალური გარჩევების მოწმე. ამის თქმის საფუძველს სამი დღის წინ, ღამის კლუბ "ჯოისთან", მომხდარი ჩხუბი იძლევა. შუაღამეს, კლუბში, მთვრალებს შორის დაწყებულმა დავამ ქუჩაში გადაინაცვლა და სისხლისღვრით დასრულდა. ჩხუბის დროს ამტყდარი სროლის შედეგად მძიმედ დაიჭრა 23 წლის ვახტანგ ყიფიანი. მისი მდგომარეობა გუშინ საღამოსთვის კრიტიკული იყო. ჭრილობების სიმძიმემ მისი მოსკოვში გადაყვანა განაპირობა.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის თენგიზ მარჯანიშვილის თქმით, ყიფიანს ორი ტყვია აქვს მოხვედრილი ყელის არეში. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი მასრები "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტის ტყვიისაა; თუმცა, მათ ისეთი დეფორმაცია აქვთ მიღებული, რომ არ არის გამორიცხული, ტყვიები სხვა ტიპის იარაღში ყოფილიყო ჩადებული. გამოძიების ხელთ არსებული წინასწარი მონაცემებით, ყიფიანი კლუბში მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა და ჩხუბი მეზობელი მაგიდის წევრებთან მასთან ერთად მყოფი გოგონას გამო მოუვიდა. ქუჩაში იმავე გოგონასთან ერთად გამოსულ ყიფიანს, მოწინააღმდეგეები გარეთაც დახვდნენ და ჩხუბი განახლდა. მისი მოწინააღმდეგეები წინასწარი მონაცემებით, თბილისის ერთ-ერთი უბნის საძმოს წევრები - ძმები არიან.

თავად ვახტანგ ყიფიანის სახელს არაერთ დანაშაულს, მათ შორის - მკვლელობასაც უკავშირებენ. იგი დაკავებულიც კი ყოფილა ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქუჩაზე ვინმე ჯაფარიძის მკვლელობისთვის, თუმცა, მალევე გაათავისუფლეს და ეს საქმე ამჟამად დახურულია.

ვახტანგ ყიფიანსა და მის მეგობრებს ბრალდებოდათ თავის დროზე თორნიკე ბარამიძის მკვლელობაც, მაგრამ ყიფიანი უმეტესწილად ადვილად აღწევდა თავს სამართალდამცველებს, რასაც მისი ბიძის, წლების მანძილზე გენერალური პროკურორის მოადგილის, ამჟამად კი პარლამენტარ რევაზ ყიფიანის გავლენას მიაწერენ.

თავის დროზე ეგრეთ წოდებული ნუცუბიძის საძმოს წევრმა ბოლო ხანებში, უფროს ძმასთან ერთად, ბიზნესს მიჰყო ხელი და "ნიკალას" ქსელის რესტორნების მფლობელი გახდა.

სამართალდამცველთა ცნობით, "ჯოისთან" მომხდარ ინციდენტს ყიფიანის არც წარსულთან და არც ახლანდელ ბიზნესთან საერთო არაფერი აქვს და უფრო მთვრალებს შორის წამოწყებულ ჩხუბს ჰგავს. მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს უფროსის პაატა ჟღენტის თქმით, პოლიცია აქტიურად მუშაობს დამნაშავეთა დასაკავებლად; მეტიც, მათთვის დამნაშავეთა ვინაობაც ცნობილია.

*სასამართლო დარბაზი*

# პოლიციური გამოცდილება მამის მკვლელობის დაგეგმვაში დაეხმარა - ამტკიცებს მოკლულის და

*უზენაეს სასამართლოში გუშინ დიდი ხმაური იყო. ხალხით სავსე დარბაზში, სადაც პაატა ბეჟანიშვილსა და მის ორ მეგობარს ასამართლებენ, ბადრაგის მობილიზება გახდა საჭირო. მამის გატაცებასა და მკვლელობის ორგანიზატორობაში ბრალდებული ყოფილი პოლიციელის, განსასჯელი პაატა ბეჟანიშვილისა - გალიაში, ხოლო დაზარალებულის – უგზო-უკვლოდ დაკარგული როსტევან ბეჟანიშვილის დის, ასმათ ბეჟანიშვილის დარბაზში დაწყნარება ბადრაგს საკმაოდ გაუჭირდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ეკო ბესელიას ფოტო

*პაატა ბეჟანიშვილი განსასჯელის სკამზე.*

საქმე ისაა, რომ ასმათ ბეჟანიშვილი ძმის გატაცებასა და მკვლელობას ყველანაირი მტკიცებულების მოშველიებით აბრალებს საკუთარ ძმისშვილს, განსასჯელის სკამზე მჯდომ პაატა ბეჟანიშვილს, რომელიც, თავისი მეგობრების მსგავსად, ჯერ კიდევ დუმილის უფლებით სარგებლობს და სასამართლო გამოძიებას ჩვენებას არ აძლევს. ხალხით გადაჭედილ დარბაზში პაატა ბეჟანიშვილი მდგომარეობიდან გამოჰყავს მამიდასთან დაპირისპირებას და ასმათ ბეჟანიშვილის მხრიდან განსასჯელის ბრალეულობის დამადასტურებელი, გამოძიებისთვის ჯერ კიდევ უცნობი გარემოებების დასახელებას. იგი მუქარითა და შეურაცხმყოფელი გამოთქმებით ცდილობს თავის დაცვას, სასამართლო დარბაზის გალიებს აწყდება და რკინის გისოსების დამტვრევას ლამობს. თანაც, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ოჯახური ტრაგედია მამიდას გადააბრალოს.

ერთი სიტყვით, ზედმეტად ემოციურ სასამართლო პროცესზე დაზარალებული და მისი განსასჯელი ძმისშვილი უკან დახევას არ აპირებენ. **"პაატა დარწმუნებული რომ ყოფილიყო, რომ მე ყველაფერს მივხვდი და მის წინააღმდეგ ყველანაირი მტკიცებულებაც მომეპოვებოდა, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი. მომკლავდა ისე სასტიკად, როგორც მამამისი გაიმეტა. მამამისის გატაცებისა და მოკვლის გეგმა პოლიციაში მიღებული გამოცდილებით შეიმუშავა. უბრალოდ, მოვლენები განვითარდა მისგან გაუთვალისწინებლად. დარწმუნებული ვარ, საკუთარი ხელით მოკლა ჩემი ძმა. მამის მოკვლის სცენარი, ფულის ხელში ჩაგდების მიზნით, მას სხვანაირად ჰქონდა მოფიქრებული. ეგონა, მე გამტაცებლებს უარს ვეტყოდი, როდესაც მძევლად მყოფი ჩემი ძმის გასათავისუფლებლად 100 ათასი ამერიკული დოლარი მომთხოვეს. მერე ყველაფერს მე გადმომაბრალებდა - ფული არ გადაიხადა და იმიტომ მოკლეს მამაჩემიო. სინამდვილეში, სატელეფონო ზარების საშუალებით გამოსასყიდ თანხას რომ ითხოვდნენ, იმ დროს ჩემი ძმა უკვე მოკლული ჰყოლიათ. საპყრობილეში რომ ვნახე ჩემი ძმისშვილი, თვითონვე წამოსცდა ბევრი რამე. მე არ გავჩერდები მანამ, სანამ არ იტყვის, სად ჩამარხეს მოკლულის ცხედარი"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ასმათ ბეჟანიშვილმა, რომელიც, როგორც თავად ამბობს, უფრო მეტ ინფორმაციას და მტკიცებულებებს ფლობს ძმისშვილის წინააღმდეგ, მაგრამ ბევრი რამის გამოაშკარავებისგან ჯერ კიდევ თავს იკავებს იმ უბრალო მიზეზის გამო, იქნებ დანაშაული მოინანიოს და მოკლული მამის ცხედრის ადგილ-სამყოფელი გაამჟღავნოსო.

გუშინდელ პროცესზე მოწმედ დაკითხეს დაკარგული როსტევან ბეჟანიშვილის მეგობარი ლავრენტი ხელაშვილი. ხელაშვილმა ბევრი რამ დეტალურად ვერ გაიხსენა და სასამართლო კოლეგიას მის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ახსნა-განმარტებებისა და ჩვენებების მხედველობაში მიღება სთხოვა. **"იქ რაც მიწერია, ყველაფერი სწორია. ახლა, ერთი წლის შემდეგ, ბევრი რამ დეტალებში აღარ მახსოვს და შესაძლოა, ამის გამო შეცდომა დავუშვა. ამიტომ დაეყრდენით ჩემს ჩვენებებს, რომლებიც გამოძიებას მივეცი"**, - განაცხადა მოწმემ, რომელსაც კითხვები განსასჯელმა ბეჟანიშვილმაც დაუსვა. თუმცა, მოწმესთან დაპირისპირებამ ისევ განსასჯელი მოაქცია ჩიხში.

გუშინ პაატა ბეჟანიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა სასამართლო პროცესზე საკუთარ არასრულწლოვან შვილს დაპირისპირებოდა. ეს დაზარალებულმა და მისმა ადვოკატმა იმით ახსნეს, რომ პაატა ბეჟანიშვილის არასრულწლოვანმა შვილებმა, რომლებსაც რვა წლის განმავლობაში ასმათ ბეჟანიშვილი და მისი ძმა ზრდიდნენ და მფარველობდნენ, მამის ცოდვების შესახებ ყველაფერი იციან, თავად ადევნებდნენ თვალს და ხვდებოდნენ, დაკავებამდე როგორ "თამაშობდა" შვილებთან პაატა ბეჟანიშვილი მამის გატაცების გამო დაზარალებულის როლს

ერთი სიტყვით, სასამართლო გამოძიებას ჯერ კიდევ ბევრი მოწმე ჰყავს დასაკითხი. რაც მთავარია, სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხვაზე მისვლა მოუწევთ თბილისის ყოფილ შერიფს სოსო ალავიძეს და მის ყოფილ ჩინიან ქვეშევრდომებს, რომლებმაც დაკარგული კოლეგის – შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ზონალური "ОБХСС" –ის დირექტორის, მოგვიანებით პოლიციის აკადემიის პრორექტორის როსტევან ბეჟანიშვილის - გატაცებისა და მკვლელობის საქმე გახსნეს და გატაცებისა და მკვლელობის ორგანიზატორად მისივე ვაჟი დაასახელეს. შეგახსენებთ, რომ როსტევან ბეჟანიშვილის გვამი ჯერაც არ არის ნაპოვნი. სავარაუდოდ, ის ჯერ მოკლეს და შემდეგ დაწვეს. გლდანის დასახლებასთან მდებარე "მამკოდას" ტყეში ცხედრის საპოვნელად სამართალდამცველთა მიერ ჩატარებულმა მუშაობამ მაშინ უშედეგოდ ჩაიარა. ტყეში ცხედრის ნაცვლად "სკოტჩებს" მიაგნეს. ჩვენი ინფორმაციით, ძებნის ოპერაცია ბოლომდე ვერ ჩატარდა, რადგან სწორედ იმ დღეს მოხდა ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობა და სამართალდამცველთა მთელი ძალები მაშინ სანზონაში გადაისროლეს.

# ელენე თევდორაძე დაცვაზე უარს ამბობს

ელენე თევდორაძისთვის უცნობთაგან მუქარა და ულტიმატუმების წაყენება ისევე არ ყოფილა უცხო, როგორც კეთილისმსურველთა მადლიერებით აღსავსე სიტყვების მოსმენა. ერთსაც და მეორესაც პარლამენტარი თავის საქმიანობას – ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწეობას მიაწერს, რის გამოც, მისივე თქმით, მადლიერიც ბევრი ჰყავს და მტერიც ბევრი გაიჩინა.

გუშინწინ მის სახლთან საეჭვო მანქანა გამოჩნდა. როგორც ელენე თევდორაძემ გვითხრა, დილით სახლიდან გამოსულ პარლამენტარს სადარბაზოში მზესუმზირის გამყიდველი დახვდა. ამ ქალს თევდორაძე კარგად იცნობს, რადგან უკვე რამდენიმე წელია, მისი სახლის წინ ვაჭრობს. მზესუმზირის გამყიდველმა იმავე დილით განვითარებული მოვლენების შესახებ უამბო:

**"მან მითხრა, რომ დილით ადრე ჩემს სადარბაზოსთან გაჩერდა შავი ფერის უცხოური ავტომანქანა,** - გვიამბო ელენე თევდორაძემ, - **მანქანიდან გადმოსულს სანომრე ნიშნები გამოუცვლია, მერე მზესუმზირის გამყიდველს მიახლოვებია და ჩემი ასავალ-დასავალი უკითხავს. ქალს შეშინებია, რადგან უცნობს ხელში დანა ეჭირა და ამიტომ უთქვამს, ძალიან ადრე შვილმა მიაკითხა და წაიყვანაო"**.

პარლამენტარის ნაამბობის თანახმად, მზესუმზირის გამყიდველსა და დანით შეიარაღებულ უცნობს შორის უცნაური დიალოგი გამართულა.

**"უცნობი, თურმე, დაინტერესებულა, რა მანქანით წავედით – მის შვილს ხომ მანქანა არ ჰყავსო, უთქვამს. მერე უკითხავს, ვიყავი თუ არა პარლამენტის მანქანით**, - ამბობს თევდორაძე, - **მოკლედ, აშკარაა, რომ ის კაცი ჩემს შესახებ გარკვეულ ინფორმაციას აგროვებდა. სხვათა შორის, შავი ფერის უცხოური მანქანა ჩემს მძღოლსაც შეუმჩნევია, როცა მომაკითხა..."**

პარლამენტში მისულმა ქალბატონმა მომხდარის შესახებ თავის თანაფრაქციელებს უამბო. მათ კი, თავის მხრივ, სახელმწიფო დაცვის სამსახურისთვის მიმართვა და ელენე თევდორაძისთვის პირადი დაცვის გამოყოფა გადაუწყვეტიათ. თავად თევდორაძე, რომელიც დილას მომხდარ ინციდენტს კონკრეტულად ვერაფერს უკავშირებს, დაცვის აყვანის კატეგორიული წინააღმდეგია.

**"არ მიმაჩნია სწორად, რომ მე, ადამიანის უფლებების დამცველი, დაცვით დავდიოდე"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ელენე თევდორაძემ.

# უსახლკაროს სიკვდილის მიზეზები უცნობია

თბილისის ცენტრალური სუპერმარკეტის ანუ დეზერტირების ბაზრის ტერიტორიაზე მოკლული "ბომჟის"- მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირის - გვამს ექსპერტიზას ჩაუტარებენ და მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვრება ორი დაკავებულის ბრალეულობის ხარისხი.

საქმე ის გახლავთ, რომ ლანჩხუთელ ირაკლი გიორგაძესა და ზუგდიდელ ლაშა ქობალიას ვინმე გურამთან (გამოძიებას ჯერ მისი გვარიც ვერ დაუდგენია) ჩხუბი მოუვიდათ და ეს უკანასკნელი სცემეს. ნაცემი უსახლკარო, ჩხუბის ადგილზევე გარდაიცვალა, ინციდენტის მონაწილენი კი დაიკავეს. ამჟამად დაკავებულთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ჯანმრთელობის დაზიანების მუხლითაა აღძრული, რადგანაც ჯერ კიდევ უცნობია, გურამის სიკვდილის გამომწვევი მიზეზები. თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ უსახლკარო ცემის დროს მიყენებული დაზიანებების გამო გარდაიცვალა, გიორგაძესა და ქობალიას გაცილებით მძიმე ბრალდებით მოუწევთ სასამართლოში წარდგომა.

# ყაჩაღი დააკავეს

პოლიციას რამდენიმე დღე დასჭირდა, რომ მეტროსადგურ "300 არაგველთან" მომხდარი ყაჩაღობის ჩამდენი დაეკავებინა. ყაჩაღობა 28 ნოემბერს მოხდა. თავდამსხმელებმა მსხვერპლს – თბილისელ გელა ჭიჭიაშვილს - ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და დანის მუქარით ოქროულობა, მაჯის საათი და ფული წაართვეს. გუშინ კი სამართალდამცველებმა ამ ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს. დაკავებული კრიმინალური წარსულის მქონე აღმოჩნდა – მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში მცხოვრებ 27 წლის გიორგი თინიკაშვილს უკვე მოხდილი აქვს სასჯელი ყაჩაღობის, გამოძალვისა და ადამიანის გატაცებისთვის. პოლიცია ახლა მის თანამოაზრეს ეძებს.

# საქართველოს მთავრობა - მეხანძრეების გუნდი

## რეფორმა საქართველოში, თითქოს, დიდი ხანია ტარდება, მაგრამ დადებითი შედეგები რატომღაც ნაკლებად იგრძნობა

დავით შვარცმანი
ეკონომიკის მაგისტრი
(ჟენევის უნივერსიტეტი)

ბაქარ გელაშვილის ფოტო

*"მეხანძრეთა" ერთი ჯგუფი*

ქვეყანას შველა უნდა და თანაც დაუყოვნებლივ, სანამ საბედისწერო უფსკრულში საბოლოოდ და უიმედოდ გადაჩეხილა.

არსებობს (თუ რამდენიმე არა) ეკონომიკური რეფორმის პროგრამა, მაგრამ ან ძალიან უხეიროა ან ისე ძლიერ გასაიდუმლოებული, რომ ქვეყანა, უკვე მერამდენე წელიწადია, დაპირებების მეტს ვერაფერს ხედავს და გრძნობს (უკეთესობაზეა ლაპარაკი, თორემ უარესობაზე მოგეცათ ლხენა).

ეს პროგრამა ყველა მოქალაქისათვის ცხადი და გასაგები უნდა იყოს. ძალისხმევის დასახვას მარტო ის დადებითი მხარე კი არა აქვს, რომ თავისთავად რაღაც უკეთესობის მიზანი ამოძრავებს, არამედ ყოველ მოქალაქემდე დაყვანით, გარკვეულ რუკასაც აწვდის მათ კონკრეტული მარშრუტის აღნიშვნით. ჰოდა, გვირაბის ბოლოს შუქის მოლოდინი მხოლოდ ალეგორიულ და ბევრისთვის სეთურის ცნობილ პროექტთან ასოცირებულ მეტაფიზიკურ რამედ კი არ იქცევა, არამედ კონკრეტული ცნება ხდება.

ამ უგრძეს გვირაბში მოძრაობის ეს გეგმა ხალხს იმის საშუალებასაც მისცემს, რომ არა მხოლოდ ეფემერულ გამოსავალს ელოდოს უვადოდ, არამედ ყოველი უბნის მონაკვეთის გავლის (ან არგავლის) შემთხვევაში, მასზე პასუხისმგებელ პირებს ანგარიში და ახსნა-განმარტება მოსთხოვოს.

თუმცა, შეიძლება სწორედ ეს ბოლო მომენტია ის, რაც ამგვარი ნაბიჯის გადადგმისგან აკავებს ძლიერთ ამა ქვეყნისა. სიბნელეში ფათური თუ ბოდიალი (იგულისხმე მღვრიე წყალში თევზის ჭერა) გაცილებით ადვილია და ბევრს მცდარად ჰგონია, რომ ხალხის ყოველგვარად გაბიაბრუება მათთვის მხოლოდ "დადებითი" შედეგის მომტანია, უარყოფითი უკურეაქციის გარეშე. თუმცა, შეიძლება ამაში ბევრი შემომედავოს, რადგან ცხოვრების უკუღმართობამ ადამიანები დააბეცა და იმდენად ახლომხედველნი გახადა, რომ დღეს თუ გადავრჩი, ხვალისა ხვალემ ნახოსო - თავს ინუგეშებენ. ამით საკუთარი ცხვირის იქით ხედვის უნარიც დაკარგეს და, შედეგად, ხვალინდელი დღის წარმოდგენაც კი უჭირთ.

მომავლის ამ ვერ, თუ არდანახვას მე ვუწოდებდი მომავლის მიოპიას, რომელმაც ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა. და რაც ყველაზე სავალალო და ტრაგიკულია, სახელმწიფოს (ანუ რაც მისგან დაგვრჩა, თუ აქამდე შეგვიკონიწებია) ხელისუფლებაში ერთმა კაცმა გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა. და ეს მაშინ, როდესაც ნორმალური ქვეყნის ხელისუფლება საშუალო და გრძელვადიანი ხედვით უნდა სარგებლობდეს 10-15 წლის ჰორიზონტზე.

მომავლის შენება კი საკმაოდ სწრაფად და "იოლად" შეიძლება, თუკი რეალურად მივიღებთ იმ ფუნდამენტს, რომელზედაცაა დაფუძნებული ბუნებრივი სახელმწიფო, ანუ სახელმწიფო (თუ სახელმწიფოები), რომლის მატერიალური ცხოვრების დონეც ასე გვიზიდავს.

თითქოს ყველა ესწრაფვის დასავლურ მატერიალურ ყოფას. მაგრამ ეს არაა რაღაც თავისთავად არსებული ან მხოლოდ ღვთისგან ნაბოძები. ესაა ცხოვრების გარკვეული ნორმების ერთობლიობა. თუკი გვინდა ამ მიმართულებით სვლა, მაშინ უნდა მივიღოთ თამაშის ის წესები, რითიც ის ქვეყნები არსებობენ და რასაც ისინი ეფუძნებიან. ახალი და ეროვნული ილეთების გამოგონება მხოლოდ თამაშგარე მდგომარეობაში თუ დაგვტოვებს. რა თქმა უნდა, არსებობს ეროვნული სპეციფიურობები, რომელთა გათვალისწინებაც უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგადი და საბაზისო წესები ყველგან ერთია და მას იღებენ ან არ იღებენ, მიმღები კი უნდა დაემორჩილოს კიდეც. აქ რომ არ არსებობს არავითარი ხაფანგი, თუ ე.წ. საერთაშორისო კონსპირაცია ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, იქიდანაც ჩანს, რომ არც ერთი დასავლური ქვეყანა ერთმანეთს არ ჰგავს - ცხოვრების წესი იქნება ეს, ეროვნული მენტალიტეტი თუ სოციალური ბაზა.

ავიღოთ ევროპა, რომელიც სულაც არაა რაღაც ერთსახოვანი სიდიდე, არამედ სრულიად განსხვავებული ეროვნული ერთეულების სიმრავლეა. საკმარისია თუნდაც ავსტრიასა და გერმანიას შორის საზღვრის (ან თუნდაც შვეიცარიასა და საფრანგეთს ან იტალიას შორის) გადაკვეთა და განსხვავება ყველა განზომილებით უკვე აშკარად თვალშისაცემია. სწორედ ეს მრავალფეროვნებაა, რომ ქმნის ბევრი პოლემიკისა და განსჯის საგანს ევროგაერთიანებაში, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იგივე მრავალფეროვნება წარმოადგენს ამ გაერთიანების ერთ-ერთ სიმდიდრესაც.

ჩვენი ხელისუფლება და, ზოგადად, პოლიტიკური წრეები პარტიული და ვიწრო პოლიტიკური თუ ეროვნული დემაგოგიით უფრო არიან დაკავებულნი, ვიდრე სახელმწიფოს მომავლის მშენებლობით და ისედაც გზააბნეულ ერს კიდევ უფრო ურევენ თავგზას ათასგვარი თეორიებითა და ზღაპრებით, რომელთა გამა საკმაოდ მრავალფეროვანია - მითოლოგიიდან პრიმიტიულად ვულგარიზებულ კაპიტალიზმამდე.

იმის ნაცვლად, რომ მომავლის სტრატეგიული გეგმა დასახოს, ხოლო შემდგომ, შესაბამისი პოლიტიკით, ბევრი მომავალი პრობლემაც წინასწარ განჭვრიტოს და მზად დახვდეს, მთავრობა უფრო მეხანძრეების გუნდად ჩამოყალიბდა, რომელიც პრობლემებს მხოლოდ პოსტფაქტუმ ებრძვის. სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ამ ჭიდილის შედეგებიც, უმრავლეს შემთხვევაში, დაგვიანებული და არაადეკვატურია. ნახევრად მოგვარებულ პრობლემებს კი თან მხოლოდ უარესი გართულებები შეიძლება მოჰყვეს და ჯაჭვური რეაქციაც არ აყოვნებს. ამ უბრალო სიბრმავის გამო ქვეყანა მოქცეულია ჯოჯოხეთურ სპირალში, რომლისგანაც თავს ვერასოდეს დავაღწევთ, თუკი ქვეყანას არ ექნა მომავლის ხედვა ანუ სტრატეგიული გეზი.

რისი თქმა მინდა ამ ყოველივეთი?

იმისი, რომ ქვეყნის სამართლებლივი და ეკონომიკური სტრუქტურა დასავლურს, ანუ დღეისათვის ყველაზე ბუნებრივ ნორმათა ერთობლიობას უნდა შევუსაბამოთ. ეს უნდა იქცეს ცხოვრების ნორმად და არა - მხოლოდ არქივისათვის განწირულ კანონებად. წინააღმდეგ შემთხვევაში პოტიომკინის სოფლების მშენებლობებს კვლავაც უსასრულოდ გავაგრძელებთ და პირველ რიგში - საკუთარივე ქვეყნის სავალალოდ.

ქვეყნის სამართლებლივი ბაზა, რეფორმატორთა სასახელოდ, უკვე საკმაოდ მიახლოებულია იმას, რისკენაც ნატვრით ვისწრაფით. თუმცა, რეალური შედეგი ყოველივე ამისა მხოლოდ მაშინ იქნება საგრძნობი, როცა სოციალურ-ეკონომიკური რეფორმაც შესაბამის ფუნდამენტს შექმნის.

ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს, რომ მომავლის უზრუნველყოფა მხოლოდ დემოკრატიული გზით შეიძლება. არ არსებობს სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის სხვა რაიმე სისტემა. ესაა ადამიანთა საზოგადოების ევოლუციის ბუნებრივი პროცესი. საზოგადოებამ დედამიწის უმეტეს ნაწილში განვითარების იდენტიური გზა გაიარა - თემური წყობილებიდან ერთი პირის თუ პირთა ჯგუფის ჰეგემონიით, ანუ - ათასი ჯურის მონარქია-დიქტატურიდან მოყოლებული, დღევანდელ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების დემოკრატიამდე. ეს უკანასკნელი ჯერაც არაა უმრავლესი ქვეყნის სტრუქტურა, მაგრამ განვითარების გზა სწორედ იქითკენ გვიჩვენებს.

რატომ? იმიტომ, რომ ადამიანი ბუნებრივ (ავია თუ კარგი, ახლა ამაზე ნუ ვიკამათებთ) გაგებაზეა დამყარებული. არაბუნებრივი გზით რა ჩიხშიც აღმოჩნდა მსოფლიოს ერთი მეექვსედი, ახლა იმედია, ბრმისთვისაც ნათელია.

თუკი ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა რეალური დემოკრატიის სასიცოცხლო საჭიროებანი ქვეყნისათვის და შესაბამისი ღონისძიებებიც არ მიიღო, მაშინ მისი პირადი უსაფრთხოებაც საფრთხის ქვეშ დადგება, რადგანაც ალბათ უფრო ადრე, ვიდრე გვიან, კრიტიკულ მასას მიღწეული ათობით და ასობით ათასი ადამიანის უბადრუკობისა და დაბეჩავების ენერგია, არსებულ სისტემასთან ერთად, მასაც წალეკავს. საქართველო დიდი და უზარმაზარი ქვეყანა არაა, რომ ერთეულებმა მრავალმილიონიანი ღატაკების ხარჯზე სიმდიდრე მოიხვეჭონ და მისი დაცვის გარანტიებიც შეიქმნან, როგორც ეს სამხრეთ ამერიკისა და აზიის ბევრ ქვეყანაში ხდება. მაგრამ აქაც ცვლილებათა მიმართულება ცხადია, რასაც ჩილეს, ბოლოდროინდელი ბრაზილიისა და, განსაკუთრებით, არგენტინის მაგალითებიც მოწმობენ.

საქართველოს თუკი უნდა, რომ მართლა ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს და არა საეჭვო გეოგრაფიული მდებარეობის ევროპულობის მოჩემე კუდაბზიკა ქვეყნად, მაშინ სახელმწიფოს მშენებლობის სწორედ ის პრინციპები უნდა გავითავისოთ, რომლებმაც დასავლეთის ქვეყნები ჩვენი მატერიალური მისწრაფებისა და ბევრისთვის, რატომღაც, "უპრობლემო სამოთხედ" აქცია.

ამჟამად კი ჩვენ მართლაც სადღაც ევროპასა და აზიას შორის ვართ გაჩხირული. სურვილი და პრეტენზიები ევროპელობისა ბევრი გვაქვს, ცხოვრების წესი და ურთიერთობის (მათ შორის, საქმიანი) ინსტიტუტები კი - აზიური (რაც, თავისთავად, სულაც არაა სალანძღავი ან დასაძრახი). მაგრამ ამ მდგომარეობის არმიღება უკვე ქმნის იმ ვაკუუმს, რომელიც ამპარტავნობის ზღვარზე გადის და ამით ადგილს არ ტოვებს განვითარებისათვის.

ქვეყნის გარდაქმნა ძნელია, მაგრამ სულაც არა - შეუძლებელი. მაგალითები ისტორიაში უფრო ბლომადაა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს.

ბევრი შეიძლება, შემომედავოს, რას მიედ-მოედები, დემოკრატია როგორ არაა საქართველოშიო? მაგრამ სიტყვისა და პიროვნების თავისუფლების კუნძულები ვერ შექმნიან ქვეყანაში მყარი დემოკრატიის გარანტიას, თუკი რეალურად არ გვექნა ის სამი მთავარი პირობა, რომელზეც დემოკრატიაა დაფუძნებული:

- კანონის უზენაესობა, ანუ კანონი ყველასთვის კანონი უნდა იყოს;

- კერძო საკუთრების უფლება (მიწის ჩათვლით) და მისი დაცვის გარანტია;

- მოქალაქეების პიროვნული უფლებების და თავისუფლების პატივისცემა და დაცვა (ქვეყანა ვერ იქნება თავისუფალი, თუკი მისი თითოეული მოქალაქე არ იქნა თავისუფალი).

ესაა ის სამი ვეშაპი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება ეფუძნება და თუნდაც ერთი მათგანის არარსებობა, უკვე მთელ ამ ნაგებობას ანგრევს. ამას ჯერ კიდევ ადამ სმითი წერდა 200-ზე მეტი წლის წინათ, ინგლისის მაშინდელ ყოფაზე დაკვირვებით. ამას ითხოვდა და ნატრობდა ილია ჭავჭავაძე 100-ზე მეტი წლის წინათ, ქვეყნის სავალალო ყოფის შემყურე. ამასთან იგი აქცენტს ამ ბოლო პუქტზე ახდენდა, მისი აბსოლუტური არარსებობის გამო (თუ ამას ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას შევადარებთ, მაშინ ნათელი გახდება ის რეგრესი, რაც ილიას შემდეგ განვიცადეთ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში).

ამ გლობალური თუ ზოგადი პრინციპების გარდა, ჩვენი ქვეყნის დღის წესრიგის უმთავრესი სასიცოცხლო საკითხია მრავალრიცხოვანი და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბება. ამ გზაზე კი მთავარია:

- ეკონომიკური ლიბერალიზაცია: ბიზნესის (უწინარესად, მცირე და საშუალოს) ჩამოყალიბება-განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა გამარტივებული და დაბალი გადასახადებით, საბაჟო ტარიფებით და ა.შ. ესტონეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) მაგალითია რადიკალური რეფორმისა. რეფორმის შემდეგ მისი საგადასახადო კანონი სულ ერთ ნაბეჭდ ფურცელზე ეტეოდა. თავისი სიმარტივით კი ეკონომიკური ლიბერალიზაციის პოლიტიკამ ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის მოზიდვას და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ამიტომაცაა, რომ ეს ერთი ციდა ქვეყანა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია ევროგაერთიანების აღმოსავლეთით გაფართოების გზაზე.

გიგანტომანია არ და ვერ იქნება საქართველოს ეკონომიკის წამალი. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს (მაგალითად, შვეიცარიის ეკონომიკის 97 პროცენტი სწორედ აქ იქმნება, გერმანიაში 2 მილიონზე მეტი კერძო მცირე ბიზნესი არსებობს)

- ჯანმრთელობის დაცვის სრლყოფა და განათლების დონის ამაღლება. ამ უკანასკნელთან მიმართებაში უნდა დაისახოს ე.წ. სტრატეგიული და მომავლის დარგები, რომლებიც მომავლის საქართველოს ხერხემალს შექმნიან (ალბათ, აქედანვე შეიძლება დანახვა, რომ ეს შავი მეტალურგია ვერ იქნება). ამ გზაზე კი უმთავრესი და უსწრაფესია უცხოეთში განათლების მისაღებად სტუდენტთა მასობრივი გაგზავნა და ყოველნაირი ხელშეწყობა. უცხოეთში სწავლა ერთეულთა პრივილეგიად კი არა, ნორმალურ ტენდენციად უნდა იქცეს.

- ცენტრალური ხელისუფლების აპარატის შემცირება და სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევის მკვეთრი შეზღუდვა. მთავრობის როლი უნდა განისაზღვროს უფრო ვიწრო და კონკრეტულ სფეროებში. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ბრიტანეთის ხელისუფლებას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა მთავრობის უმთავრესი ფუნქციები: საზოგადოებრივი სიმშვიდის, უსაფრთხოების, წესრიგისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. თანამედროვე გაგებით ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობამ უნდა აიღოს მხოლოდ ის ფუნქციები, რომელთა განხორციელება კერძო პირებსა და ინსტიტუტებს არ ძალუძთ ან არ სურთ. ესაა: ქვეყნის სამხედრო და სამართლდაცვა, ფულადი მიმოქცევის უზრუნველყოფა, სოციალური დაცვა და კომუნალური მომსახურება.

- არსებული ხელისუფლების მიერ ქვეყნის ადმინისტრაციულ მხარეებად (თუ კუთხეებად?) დაყოფა, სწორედ რომ მართებული ნაბიჯია. მაგრამ ის ვერ იქნება შედეგიანი და სასიკეთო მთელი ქვეყნისთვის, თუკი ადგილობრივ მმართველობას არ მიეცა ფართო ავტონომიური უფლებები ადგილობრივი საკითხების გადასაჭრელად. ამ მიმართულებით მინიმუმამდე უნდა შემცირდეს ცენტრალური მთავრობის ჩარევა და კუთხეებმა ცენტრალურ თუ ფედერალურ მთავრობას უნდა გადასცენ მხოლოდ საგარეო პოლიტიკის, თავდაცვის, ცენტრალური ბანკისა და, გარკვეულწილად, განათლების სისტემის ფუნქციები.

თუკი ქართველებს ოდესმე გვქონია სახელმწიფო თანამედროვე გაგებით, იგი მუდამ ეფუძნებოდა ფედერალიზმს, დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ. ეს სისტემა ჯერ კიდევ საერისთაოების დაარსებით დამკვიდრდა ჩვენთან. შემდეგ კი ეს ფორმა სამთავროებისა და ორიოდ მინისამეფოს სახით საუკუნეების მანძილზე არსებობდა. მიუხედავად იმ დროის სუსტი ცენტრალური ხელისუფლებისა, ეს სისტემა არასოდეს ყოფილა სეპარატისტული, ამასთან, მათი ერთიანობა არანაირი კანონმდებლობით არ იყო დაკანონებული და მთლიანად ერთპიროვნულ (ზოგჯერ საკმაოდ ამბიციურ) მთავართა ნებას ემყარებოდა. ახლაც არანაირი სეპარატისტული საფრთხე არ არსებობს და თუკი ხდება ამ საკითხის კულტივირება, ეს ისევ ცენტრალური ხელისუფლებიდან მოდის, მისივე ძალაუფლების შესანარჩუნებლად. სწორედ არსებულ პრინციპებზე დაფუძნებული ცენტრალური ხელისუფლებაა ის, რაც ე.წ. სეპარატიზმისკენ უბიძგებს კუთხეებს. თბილისი მოსკოვის პირდაპირ ჩარევას ვერ ეგუებოდა საბჭოთა წლებში და აფხაზეთის ტრაგედიაც (როგორც ქართველთათვის, ისე აფხაზთათვის) სწორედ ამ ცენტრალური კონტროლის წინააღმდეგ ამბოხი იყო მხოლოდ. ყველას კარგად ახსოვს, ალბათ, რევიზორი საიდან სად მიდიოდა: მოსკოველი თბილისში, თბილისელი კი რეგიონებში. ამან შექმნა ის ტრაგიკულობამდე უაზრო ანტაგონიზმი ქალაქსა (იკითხე თბილისი) და პროვინციას შორის. ვერავინ, იგივე ცალკე პიროვნებებიც, ვერ იტანენ საკუთარ ეზოში წესრიგის გარედან დამყარებას. ადგილობრივი ხელისუფლება გაცილებით უფრო კომპეტენტურია ლოკალურ საკითხებში და მისი უფლებამოსილებანი მოღვაწეობის ფართო სპექტრს უნდა მოიცავდეს, ფისკალური პოლიტიკის ჩათვლით. როცა საკუთარი სიღარიბის მიზეზს საკუთარი თავის მეტს ვერავის გადააბრალებ, იძულებული იქნები, მეტი ძალღონე მოახმარო შენსავე კეთილდღეობას.

ეკონომიკური დამოუკიდებლობა არის სწორედ სიმდიდრის საწინდარი. მსოფლიოს ყველაზე მდიდარი და განვითარებული ქვეყნები სწორედაც რომ ფედერალურ საწყისებზე არსებობენ და ამის ხანგრძლივი გამოცდილებაც გააჩნიათ.

ამ გადაუდებლად მოსაგვარებელ საკითხთა სია შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, მაგრამ ძირითადში ესაა ის საბაზო სტრატეგიული მონახაზი, რომელიც ხელისუფლებამ ახლა უნდა დაისახოს. ყოველი ახლა დაკარგული წელი შეიძლება, დაკარგულ თაობებს გაუტოლდეს მომავალში.

დღეისათვის საქართველო, როგორც, ქვეყანა-სახელმწიფო და ქართველი როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე (და არა როგორც მხოლოდ ეთნიკური კუთვნილება) არ არსებობს.

არ არსებობს იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს. არსებობს უფრო რაღაც კლანურ-ნათესაური ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დგას ხალხის შეგნებაში. და რატომ? - იმიტომ, რომ ჩვენთვის მთავრობა იყო და, სამწუხაროდ, რჩება ის, რისგანაც მუდამ თავი უნდა დაიცვა და თუკი რამე მიიღე (ანუ გამორჩი), ეს აღიქმება არა იმდენად მთავრობის დამსახურებად, რამდენადაც საკუთარი სიმარჯვის ნიმუშად. მთავრობაში ვგულისხმობ ყველა იმ ინსტიტუტს, რომელიც მას განასახიერებს და რომელიც კრიმინალებზე მეტ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის: პოლიცია, სასამართლო-პროკურატურა, საგადასახადო და ა.შ. და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს იმიტომაც, რომ სახელმწიფოსთვის მისი მოქალაქე მხოლოდ მისი პასპორტის მატარებელია და არც გრძნობს რაიმე ვალდებულებას მისი ინტერესების გასატარებლად და დასაცავად. სახელმწიფო ჩვენს შეგნებაში რჩება, როგორც მეწველი საქონელი, რომელიც უნდა მოიწველოს მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით. არ არსებობს ცნება საზოგადოებისა ანუ თემისა და ზოგადი კეთილდღეობისა. დღემდე, ჩვენთვის ეს ყოველივე მხოლოდ კომუნისტურ პლაკატებზე შემხმარ, სიძულვილამდე ყელშიამოსულ ტრაფარეტებად რჩება.

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# „ყველა ჩვენგან იპარავს იდეებს - პრეზიდენტიდან დაწყებული, პარლამენტით დამთავრებული"

*ლეიბორისტმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ კიდევ ერთი აქციით გაგვახარა. ის "პრეზიდენტის მერის", ვანო ზოდელავას დაუყოვნებლივ გადაყენებას ითხოვს. პარტიულ ბოსს, ალბათ, არ მოუხდებოდა მისი პარტიის რიგითი წევრების ოფისის წინ აქციის გამართვა, ღალატის შხამიანი ისრით რომ არ იყოს განგმირული. იგი არ დრკება და ალბათ, ზოგიერთი უსინდისო ლეიბორისტის წინააღმდეგ კანონიერ ბერკეტებს მართლაც მოიპოვებს. ისე, როგორც მოიპოვა არაერთი გამარჯვება საკონსტიტუციო სასამართლოში. მისი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოში ასევე ელის წარმატება უკანასკნელ გახმაურებულ საქმესაც და თუ ეს ასეა, მისი ელექტორატი, მისი პარტიის წევრებისგან განსხვავებით, იმედია, დაუფასებს ამაგს.*
*როგორც ამბობენ, სახელმწიფო მინისტრის ძლიერი, კულტურული ხელი ყველაზე მოუსყიდავ ლეიბორისტსაც მისწვდა. მაგრამ თავად ბატონი შალვასი არ იყოს, ეს "ჩვენი სერიოზული გაზეთის" გასარჩევი თემა ნამდვილად არ არის...*

მაია ჭალაგანიძე

*შალვა ნათელაშვილი*

**- თქვენი პარტიის წევრები საკრებულოში რომ მოხვდებიან, მერე აღარ უნდათ ლეიბორისტობა. როგორ გგონიათ, რა არის ამის მიზეზი?**

- თქვენი კითხვა მცდარია. პირველ საკრებულოში 12 დეპუტატი მყავდა, ამას ჰქვია უმრავლესობით მოსვლა? 55 დეპუტატში - ეს აბსოლუტური უმცირესობაა. მეორე საკრებულოში 49 მანდატიდან 15 მანდატი მაქვს - ესეც აბსოლუტური უმცირესობაა. სამწუხაროდ, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ვერ გაიაზრა ჩემი თხოვნა იმის თაობაზე, რომ ან მთლიანად მომცენ ხმა, რომ უმრავლესობა ვიყო და გადაწყვტილებები მივიღო, ან საერთოდ არ მომცენ ხმა, რომ არ გამიხდეს სავაჭრო იმ ბინძურ პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებაში ფულის საკეთებლად მოდიან. იმედია, ხალხი ამას საპარლამენტო არჩევნებში გაითვალისწინებს. ქვეყანა არ ითმენს და სახელმწიფო გვეღუპება. ექსპერიმენტებით სიარული აღარ შეიძლება.

**- საპარლამენტო არჩევნებში მარტო მიიღებთ მონაწილეობას?**

- ჩვენი პოზიცია ცალსახად არის დაფიქსირებული. ლეიბორისტული პარტია არავისთან არასდროს არანაირ ბლოკზე, ალიანსზე, კოალაციაზე არ წავა – სამთავრობო კოალაციის გარდა. საქართველოს მთავრობა ნამდვილად მრავალპარტიულობის, მაღალპროფესიულობის, არაკორუმპირებულობის ნიშნით უნდა დაკომპლექტდეს. საარჩევნო ბლოკი ქვეყნის დაღუპვაა. ეს აჩვენა ზვიად გამსახურდიას მრგვალი მაგიდის პრეცედენტმა, "მოქალაქეთა კავშირისა" და "აღორძინების" ბლოკმა. საქართველოში ბლოკი არ ამართლებს.

**- ალბათ, ამ დასკვნამდე გარკვეული გამოცდილებისა და ანალიზის შემდეგ მიხვედით.**

- ქართველი ადამიანის ბუნება ასეთია - საკუთარი თავი მეფე, ლიდერი, წარმოუდგენელი ორატორი, უნიჭიერესი, უტალანტესი ჰგონია და ეს თვისება განსაკუთრებით ელიტაში მოხვედრილ პოლიტიკოსებს აქვთ. რამდენედაც მოსახლეობა ბრძენი, დინჯი და თვითკრიტიკულია, იმდენად აღვირახსნილია პოლიტიკური ელიტა. მერე ეს ელიტა ბლოკებში ცალკეულ ლიდერებად ნაწილდება. საქართველოს პირობებში ამ ფსიქოლოგიური თვისებების გამო ერთი პარტიის მართვაა ძნელი და როგორ გინდა, მართო მრავალბლოკიანი სუბიექტი, სადაც თითოეულ ლიდერს თავი გაეროს გენერალურ მდივნად თუ არა, მინიმუმ, ევრაზიის პრეზიდენტად წარმოუდგენია. საქართველოს პრეზიდენტობა მათთვის უკვე მესამეხარისხოვანია. როცა ეს მომენტები იჩენს თავს, გადადის ქუჩაში და სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზი ხდება. ასე მოუვიდა პირველ კანონიერ ხელისუფლებას - შიგნით დაიწყო პროცესები. არც მომავალში ვართ დაზღვეული, რომ ბლოკები დიდ უბედურებას არ მოგვიტანენ. ამიტომ, საქართველოში პარტიული სისტემები უნდა შეიქმნას. სწორედ პარტიები უნდა იყვნენ პასუხისმგებელი ხალხის წინაშე.

**- "აღორძინების" ბლოკიდან თქვენი წამოსვლა...**

- ლეიბორისტული პარტია "აღორძინების" ბლოკში არასოდეს ყოფილა. იყო საპარლამენტო კოალაცია ფრაქციებს შორის და ასეთი კოალაცია ჩვენ ყოველთვის გვექნება. საარჩევნო ბლოკი, კოალაცია და ალიანსი - ჩვენთვის მიუღებელია. პარლამენტში და საკრებულოში თემატური თანამშრომლობაა და ეს ნორმალური მოვლენაა. მით უფრო, როცა არ გყავს უმრავლესობა. გიჟივით მარტო ხომ არ მიიღებ გადაწყვეტილებას? თანაც, "აღორძინების" ბლოკიდან არსად არ წამოვსულვარ. 1999 წელს, პარლამენტის დამთავრებასთან ერთად დავასრულე ეს საპარლამენტო კოალაცია. იქ გარკვეული გაუგებრობა და ოპონირება მოხდა იმის გამო, რომ ბატონმა ასლანმა არ გაიზიარა ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არ იყო საჭირო "აღორძინებას" ბლოკში უამრავი სუბიექტი აკიდებოდა. ყველას ცალ-ცალკე უნდა ეყარა კენჭი და ვინც შემოვიდოდა პარლამენტში, იმასთან დაეწყოთ თანამშრომლობა. ბატონმა ასლანმა მიიჩნია, რომ მრავალპარტიული ბლოკი უფრო გაამართლებდა.

**- ახლა ის იშლება და კვლავ ეძებს ახალ მოკავშირეებს, მაგალითად, ჯორბენაძეს...**

- მიმაჩნია, რომ დაგროვილმა მწარე გამოცდილებამ ქართველებს ჭკუა უნდა ასწავლოს. ბატონი ასლანი გადაყვა ამ ბლოკის წევრებს და ზედ გადაეფარა მატროსოვივით. როგორ დაფასდა? ამიტომ, ყველა პარტიამ, ვისაც თავი ნამდვილ პოლიტიკურ პარტიად წარმოუდგენია, კენჭი დამოუკიდებლად უნდა იყაროს. მისი პროგრამითა და წესდებით უნდა იყოს პასუხისმგებელი ხალხის წინაშე, რათა შემდგომში, არ გადააბრალოს ეს ბლოკის დაშლას, პარტნიორის ღალატს და სხვა და სხვა.

**- როგორი ურთიერთობები გაქვთ ოპოზიციურ ოთხეულთან, ე.წ. დემარშისტებთან?**

- ყველასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობები მაქვს და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ამ ოთხთან.

**- მათთან ერთად მოლაპარაკებათა მაგიდაზე არ ჯდებით. არც ერთ საკითხში არ ემთხვევა თქვენი პოზიციები?**

- ეს ოთხეული არის წინასაარჩევნოდ შექმნილი კოალაცია და ვერავინ ვერ მოიტყუებს თავს. მათ სხვა თემები აიღეს და სინამდვილეში, მიზანი სულ სხვა აქვთ.

**- თქვენ ელექტორატი გყავთ, ეს დღევანდელი რეალობაა...**

- მოსახლეობის 80 პროცენტი ჩვენი ელექტორატია. პოლიტიკური ძალები ჩვენგან იპარავენ იდეებს და აფრიალებენ ქუჩა-ქუჩა. ამით მათ მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ. - ისინი ფიქრობენ: აი, ესეც იმასავით ლაპარაკობს. მოდი, ამას მივცემ ხმას... მერე იყოფა ხმები და ლეიბორისტებს არც საკრებულოში, არც პარლამენტში უმრავლესობა არ ჰყავს. პასუხს კი ჩვენ ვაგებთ, რადგანაც, პირველ ადგილზე ვართ გასული. მოსახლეობას ვერ აუხსნი, რომ ის პირველი ადგილი უმრავლესობა არ არის და რომ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებ, თუ ვიღაცა არ დაიხმარე.

**- საკრებულოში ვისთან თანამშრომლობთ ყველაზე კარგად?**

- გამოვაცხადეთ თემატური თანამშრომლობის პრინციპი, რათა საკრებულო, როგორც თვითმმართველობის ორგანო, გადაგვერჩინა. ყველა პარტია იყო დაბოღმილი ჩვენი პირველი ადგილით და სასამართლოში ჩიოდა, არჩევნების შედეგების გაბათილებას ითხოვდა. ამიტომ დავუთმეთ საკრებულოს თავმჯდომარის სკამი საკაშვილს და სხვა პარტიებსაც მთელი რიგი თანამდებობები მივეცით, რათა უფასო სასწრაფო დახმარებისათვის მიგვეღწია. კიდევ ბევრ საქმეებს გავაკეთებთ...

**- ამბობენ, ეს მითიაო.**

- რას ამბობენ და რა ზღაპრებს ყვებიან, არც ჩვენი გასარჩევია და არც თქვენი სერიოზული გაზეთის. ეს რომ არ გაგვეკეთებინა, საკრებულო არ შედგებოდა. ჩვენი 15 მანდატი, სამწუხაროდ, კვორუმი არ არის. საკრებულო აღარ შედგებოდა და რა გამოვიდოდა ამითი? ხალხი იტყვის, ხმა მივეცი ნათელაშვილს და არ შეუშვეს პარლამენტში; პირველი ადგილი აიღო საკრებულოში და არ შედგა ორგანო... ესე იგი, არჩევნებს აზრი არ აქვსო...- ასე დაასკვნის ხალხი. ხმის მიცემა უმრავლესობით მოსვლას არ ნიშნავს.

**- თქვენ ითხოვთ ქალაქის მერის არჩევითობას. იყრით თუ არა კენჭს მერის პოსტის დასაკავებლად?**

- მიმაჩნია, რომ ქალაქის მერი უნდა იყოს დიდი ოჯახის უფროსი, მეურნე კაცი. ეკონომიკა და წარმოება უნდა იცოდეს. წესიერი უნდა იყოს. არც მერობა და არც საკრებულოს თავმჯდომარეობა პოლიტიკოსის საქმე არ არის. პოლიტიკოსების ადგილია პარლამენტი, პრეზიდენტობა და პრემიერ-მინისტრობა...

**- ამიტომაც თქვით უარი საკრებულოს თავმჯდომარეობაზე?**

- თავისთავად ცხადია. დამისახელეთ პოლიტიკური პარტიის ლიდერი, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარედ წასულა.

**- დაგისახელებთ, თუ გნებავთ.**

- არა, საქართველოს გარდა.

ბატონმა მიშამ ეს მოინდომა და ნამდვილად, კეთილი გრძნობით დავუთმეთ. არანაირი ხაფანგის და მახის დაგებას არ ვაპირებთ, დავუდგებით გვერდით, ოღონდ საქმეები გაკეთდეს. ჩვენი პარტიიდან კი შეიძლება იყოს ვინმე მერად, ან შეიძლება, რომელიმე არაპოლიტიკურ კანდიდატურას დავუჭიროთ მხარი, ვისაც ქალაქის ინფრასტრუქტურა ესმის. რასაც ზევით ხედავთ, დედაქალაქში, იმის დაბლა კიდევ ოთხი იმდენია... სად სცალია ამისთვის პოლიტიკოსს, აქ მეურნე, ფუტკარივით კაცი უნდა.

**- აბა, რა გსურთ, თქვენი მიზანი მხოლოდ პრეზიდენტობაა?**

- ჩემი მიზანია, რომ ხალხს ღიმილი დაუბრუნდეს სახეზე. ამისთვის კი, ეკონომიკური მინიმუმი და გარემო უნდა შეიქმნას. ამ მიზანს პარტიის ოფისიდან მივაღწევ თუ რომელიმე სახელმწიფო თანამდებობიდან, ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. რაიმე აკვიატებული აზრები არ გამაჩნია.

**- პარტიის ოფისს, ალბათ, ნაკლები ბერკეტები აქვს.**

- პარტიიდან, მგონი, ჩვენ უფრო დიდ გავლენას ვახდენთ პროცესებზე, ვიდრე ზოგიერთი პარლამენტში მყოფი ძალა. ფაქტობრივად, ხალხმა ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა მომავალი საქართველოს განვითარება. პირველი ადგილი სწორედ ამას ნიშნავს.

**- რამდენ ხანს მიიწევდა პარტია ამ სტატუსამდე?**

- ეს გოლგოთას გზა იყო. შვიდი წელია, ვყალიბდებით. ვიწვნიეთ პარლამენტიდან გამოყრაც, არჩევნების გაყალბებაც....

**- თქვენ "მოქალაქეც" ხომ იყავით ერთ ხანს, როცა პირველი მოწვევის პარლამენტში იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყავით?**

- ღმერთმა დამიფაროს. არასდროს ჩემი გვარი და ჯიში ასე არ შერცხვება. ვიყავი დამოუკიდებელი დეპუტატი დუშეთიდან. მხარი მაჟორიტარებმა და სხვა ფრაქციებმა დამიჭირეს და გავხდი კომიტეტის თავმჯდომარე. მაშინ, პარლამენტში პოლიტიკური უმრავლესობა არსებობდა და კანონებს ვიღებდით. მერე წამოვიდა ეს "მოქალაქეობა", გრანტომანია, კრედიტომანია... მერე დაიაქციეს ქვეყანა.

**- როგორ გგონიათ, არის ეს ჩვენნაირი გარდამავალი ქვეყნისთვის განვითარების ბუნებრივი გზა?**

- არა. ორი მილიარდ ნახევარი დოლარი გვაქვს საგარეო ვალი. ხოლო გერმანია, ორ მილიარდ ნახევარი კრედიტით, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოდ გადაიქცა. ეს უზარმაზარი თანხა კი ჩვენმა სამთავრობო ხელისუფლებამ სახლში წაიღო. არ შეიძლება, ეს მათ სახლებში დავუტოვოთ. ეს იქნება საქართველოს დასასრულის დასაწყისი. იმიტომ უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაში, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნოთ ხალხს წართმეული

**- ეს რაღაც, ბოლშევიკურად ჟღერს, როგორ მოახერხებთ ამას?**

- რეკვიზიციის, ნაციონალიზაციის, მონოპოლიზაციის საფუძველზე. ეს პროგრამაა.

**- რეალურია?**

- ნახევარი წუთი უნდა იმ კანონის მიღებას, რომლის თანახმადაც ენერგეტიკა დაუბრუნდება სახელმწიფოს და კილოვატსაათზე ორი თეთრი დაწესდება.

**- ჯორბენაძე მომავალი მთავრობის სხდომაზე ენერგეტიკის თემაზე მწვავე გამოსვლას გეგმავს. როგორ გგონიათ, რა იქნება ეს - ქულების ჩაწერა, თუ გავლენის ხელახალი გადანაწილება?**

- საქმე ისაა, რომ ჯორბენაძე საკონსტიტუციო სასამართლოში ორი საათის მანძილზე ჰკითხავდნენ. დაკითხეს ზოდელავაც, როგორც მოწმე.

**- რა თქვა? თქვენ ხომ იქ იყავით, ეს ხომ თქვენი სარჩელი იყო?**

- ჯორბენაძემ თქვა ის, რაც მთავრობის სხდომაზე - უკვე აღიარა.

მთავრობა და ხელისუფლება მიხვდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ჩვენი სარჩელი გამარჯვების სტადიაშია. სასამართლო სხვა გადაწყვეტილებას ვერ დაწერს, გარდა იმისა, რომ მართლა უკანონოდ გაიყიდა"ეი-ი-ესი", რადგანაც კონსტიტუციით ეს აკრძალული იყო. ახლა მათ სურთ, დაასწრონ მოვლენებს და დროშა თვითონ აიტაცონ. ყველა ჩვენგან იპარავს იდეებს - პრეზიდენტიდან დაწყებული, პარლამენტით დამთავრებული.

**- მიგაჩნიათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ჯორბენაძის გამოძახება ამ მოსალოდნელი მოხსენების პათოსის მაპროვოცირებელი იყო?**

- სასამართლო პროცესზე იკვეთება, რომ ენერგეტიკა უკანონოდაა გაყიდული. ხელისუფლება იძულებულია, თვითონ იყვიროს, რომ "ეი-ი-ესი" გაკოტრებული ფირმაა, რომ ხალხი ფულს ტყუილად იხდის, რომ უნდა წავიდეს და ა.შ. ამას ჩვენ 1996 წლიდან ვყვირით.

**- ვთქვათ, აიტაცა ხელისუფლებამ ეს დროშა და აღიარა, რომ ის დამნაშავეა. თქვენ რას იზამთ მერე?**

- ჩვენი საბოლოო მიზანია, რომ სტრატეგიული ობიექტები - ენერგეტიკა, ნავთობპროდუქტები, გაზი, სიგარეტის ბიზნესი, ღვინომასალები, ბორჯომი, - ანუ ის, რითიც საქართველო არსებობდა, იყოს სახელმწიფოს განსაკუთრებული მონოპოლია. რათა ამით ბიუჯეტი შეივსოს და არ ვიყოთ დამოკიდებული მსოფლიო ბანკზე. რომ გაკოტრდეს ეს ბანკი, რა ვქნათ მერე? ჩვენი საარსებო, სასტარტო კაპიტალი ეროვნულმა სიმდიდრეებმა უნდა შეგვიქმნას.

**- რადგანაც სიტყვამ მოიტანა, ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გავლის აჟიტირებულ თემაზე რა მოსაზრება გაქვთ?**

- საერთოდ, ცნობილი ფორმულაა, რომ სადაც ნავთობსადენი გადის, იმ ქვეყანას დიდი უბედურება ემუქრება. ეს არ არის ის, რასაც გვიხატავენ და არა მხოლოდ ეკოლოგიური თვალსაზრისით. სადაც ნავთობსადენი გაივლის, ის ტერიტორია შენი აღარ არის - ვიღაც ინვესტორს მოეჩვენება, რომ მილს საფრთხე ელის, ის ჯარს შემოიყვანს და თანაც სავსებით კანონიერად, საერთაშორისო ნორმების დაცვით. ეს არ არის ის სატრაბახო რამ, რითიც შევარდნაძე გვაბრუებს. ჩვენ ნავთობსადენი კი არა, ოქროს მდინარეები გვაქვს ბუნებრივი ეროვნული სიმდიდრეების სახით, მაგრამ ამას არ ვიყენებთ. "მარაზმი" იყო ბორჯომის მინერალური წყლის საბადოზე ამ მილის გადატარება. ამ მარშრუტის კორექტირებაა საჭირო და ეს ჯერ კიდევ არ არის გვიან.

**- მაინც არ გამეცით პასუხი პირველ კითხვაზე. თქვენ წევრები დაკარგეთ...**

- სად?

**- უნდა ვიფიქროთ, პირველ და მეორე საკრებულოში... თავად რას აბრალებთ ამას? ალბათ, დაფიქრდით და პასუხიც იპოვეთ.**

- გეტყვით, რა არის ამისი მიზეზი. როდესაც არ იყიდება პარტიული ლიდერი, უკვე ფასი ედება მოღალატე აქტივს, რომელიც მის გვერდით ტრიალებს. თუ გადაიხარა პარტიული ლიდერი და თვითონ მიეყიდა ხელისუფლებას, იმ აქტივს უკვე ჩირის ფასი აქვს - ერთი მთავარი მიზეზი ეს არის. მეორე მთავარი მიზეზია მორალის ნაკლებობა (რომელიც ჩვენს პოლიტიკურ სპექტრშია) და ხელისუფლებაში ფულის შოვნის მიზნით მოსვლა. ამისთვის ადამიანები საკუთარ ტანს ყიდიან. მესამე მიზეზია ის, რომ კონსტიტუციასა და კანონში არ მაქვს ბერკეტი, რითიც შემეძლება, უკან გამოვიწვიო მოღალატე დეპუტატი. ეს უკვე დაუსჯელობის რწმენას მატებს. მერე დაუძახებს ზოდელავა და მისცემს 100 000 დოლარს, ან სუპერმარკეტს, ან სამარშრუტო ხაზს...

**- თქვენ გაქვთ მსგავსი მაგალითები?**

- კი, კი, ერთ ჩემს დეპუტატს წინა და ამ საკრებულოში (რომელიც ახლა გავაპინტრიშე პარტიიდან) თბილისში 50 ნაკვეთი მისცა. 50 ნაკვეთი რკინიგზის ჩიხების დაბლა.

**- რა შეგიძლიათ ამას დაუპირისპიროთ?**

- საკრებულოში საგამოძიებო კომისია შევქმენით. სხვა რა ვქნა, საიდან მივცე 50 ნაკვეთი უსინდისო დეპუტატს, ან 100 000 დოლარი, რომლითაც მთელ არჩევნებს მოიგებ რუსეთის ფედერაციაში?

**- რაიმე პროფილაქტიკური ღონისძიებები ხომ არ არსებობს, რომ ეს აღარ განმეორდეს?**

- როგორც კი ახალ პარლამენტში შევალთ, პარტნიორებთან და მთელს პარტიებთან პირველი მოთხოვნა შემდეგი იქნება: უნდა იქნეს მიღებული კანონი, რომელიც დეპუტატს უკან გამოიწვევს, თუ მან პარტიული კუთვნილება შეიცვალა. სხვანაირად, პარტიები საქართველოში ყოველთვის ტრანზიტული მატარებლის ფუნქციას შეასრულებენ - ჩამოხტება კაი სადგურზე და გაიქცევა.

ასეთი კანონი საქართველოში არ არის, მაგრამ ევროპაში რამდენიც გინდა და მუშაობს კიდეც.

**- თქვენი გუშინდელი აქცია რას ემსახურებოდა?**

- არა ქალაქ თბილისის მერის, არამედ, "პრეზიდენტის მერის" გადაყენების დაჩქარებას. თბილისში გატარებული მისი ყოველი დღე ჩვენი მოსახლეობის უბედურებას და ქვეყნის ბიუჯეტისთვის მილიონობით დოლარის დაკარგვას ნიშნავს. ამიტომაც ჩვენ დღეს პრეზიდენტს წავუყენეთ ულტიმატუმი: ან სასწრაფოდ გადააყენოს თბილისის მერი, ან ის და მერი ერთად გადადგებიან!

ეკა ბესელია/ფოტოები

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ევროისტორია B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## კიდევ ერთი წასაკითხი წიგნი

გაზეთმა "გარდიანმა", უკვე ტრადიციადქცეული კონკურსის საფუძველზე, თავისი რჩეული ავტორი წელსაც გამოავლინა. 2002 წლის ამ პრესტიჟული ლიტერატურული პრიზის მფლობელი მწერალი ჯონათან საფრან ფოერი გახდა. მისი რომანი Everything Is Illuminated ("ყველაფერი კაშკაშებს") "გარდიანის" მიერ დაწესებული ფულადი პრიზით - 10 ათასი გირვანქა სტერლინგით დაჯილდოვდა. ნიუ-იორკელ ავტორს ლონდონში გამართულ ცერემონიალზე ჯილდო "გარდიანის" რედაქტორმა, ალან რასბრიჯერმა გადასცა.

რომანი, რომელსაც კონკურსის საწყისი ეტაპიდანვე ერთ-ერთ ფავორიტად აღიარებდნენ, ახალგაზრდა ებრაელი ამერიკელის თავგადასავალს მოგვითხრობს. ნაწარმოების მთავარი გმირი ეძებს ქალს, რომელმაც ბაბუამისი ნაცისტების ტყვეობისგან იხსნა.

კონკურსის მეორე ეტაპზე თანამედროვე ლიტერატურულ სამყაროში ცნობილი რამდენიმე სხვა ავტორიც მოხვდა - ჰარი კუნზრუ ( "იმპრესიონისტი"), ოუენ მორტონი (Mapping Mars), ალექსანდრა ფულერი (Don't Let's Go To The Dogs Tonight) და სანდრა ნიუმენი (The Only Good Thing Anyone Has Ever Done). ამ ავტორების პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ ისინი მეორე ეტაპზე საზოგადოების გადაწყვეტილებით გავიდნენ: "გარდიანმა" გლაზგოს, ლონდონის, ბრაიტონისა და ოქსფორდის მცხოვრებლები გამოკითხვაში ჩართო და ნება დართო, ლიტერატურული პრიზის ნახევარფინალისტები გამოევლინათ. გამარჯვებული წიგნი კი სპეციალურმა, ცნობილი ადამიანებისგან შემდგარმა ჟიურიმ აირჩია. ჟიურიში იყვნენ - ირვინ ველში, ტელე-წამყვანი მარკ ლოუსონი და მსახიობი კეტი ბურკი.

"გარდიანის" ეს კონკურსი, უკვე 37 წელია, იმართება და საზოგადოების ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებას ემსახურება. ჯილდოს შარშანდელი მფლობელი გახლდათ ქრის უერი. იგი დაჯილდოვდა წიგნისთვის - "ჯიმი კორიგანი - დედამიწაზე ყველაზე სხარტი ბავშვი". "გარდიანის" ჯილდოს მფლობელები არიან ასევე - ჯონ ბერგერი, ბერილ ბეინბრიჯი, ნილ ჯორდანი, ტიმ ლოტი და ზეიდი სმიტი.

## კალენდარი

### 5 დეკემბერი

"მიკი მაუსი ყველა იმ ქალზე მეტად მიყვარს, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ," – ხუმრობდა ხოლმე ლეგენდარული რეჟისორი უოლტ დისნეი.

დისნეის ბიოგრაფია კანზას სიტის სარეკლამო სტუდიიდან იწყება, სადაც ის მხატვარ იუბ ივერქსთან ერთად მუშაობდა. ივერქსი დიდხანს იყო დისნეის ბიზნეს-პარტნიორი. ისინი ერთად გადავიდნენ კანზას სიტის სარეკლამო კინოსტუდიაში, სადაც ანიმაციური რეკლამების დამზადება დაიწყეს. ასე ჩაეყარა საფუძველი დისნეი-ივერქსის პირველ ანიმაციურ ბიზნესს - Laugh-O-Grams, სადაც, ადგილობრივი თეატრის დაკვეთით, სატირულ ანიმაციურ სურათებს ამზადებდნენ. სწორედ ამ ბიზნესის დიდმა წარმატებამ გადააწყვეტინა დისნეის საკუთარი სტუდიის დაარსება. დისნეის სტუდიაში შეიქმნა "ჩექმებიანი კატა" (1922) და ბრემენელი მუსიკოსები (1923); მაგრამ სტუდიამ საბაზრო ეკონომიკას ვერ გაუძლო და მალე არსებობაც შეწყვიტა. 1923 წელს ივერქსი, მისი ძმა და დისნეი, რომელსაც თავის ანგარიშზე მხოლოდ 40 დოლარი ჰქონდა დარჩენილი, ჰოლივუდში წავიდნენ, სადაც გადაიღეს პირველი სერიალი "ალისა მულტიპლიკაციის ქვეყანაში" (Alice in Cartoonland), რომელიც ანიმაციისა და მხატვრული ფილმის სინთეზს წარმოადგენდა.

მერე დაიბადა პირველი პოპულარული გმირი - მიკი მაუსის წინაპარი კურდღელი ოსვალდი. ამას მოჰყვა დისნეის კონფლიქტი (რეჟისორმა სტუდია მიატოვა) და ხანგრძლივი ძიების პროცესი; თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ დისნეის სტუდიიდან წასვლა იღბლიანი აღმოჩნდა – ქვეყნიერებას მიკი მაუსი მოევლინა; მას მოჰყვა იხვი დონალდი, პლუტო და დიდებისა თუ პატარების საყვარელი სხვა გმირები.

1934 წელს ამერიკელი რეჟისორი პირველ სრულმეტრაჟიან ანიმაციურ ფილმზე მუშაობას შეუდგა. ეს მისი დიდი ხნის ოცნება იყო. სამი წლის შემდეგ ეს ოცნება აიხდინა კიდეც: დისნეის ექსპერიმენტმა, რომელიც ახლად აღმოჩენილ ტექნოლოგიურ საშუალებებს ეფუძნებოდა, ბრწყინვალე შედეგი გამოიღო – "ფიფქია და შვიდი ჯუჯა".

დისნეის ცხოვრებისეულ დეტალებსა და მის შემოქმედებაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება. მის ბიოგრაფიაში ყველაზე უცნაური ის არის, რომ რეჟისორი, რომელიც XX საუკუნის ამერიკის სიმბოლოდ იქცა, ფედერალური დაზვერვის ბიუროსთან თანამშრომლობდა. გარდა ამისა, მიკისა და დონალდის თავგადასავლებთან ერთად მთავრობისთვის პროპაგანდისტულ ფილმებსაც იღებდა.

1955 წელს დისნეიმ თავისი ფანტაზიის პარკი – დისნეილენდი გახსნა. დისნეილენდი გახსნა. 29 ოსკარის მფლობელი რეჟისორი სიცოცხლეშივე აღიარეს შოუს სამყაროს მეფედ.

დღეს ამერიკელ რეჟისორს 101 წელი შეუსრულდა. **უოლტ დისნეი** 1901 წლის 5 დეკემბერს დაიბადა.

# ებრაული წიგნის ზეიმი

### თბილისში რელიგიური დღესასწაულის, ხანუკას მეხუთე დღე აღნიშნეს

*გუშინ თანამედროვე ხელოვნების გალერეაში ებრაული წიგნის ფესტივალი გაიმართა. თბილისელმა ებრაელებმა ტრადიციული ღონისძიება ამჯერად რელიგიურ დღესასწაულს, ხანუკას მეხუთე დღეს დაამთხვიეს.*

ვერა ნეფარიძე

როგორც წესი, ებრაელები ამ დღეს საღამოობით ანთებენ სანთლებს, კითხულობენ განსაკუთრებულ ლოცვას და ისმენენ საგალობელს. სიმბოლურად, ასეთი თანამიმდევრობით, გუშინ დაახლოებით, სამ საათზე, თანამედროვე ხელოვნების გალერეაში ეს რიტუალი შესრულდა. მასპინძლებთან ერთად კი სტუმრებმა, მათთვის უცხო თუ კარგად ნაცნობი დღესასწაული ებრაული წიგნების დათვალიერებით აღნიშნეს.

ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი თბილისში ებრაული წიგნის ფესტივალს ყოველწლიურად აღნიშნავს. ორგანიზატორები ცდილობენ წიგნის ზეიმი რომელიმე ებრაულ დღესასწაულს დაამთხვიონ ხოლმე. გუშინ ეს ფესტივალი ჩვენთან მეექვსედ გაიმართა და როგორც ჩანს, ორგანიზატორებმა მისი გამრავალფეროვნება მოახერხეს: გუშინ წიგნებთან ერთად წარმოდეგენილი იყო ფოტოები, სხვადასხვა დანიშნულების ნაქსოვი და ნაჭრით შეკერილი ნამუშევრები.

თეფილიმი (ნაჭერი, რომელსაც ებრაელი მამაკაცები თავზე და ხელზე იფარებენ), ხანუქა (გუშინდელი დღის აღსანიშნავი მცირე ფარდაგი), ფარდა, რომელსაც სეფერთოლას (ტყავზე დაწერილი თორა) აცმევენ - საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ამ ნამუშევრების ავტორი ნანა ჯანაშვილი-კრიხელია. "613 მიცვა ხომ გვაქვს ჩვენ შესასრულებელი. ეს სათითაოდ სამ-სამ მწკრივად მძივებით მაქვს გამოხატული", - ქ-ნ ნანა საუბრობს ერთ-ერთ, მისთვის შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევარზე, რომელიც ახლა თბილისში, სინაგოგაში შეგიძლიათ ნახოთ. ავტორის თქმით, ამ თითქმის, სამმეტრიან ფარდაგზე კაცობრიობის ისტორია აქვს გამოსახული. რასაკვირველია, ისტორიული პერსონაჟები და სიუჟეტები ავტორის ბიბლიიდან აქვს აღებული.

ხანუკა უძველესი ებრაული დღესასწაულია. მის ისტორიას სხვადასხვაგვარად ჰყვებიან. თუმცა ძირითადი უცვლელია - ებრაელი ხალხი ხანუკას, ანუ უძველეს სასწაულს აღნიშნავენ. ერთი დღის სამყოფი ზეთი, ბაბილონის იმპერიისგან აოხრებულ ებრაელთა პირველ ტაძარში ხალხმა რვა დღე იკმარა. ამ სასწაულს ებრაელები ყოველ წელს რვა დღის განმავლობაში იხსენებენ. ამ ხნის განმავლობაში სასტიკად აკრძალლია მარხვა და გლოვა. გუშინ თბილისელმა ებრაელებმა ეს სულიერი სიხარული წიგნის ზეიმად აქციეს.

"წიგნი ქვეყნებს შორის ურთიერთობებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა. დღეს, მართალია ინტერნეტის ხანაა, მაგრამ საქართველოში უშუქობის პირობებში, სადაც კომპიუტერი მოსახლეობის უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი არ არის, წიგნი ინარჩუნებს თავის პირვანდელ ფუნქციას", - ეს მისასალმებელი სიტყვები საქართველოში ისრაელის ელჩს, რივკა კოენს ეკუთვნის.

ეთერ ბესელიას ფოტო

*ჭემალ აჭიაშვილი*

ისტორია, რელიგია, განათლება, ხელოვნება - ფესტივალზე შინაარსობრივად საკმაოდ მრავალფეროვანი წიგნები წარმოადგინეს. "ებრაელი ხალხის ისტორია", "ებრაული დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი", "ებრაული ოჯახი", "თორა", იუდაიზმი – ებრაული ცხოვრების წესი", "მეოცე საუკუნის ებრაული პოეზიიდან" და ა.შ. აქ იყო როგორც რუსეთში, ასევე ისრაელსა და საქართველოში გამოცემული წიგნები. აქვე ნახავთ ებრაული ლოცვების კრებულებს მთელი წლისათვის და მათ უძველეს გამოცემებს. რაც შეეხებათ გამომსვლელებს, მათი რაოდენობაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. სტუმრებს მიესალმნენ: მწერალი და მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი, ისტორიკოსი გურამ ლორთქიფანიძე, შალვა ფიჩხაძე, თამაზ თავაძე., ღონისძიების ორგანიზატორები და სპონსორები. საგამოფენო დარბაზის კედლებს კი ამშვენებდა ფოტოსერია "ჰორიზონტები". გამოფენა ორიოდე თვის წინათ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნახა დამთვალიერებელმა. თანამედროვე ხელოვნების გალერეაში კი ის, წიგნებთან ერთად რამდენიმე დღის განმავლობაში დარჩება.

# 15 წლის შემდეგ

### ფარჯიანი, მატაბელი, ბუღაძე, ჭოღოშვილი - გალერეა "უნივერსიში"

ნანა ბასილაშვილი

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო, - ამბობენ... 15 წლის წინანდელი ვერნისაჟი გუშინ გალერეა "უნივერსში" განმეორდა. ეს დღე ქართული სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასეს. "პალერმოს გამოფენა – 15 წლის შემდეგ" ამჯერად თბილისში, გალერეა "უნივერსიში" გაიხსნა. ირაკლი ფარჯიანის, ქეთი მატაბელის, გია ბუღაძისა და ლევან ჭოღოშვილის ძველი და ახალი ნამუშევრებით საზოგადოებამ კიდევ ერთხელ ისიამოვნა.

გალერეა "უნივერსის" შესასვლელშივე 1987 წლის, ძველი, საკმაოდ შელახული აფიშა იყო გამოკრული. ფრანგულ ენაზე შედგენილი პროგრამა პალერმოში გამართული საბჭოთა კავშირის კულტურის დღეების შესახებ იუწყება. სამხატვრო აკადემიის მოდელიერების ფაკულტეტი, სოსო ბახტაძის ხელმძღვანელობით - ნანა გერასიმოვა, მაკა ბახტაძე, ეკა გოცირიძე და სხვები, ანსამბლი "ივერია", ალექსანდრე ბასილაიას ხელმძღვანელობით, ოთხი ქართველი მხატვარი - ფარჯიანი, მატაბელი, ბუღაძე, ჭოღოშვილი - ეს იმ შემოქმედთა არასრული სიაა, ვინც, საქართველოს კულტურის სამინისტროს თაოსნობით, პირველად ქვეყნის საზღვრებს გარეთ, კერძოდ საფრანგეთში, ქართული კულტურა წარმოადგინა. მას შემდეგ 15 წელიწადი გავიდა. გუშინ "უნივერსიში" პალერმოში გატარებულ ათ დღიან გასტროლს დიდი ნოსტალგიითა და სევდით იხსენებდნენ.

"არაჩვეულებრივი შეგრძნებაა, ერთი შეხედვით, თითქოს 15 წლის წინანდელი პერიოდი გაცოცხლდა. მე მქონდა ბედნიერება ამ ოთხ გენიალურ მხატვართან ერთად მემოგზაურა, სამწუხაროდ, დღეს ჩვენ იმ ტკივილსაც განვიცდით, რაც ირაკლი ფარჯიანის არყოფნითაა გამოწვეული, სანაცვლოდ, საუკუნის უდიდეს ხელოვანს მოვესწარით. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს გეო-კულტურულ სივრცეში ამ ოთხეულს განსაკუთრებული ადგილი უკავია," – სიამაყითა და სიამოვნებით საუბრობდა საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი, ვალერი ასათიანი.

პალერმოში მოწყობილ გამოფენაზე ახალგაზრდა ქართველმა მხატვრებმა, ძირითადად, არაიდეოლოგიური ტიპის ნამუშევრები - სიმბოლისტურ-რომანტიკული სტილი, ძველი თბილისის ჩანახატები წარმოადგინეს. "უნივერსში" იმ დროიდან შემორჩენილი მხოლოდ რამოდენიმე ნახატი გამოიფინა. ქეთი მატაბელმა, ძველ ნამუშევრებთან ერთად, ახალი, ძალზედ საინტერესო, ორიგინალური ტექნიკით შესრულებული კომპოზიციებიც წარმოადგინა. ლევან ჭოღოშვილმა მისთვის დამახასიათებელი ისტორიული თემატიკის გათანამედროვებული ინტერპრეტაცია წარმოგვიდგინა. გია ბუღაძე კი საზოგადოების წინაშე მხოლოდ ერთი ძველი ნახატითა და სრულიად ახალი, რელიგიურ თემაზე შექმნილი სერიით ( "მუდამ ჩვენთან") წარდგა. დამთვალიერებელს ისევ მიეცა საშუალება, ირაკლი ფარჯიანის ექვსი მშვენიერი ნამუშევრით დამტკბარიყო. ვერნისაჟის ოფიციალურ გახსნას მისი ქალიშვილი - სოფო ფარჯიანი ესწრებოდა.

ვფიქრობთ, გალერეა "უნივერსის" ამ ორი კვირის მანძილზე დამთვალიერებელი ნამდვილად არ მოაკლდება.

# ქალი, რომელიც ალმოდოვარს ატირებს

### №1 გერმანული ექსპორტი

*შესაძლოა, სახელი პინა ბაუში ბევრს არაფერს გეუბნებოდეთ, თუმცა, როგორც კი პედრო ალმოდოვარის ბოლო ფილმის ("ესაუბრე მას") პირველ კადრებს გაიხსენებთ, მაშინვე თვალწინ დაგიდგებათ გამხდარი, დრამატული გარეგნობისა და გრაციოზული მოძრაობების მქონე ქალი, რომლის ცეკვაზეც ალმოდოვარმა, ფაქტობრივად, მთელი ფილმი ააგო. დღეს ამ ქალბატონისა და მისი სახელგანთქმული "ტანცთეატრის" წარმოდგენის სანახავად გერმანიის ქალაქ ვუპერტალში რჩეული ევროპელები მოიყრიან თავს. წარმოდგენილი იქნება ულამაზესი სანახაობა - სპექტაკლი "ო დიდო". საღამოს, ზუსტად ექვს საათზე ოპერის სცენაზე გამოვლენ მსახიობები, რომელთა ცეკვით ნაამბობმა სიყვარულისა და მარტოობის ისტორიამ პედრო ალმოდოვარი ცხარე ცრემლით ატირა, ლონდონელებს კი ნოემბრის ბოლოს დაგეგმილ სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების ივლისში შეძენა აიძულა.*

თამარ ბაბუაძე

მე-16 საუკუნიდან ქალაქი ვუპერტალი მთელ გერმანიაში ტექსტილის წარმოებით იყო განთქმული. თუმცა, დადგა 1973 წელი, ვუპერტალის ბალეტის დირექტორად დანიშნეს პინა ბაუში და ქალაქის მთავარი ექსპორტიც, ტექსტილის ნაცვლად, ცეკვა გახდა. ძალიან სტანდარტული სახელი – ვუპერტალის ბალეტი – უფრო საქმიანი და ორიგინალური სათაურით – ვუპერტალის "ტანცთეატრით" შეიცვალა. უკვე ორიოდე წლის შემდეგ კი, როდესაც ბაუშმა საზოგადოებას სტრავინსკის "გაზაფხულის დღესასწაულის" საკუთარი ვერსია წარუდგინა, ვუპერტალის მოცეკვავეები საერთაშორისო კულტურულმა საზოგადოებამაც გაიცნო.

პინა ბაუშს თავისი მაყურებელი არასდროს აკლდა: გადატვირთული საგასტროლო გრაფიკი, ანშლაგით ჩატარებული სპექტაკლები და მაყურებლის აცრემლება ბაუშის სამოქმედო გეგმის შედეგი იყო. *"არ მაინტერესებს, როგორ მოძრაობენ ადამიანები, მაინტერესებს ის, რაც მათ სამოძრაო ბიძგს, მუხტს აძლევს,"- იყო მისი დევიზი.*

თუმცა, ბაუში და მისი დასი პოპ-კულტურაში მაინც ალმოდოვარის წყალობით დამკვიდრდა. სწორედ მისი ბოლო ფილმის გამოსვლის შემდეგ გაიცნო საზოგადოებამ გერმანელი ქორეოგრაფი. ლონდონელებმა ნახეს "ესაუბრე მას" და მაშინვე გავრცელდა ხმა, რომ ნოემბრის ბოლოს ევროპის ერთ-ერთ უდიდეს კულტურულ ცენტრში, ბარბიქანში, პინა ბაუშის ქორეოგრაფიული დასი გამართავდა სამ წარმოდგენას. ალბათ, სწორედ ალმოდოვარის ფილმის მძაფრმა შთაბეჭდილებამ იქონია დიდი გავლენა იმაზე, რომ სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების უმრავლესობა ივლისშივე გაიყიდა. ბაუშის ხელოვნებას ლონდონელები უდიდესი ცნობისმოყვარეობით შეხვდნენ. უამრავმა გაზეთმა, მათ შორის "გარდიანმაც," წარმოდგენას ვრცელი რეცენზია უძღვნა...

ფილმში ცეკვის ორი ეპიზოდის გამოყენებას, თითქოს, ამხელა რეზონანსი არ უნდა მოჰყოლოდა. თუმცა, ეს ხომ მხოლოდ შემთხვევით არჩეული ორი სცენა არ ყოფილა. ალმოდოვარმა, ფაქტობრივად, სწორედ ბაუშსა და მის მოცეკვავეებს ათქმევინა მთავარი წინადადება: "ესაუბრე მას" – ანუ დაამყარე გრძნობათა კომუნიკაცია.

შესაძლოა, არ დაკვირვებიხართ, მაგრამ ეს საოცარი ქალბატონი მანამდეც გეყოლებათ ნანახი, თუ ალმოდოვარის 1999 წლის ფილმი - "ყველაფერი დედაჩემის შესახებ" გახსოვთ. ამ ფილმში ბაუში არ ცეკვავს. მისი პლაკატი სპექტაკლიდან *Cafe Muller* სესილია როტის ვაჟის ოთახში კიდია. ალმოდოვარი იხსენებს: "ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეს პატარა დეტალი ჩემი შემდეგი ფილმის პროლოგიცა და ეპილოგიც გახდებოდა. თუმცა, დავასრულე თუ არა "ელაპარაკე მასის" წერა და პინას პლაკატს კვლავ შევავლე თვალი, მივხვდი, რომ ეს ქალი საუკეთესოდ გადმოსცემდა ყველაფერს, რისი თქმაც ახალ ფილმში მსურდა". თხელკაბიანი, თვალდახუჭული, ხელებგაწვდილი პინა, რომელსაც მაგიდები და სკამები (მათ ალმოდოვარი ბარიერებად აღიქვამს) ახვევია გარს, საუკეთესოდ გადმოსცემს კომაში ჩავარდნილი ორი ქალის ამბავს: აშკარა პასიურობის მიუხედავად (მათ ხომ სძინავთ), ლიდიაც და ალისიაც, ალმოდოვარის აზრით, მამაკაცებში ვნებისა და ეჭვიანობის მძაფრ გრძნობებს აღძრავენ.

*სცენა პინა ბაუშის სპექტაკლიდან*

გახსოვთ, ალბათ, ფილმის გამხსნელი სცენა: გვერდი-გვერდ მჯდომი მთავარი გმირები, მომვლელი ბენინიო და მწერალი მარკო, სწორედ, ბაუშის წარმოდგენას უყურებენ. საოცარი მუსიკის ფონზე, იხსნება ფარდა და ყვავილებიან სცენაზე მოცეკვავეები გამოდიან. შემდეგ ჩნდება *Cafe Muller*-ის ინტერიერი და თეთრ, სიფრიფანა კაბებში გახვეული ორი ქალი (ერთ-ერთი ბაუში), რომელთა მოძრაობაც იმდენ დრამატიზმს გადმოსცემს, რომ მარკო ტირილს იწყებს. ეს ეპიზოდი რეალური ცხოვრებიდან არის აღებული. თურმე, როდესაც ალმოდოვარმა ბარსელონაში პირველად ნახა ბაუშის ეს სპექტაკლი, მანაც მარკოსავით ბევრი იტირა.

ბაუშს ათასნაირი მეტსახელი აქვს: თანამედროვე ცეკვის დედა; ქალი, რომელმაც მოშალა ბარიერები და ახლებურად განსაზღვრა ცეკვის მნიშვნელობა *(მისთვის ცეკვა არა მხოლოდ სილამაზეა, არამედ ხელოვნებაა თავისუფლების, სიყვარულის, სინაზისა და ჰუმანურობის შესახებ)*; ბაუში – ყველაფრის მეტრი, რაც თანამედროვე ქორეოგრაფიაში ხდება.

ცეკვით სულის ბოლომდე გაშიშვლება, მაყურებელთან უშუალო კონტაქტის დასამყარებლად ყველანაირი გამომსახველობითი ხერხის გამოყენება – ბაუშის 25-ივე სპექტაკლს სწორედ ეს შტრიხები გამოარჩევს.

დღეს საღამოს კი ვუპერტალის ოპერის სცენაზე კიდევ ერთხელ გათამაშდება ბაუშის ქორეოგრაფიული დრამა – ცეკვა სიყვარულის გასავრცობად, მარტოობის დასაძლევად.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დელეგაციები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)




გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საძარითველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# კლასიციზმი

## სათავეები

კლასიციზმი XVII საუკუნის საფრანგეთში განვითარდა. სხვა ქვეყნებში ამ სტილისტურმა სისტემამ ხელოვნების მხოლოდ ცალკეულ დარგებში შეაღწია და ისიც ეპიზოდურად. მაგალითად, ჰოლანდიასა და ინგლისში კლასიციზმმა არქიტექტურაში იჩინა თავი, იტალიაში კი, ძირითადად, ფერწერაში. საფრანგეთშიც კლასიციზმმა ბრწყინვალე შედეგრები მხოლოდ ფერწერაში დაგვიტოვა. თანაც, ეს მიმდინარეობა წარმოდგენლია სულ ორი-სამი მხატვრით: **ნიკოლა პუსენი, კლოდ ლორენი** და **გასპარ დიუგე**. მაშინ როცა კლასიციზმის პარალელურად არსებულმა სხვა მხატვრულმა მიმდინარეობებმა სახესხვაობათა მთელი სიმრავლე შექმნა და მათთან ბევრი შემოქმედის სახელია დაკავშირებული.

*პუსენი – აფროდიტე და მიდასი*

სამაგიეროდ, კლასიციზმის თეორიული ბაზა, ბაროკოსაგან განსხვავებით, უკეთესად იყო დამუშავებული. კლასიციზმის წიაღში შეიქმნა მთლიანი, ჩამოყალიბებული და მოწესრიგებული მხატვრული კონცეფცია. მაგალითად, პუსენი ლეონარდო და ვინჩის მსგავსად იყო ერთნაირად წარმატებული თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, თუმცა მას არ დაუწერია სპეციალური ტრაქტატები და მისი მოსაზრებები სხვა ავტორების გადმოცემითაა ცნობილი. მაგრამ სწორედ მისი რომაული სახელოსნო იქცა ევროპული კლასიციზმის იდეურ ცენტრად.

## იდეური შინაარსი

კლასიციზმში სინამდვილე მხატვრული ასახვის ობიექტად რომ იქცეს, საჭიროებს მხატვრის მხრიდან აქტიურ კორექტირებას. ამგვარი კორექტირების შედეგად რეალობა წარმოგვიდგება განსაკუთრებულად ამაღლებული სახით. სინამდვილის უშუალო ასახვა, მისი მრავალმხრივი გახსნა, ცალკეული პლასტების დიფერენცირებული ჩვენება თითქმის არ აინტერესებდა კლასიცისტ მხატვარს, რომელიც, თავის მხრივ, ხელმძღვანელობდა წინასწარ დამუშავებული იდეალებით.

აღორძინების ეპოქაშიც მისდევდა მხატვარი გარკვეულ მხატვრულ იდეალებს, თუმცა ეს იდეალები სამყაროს აქტიური შემეცნების უშუალო შედეგი იყო. ისინი ნატურის ბუნებრივ თვისებათა სინთეზს წარმოადგენდა. რენესანსულ სურათზე ასახული სამყარო, განზოგადებისა და იდეალიზაციის მაღალი ხარისხის მიუხედავად, ყოველთვის ინარჩუნებდა რეალობასთან უშუალო კავშირს.

კლასიცისტური იდეალი კი წარსულ მხატვრულ გამოცდილებაზეა ორიენტირებული. ესთეტიკურ ნორმას წარმოადგენდა ანტიკური ბერძნული ხელოვნება, რენესანსი, პირველ რიგში, რაფაელის შემოქმედება. და თუ აღორძინების ხანისათვის ანტიკური ხელოვნება იყო ერთგვარი სტიმული, რათა

*პუსენი – არკადიელი მწყემსები*

დამოუკიდებლად მოეძებნათ მხატვრულ პრობლემათა გადაწყვეტის გზები, კლასიციზმში ანტიკური ხელოვნების ნიმუშებმა კანონიკური ხასიათი მიიღო. ანტიკურობით ტკბობამ და ხელმძღვანელობამ შეიძინა არა იმდენად თეორიული, რამდენადაც წმინდა პრაქტიკული ხასიათი. ყოველივე ამან მიანიჭა კლასიციზმს ერთგვარი რეტროსპექტული და განყენებული ხასიათი.

თუმცა არ უნდა გავაზვიადოთ კლასიციზმში რეტროსპექციის მნიშვნელობა. მაგალითად, ნიკოლა პუსენი იძლევა კლასიკურ ტრადიციათა ორიგინალურ გააზრებას, რის შედეგადაც კლასიკური ფორმალური ხერხები იძენენ სრულიად ახლებურ საზრისსა და დატვირთვას.

კლასიციზმში მეტად სპეციფიკური თემატური რეპერტუარი ჩამოყალიბდა. წინა პლანზე იწევს საზოგადოებრივი მოვალეობის თემა. განყენებულ იდეათა გადმოსაცემად მიმართავდნენ დრამატულ სიტუაციებს. სიუჟეტებს

*ლორენი – პარისის სამსჯავრო*

სესხულობდნენ ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიებიდან და ლეგენდებიდან. მსგავს კლასიცისტურ ნაწარმოებებში საზოგადოებრივი პრინციპების სასარგებლოდ დათრგუნულია ბუნებრივი ადამიანი, მისი პირადი ინტერესები. მოვალეობის ცნება უმთავრესი კატეგორიული იმპერატივია : გონიერება და დისციპლინა, აი, რა მოეთხოვება ადამიანს.

მეორე ძირითადი თემაა - ადამიანი ბუნების სამყაროში. ბუნება ყოველთვის მშვენიერია, ძლიერი, ჰარმონიული. ის ფლობს საკუთარ ურღვევ კანონზომიერებებს. არა მხოლოდ საზოგადოებაა გონივრულად მოწყობილი, არამედ ბუნებაშიც ბატონობს გონი. წონასწორობა დაცული უნდა იყოს, როგორც საზოგადოებაში, ასევე ბუნებაშიც. შემთხვევითი არაა, რომ პეიზაჟი დიდ ადგილს იკავებს კლასიციზმში. პეიზაჟებს აქვს ძლიერი თემატური დატვირთვა : ბუნება ხდება რთულ იდეურ კონცეფციათა მატარებელი. მაგალითად, სამყაროს ურღვევი ჰარმონიის იდეით დაწყებული, მსოფლიო კატასტროფით დამთავრებული.

პუსენთან პეიზაჟი, უპირველეს ყოვლისა, არკადიაა, ბერძნული მითებიდან აღებული მითიური ქვეყანა, რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ იდეალურ უტოპიას, არამედ გამოხატავს იდეას, რომ სწორედ ბუნების წიაღში შეუძლია ადამიანს თავისი ბუნებრივი თვისებების შენარჩუნება. პეიზაჟს თითქმის მთელი თავისი შემოქმედება უძღვნა კლოდ ლორენმა.

# ურცხვობიდან უმანკოებამდე

*ჩვენს კურთხეულ სამშობლოში ყოველთვის უნდა ატყდეს აურზაური იმის გარშემო, რაც ჩვენი პლანეტის დანარჩენ ნაწილში უკვე აღარავის უკვირს. აი, მაგალითად, ახალგაზრდების სექსუალური აღზრდის ირგვლივ ატეხილმა ხმაურმა ამ ცოტა ხნის წინათ, ჯერ თბილისის ქუჩები და შემდეგ ჩვენი გაზეთის ფურცლებიც აავსო. ნეტა ევროპაში როგორ იყო სექსუალური აღზრდის საქმე ასე ოთხასიოდე წლის წინათ? ამ კითხვაზე პასუხს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, **ფილიპ არიესის** დახმარებით ვიპოვით...*

*ბალდუნგ გრინი – ღვთისმშობლის შობა*

ჩვენი მორალის ერთი დაუწერელი კანონი მოითხოვს, რომ მოზრდილებმა ბავშვების თანდასწრებით სექსზე არა მარტო პირდაპირი საუბრის, არამედ ნართაული მინიშნებებისაგანაც უნდა შეიკავონ თავი. ამ კანონის მიმდევარ ადამიანს თავზარს დასცემდა საფრანგეთის სამეფო კარის ექიმის, **ეროარის** დღიური, რომელშიც **ლუი XIII**-ის ბავშვობაა აღწერილი.

ერთი წლის ასაკი. სტუმრად ბატონი დე ბონიერი და მისი პატარა ქალიშვილი მობრძანდნენ. უფლისწული მხიარულ ხასიათზეა: "სიცილით მაღლა იწევს პერანგს და თავის ყვინჩილას აჩვენებს. განსაკუთრებით, გოგონას, შემდეგ ეკრობა მას და მთელი ტანით ეხახუნება". ყველას იმდენად ართობს ეს საქციელი, რომ პატარა უფლისწული კვლავ იმეორებს მას: "პატარა ქალბატონის წინაშე პერანგს იხდის და თავის ავლა-დიდებას აჩვენებს. ძალიან აღგზნებულია. ზურგზე წვება, რომ გოგონამ უკეთ დაინახოს".

ორი წლის ასაკში ესპანეთის ინფანტაზეა დანიშნული. მას განუმარტეს, რას ნიშნავს ეს და უფლისწულმაც მშვენივრად გაიგო ყველაფერი. ეკითხებიან: "სად ცხოვრობს ინფანტას მეგობარი?". პასუხად უფლისწული თავის ყვინჩილას აჩვენებს. "ის სულ უძვლოა", — ამბობს. მაგრამ ზოგჯერ კი დააყოლებს: "ხანდახან კი ძვლიანია".

ხუთ წლამდე ლუი XIII-ის სასქესო ორგანოებით თამაში არავის არ ეკრძალება, ამას თავისუფლად და ხუმრობით აკეთებენ როგორც მისი ძიძები და გუვერნანტები, ასევე მეფის კარზე მოსული დიდგვაროვანი სტუმრები.

ხუთი წლის ასაკიდან მოზრდილები ბავშვის გენიტალიებით თამაშს წყვეტენ, სამაგიეროდ, ის თვითონ ეთამაშება უფროსებს. ლოგინში უწვება მის მომვლელ ქალიშვილს, მადემუაზელ მერსიეს და იკვლევს ამ უკანასკნელის სხეულს. შემდეგ უხსნის ექიმს, რომ ქალბატონ მერსიეს აი ამხელა აქვს (აჩვენებს ორ თავის მუჭს) და იქ სულ მუდამ ნესტია.

1608 წელს უფლისწულს შვიდი წელი უსრულდება. ეს ნიშნავს, რომ იგი უკვე პატარა მამაკაცია და სახუმაროდ არ სცალია. მოვიდა დრო, წესიერი მოქცევა და ლაპარაკი ისწავლოს. როცა ეკითხებიან, თუ საიდან ჩნდებიან ბავშვები, უფლისწული პასუხობს, ყურიდანო. იგივე გუვერნანტი, ქალბატონი მონგლა, რომელიც ორი თუ სამი წლის წინათ სიამოვნებით ღებულობდა მონაწილეობას კვიმატ თამაშებში, ახლა უკვე აჩერებს და ტუქსავს, როცა უფლისწულს თავში მოუვა, მოახლის პატარა გოგონას აჩვენოს თავისი პენისი. თუ გუვერნანტი ქალი დილით კვლავ საწოლში იწვენს მას, ექიმის დღიურში მრისხანე ლათინური წარწერა ჩნდება: Insignis impudentia (ურცხვობის ნიშნები). ათი წლის ბავშვს უკვე ისეთ თავშეკავებას სთხოვენ, რომლის მსგავსი ხუთი წლის წინათ თავშიც არავის მოუვიდოდა. ასე და ამგვარად, აღზრდა მხოლოდ შვიდი წლის ასაკიდან იწყებოდა.

სავარაუდოა, რომ ზნეობრივი ნორმების ეს უეცარი გამკაცრება დაკავშირებულია საზოგადო მორალურ რეფორმასთან, რომელიც ევროპას XVII საუკუნეში მოედო. თოთხმეტი წლის უფლისწულმა უკვე, როგორც ეტყობა ყველაფერი იცოდა, რადგანაც თოთხმეტი წლისა და ორი თვის ასაკში იგი ლამის ძალით დააწვინეს თავის ცოლთან. გავიხსენოთ, რომ ჩვენი ლუარსაბ თათქარიძეც ამ ასაკს გულისხმობდა თავისი დაუბადებელი მემკვიდრის დასაქორწინებლად.

ექიმის დღიურში შემდეგი ჩანაწერია: "ჯვრისწერის ცერემონიის შემდეგ მეფე წამოწვა, შემდეგ, შვიდს რომ თხუთმეტი აკლდა, საწოლში ივახშმა. სხვა ახალგაზრდა სენიორებით გარემოცული ბატონი დე გრამონი მეფეს სხვადასხვა თავშესაქცევ ამბებს უყვებოდა გასამხნევებლად. შემდეგ მეფემ ფეხსაცმელი მოითხოვა და დედის საწოლ ოთახში გაეშურა. შემდეგ, რვა საათზე, დედის თანდასწრებით იგი დედოფალთან, მის მეუღლესთან დააწვინეს. ათ საათსა და თხუთმეტ წუთზე თავისი საძინებლიდან გამოვიდა და ამტკიცებდა, რომ ორი ჯერის მერე ორი საათი ეძინა. ალბათ მართალია, რადგან ასოც შეწითლებული აქვს".

იმ დროისათვის თოთხმეტი წლის ბიჭის ქმრობა უკვე საკმაოდ იშვიათი იყო, მაგრამ გოგონებს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ათხოვებდნენ ცამეტი წლის ასაკში.

სხვა ოჯახებშიც მორალური კლიმატი დიდად არ განსხვავდებოდა სამეფო ოჯახის წეს-ჩვეულებებისაგან. აქაც არავის უკვირდა ბავშვების ადრეული გათვითცნობიერება სექსის საკითხებში. პასკალების ოჯახში, მაგალითად, თორმეტი წლის ჟაკლინი ლექსებს უძღვნიდა დედოფლის ორსულობას. მეოცე საუკუნის იეზუიტი ისტორიკოსი, მამა დე დენვილი წერს, რომ "იმ დროს, არავის რცხვენოდა ბავშვების სიახლოვისა. მათი თანდასწრებით ყველაფრის თქმა, ყოველგვარი უხამსი ხუმრობის ქმნა შეეძლოთ და ბავშვებიც ყველაფერს ისმენდნენ და ხედავდნენ".

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა შეფასებას მისცემდა ყოველივე ამას თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსი! მაგრამ ეს შეფასება მცდარი იქნებოდა. სქესობრივი ცხოვრებისადმი დამოკიდებულება და თვით სქესობრივი ცხოვრება დროთა განმავლობაში იცვლება. ექიმ ეროარის მიერ აღწერილი მოზრდილთა ქცევა დღეს სექსუალური მოშლილობის უკანასკნელ სტადიად აღიქმება, მაგრამ მაშინ მას სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანელი მხატვრის, ბალდუნგ გრინის გრავიურაზე "წმიდა ოჯახი" (1511 წელი) გამოსახულია წმ. ანა უცნაურ პოზაში: იგი თითქოს ცდილობს ყრმას ფეხები გაუშალოს და მის სასქესო ორგანოს მიეფეროს. ამგვარ გამოსახულებაში არავინ ხედავდა გარყვნილების მცირე ნიშანსაც კი.

ბავშვების გენიტალიებთან თამაში ძველი ტრადიციაა, რომელიც დასავლეთში XVII საუკუნის განმავლობაში გაქრა პროტესტანტული პურიტანიზმის გავლენის ქვეშ. მუსლიმანურ ქვეყნებში, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღმა დარჩნენ, ეს ტრადიცია დღემდე შეინიშნება. საქართველოშიც სულ რაღაც 10-15 წელია, რაც არ გვესმის, როგორ სთხოვენ პატარა ბავშვს, ბიძიას "პასპორტი" აჩვენოს. ახლო წარსულის ამ ლოყაღაჟღაჟა ქართველების ქცევა ისევე მცირედ იყო განპირობებული ფროიდის მოძღვრებაში აღწერილი კომპლექსებით, როგორც XVII საუკუნის საფრანგეთის სამეფო კარზე მცხოვრები ადამიანების უმანკო ხუმრობები.

ამგვარი ხუმრობებისადმი მიდრეკილება გამოსჭვივის იმაშიც, რომ მთელს ევროპაში XV საუკუნიდან საოცრად პოპულარულია მშარდავი ბიჭის გამოსახულებები, რომლებიც უხვად გვხვდება რელიგიური და სარიტუალო ხასიათის წიგნებზეც. ერთ-ერთს დღესაც ვხედავთ ქალაქ ბრიუსელის ღერბზე. XVI საუკუნის ერთ ფრანგულ "კურთხევანს" ასეთი გამოსახულება ამკობს: ზამთრის დათოვლილი სოფელი, ერთი სახლის კარი ღიაა და მის მიღმა სართავს მიმჯდარი ქალი მოჩანს, კაცი ბუხართან თბება, კართან კი ბიჭი დგას და თოვლში შარდავს.

ასევე უნდა გამოვყოთ იმ დროის მხატვრობაში ძალიან ხშირი მოტივი: წინადაცვეთა. პროცესი, ჩვეულებრივ, თითქმის ქირურგიული სიზუსტითაა გამოსახული. აქ არავითარი ბოროტი განზრახვა არ ყოფილა: უფლის წინადაცვეთისა და ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულები XVI და XVII საუკუნეებში საბავშვო დღესასწაულებად იყო მიჩნეული. ამიტომაც უფლის წინადაცვეთის გამომსახველ სცენებზე, ჩვეულებრივ, ბავშვების მთელი ბრბო იყო დახატული. ბავშვები ირგვლივ არიან შექუჩულნი, ზოგი ხეზე ან სვეტზე ამძვრალა, რომ უკეთ დაინახოს, რაც ხდება. დღეს ამგვარი არჩევანი საკვირველია, მაგრამ მხოლოდ ჩვენთვის. არც დღევანდელ მუსლიმს, არც მაშინდელ ევროპელს საქმის ეს ვითარება არ გაუკვირდება.

რით იყო განპირობებული ეს ვითარება? ორი მიზეზით: ჯერ ერთი, ფიქრობდნენ, რომ სქესობრივ მომწიფებამდე ბავშვი სრულიად ვერ აღიქვამს სქესთა შორის განსხვავებას, ამიტომ ნებისმიერი ხუმრობა, თითქოსდა კარგავდა თავის სქესობრივ მნიშვნელობას და ნეიტრალური ხდებოდა; გარდა ამისა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სქესობრივ თემაზე ნებისმიერი მინიშნება სრულიად უვნებელია ბავშვის ფსიქიკისათვის და ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ბავშვურ უმანკოებაზე. იმ დროს, სულ არ ფიქრობდნენ, არსებობს თუ არა პირობითობა, რომელსაც დღეს ბავშვურ უმანკოებას უწოდებენ.

## რეპრესიული ეთიკის პირველი მერცხალი

მაგრამ ასეთი მხოლოდ საზოგადოების ფართო ფენებში გაბატონებული თვალსაზრისი იყო. XV საუკუნიდან უკვე გაისმა ერთეულთა პირველი ხმები, რომლებიც არსებული ზნეობრივი ატმოსფეროს შეცვლისკენ მოუწოდებდნენ. ცვლილება საჯარო სკოლებიდან დაიწყო და მისი ერთ-ერთი პირველი გამტარებელი იყო **ჟან ჟერსონი** (1363-1429), ფრანგი თეოლოგი, რომელიც მრავალშვილიანი გლეხური ოჯახიდან გამოვიდა. სხვათა შორის, ეს პიროვნება იმითაცაა ცნობილი, რომ პირველმა ირწმუნა **ჟანა დ'არკის** ღვთაებრივი მისია და აკურთხა იგი.

თავისი დროისათვის, ჟერსონი ბავშვთა სექსუალური ცხოვრების ყველაზე უფრო გონიერი და ყურადღებიანი დამკვირვებელი იყო. მან დაწერა ცნობილი ტრაქტატი De confessione mollicei — "ჩუკენთა აღსარებისთვის". ეს ნაწარმოები შეიცავს პრაქტიკულ მითითებებს მღვდლებისათვის, რომლებიც 10-12 წლის "ცოდვილთა" აღსარებებს ისმენენ. მოძღვრებმა მათ დანაშაულის გრძნობა უნდა გაუღვიძონ. ჟერსონმა იცის, რომ თავისთავადი ერექცია საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენაა, ამიტომაც ეუბნება მოძღვრებს, რომ ვინც ამის შესახებ შეკითხვაზე უარყოფითად უპასუხებს, სრულიად გაცნობიერებულად ტყუის. ჟერსონი ამბობს, რომ ჩუკენობის, ანუ მასტურბაციის ცოდვა, უაღრესად საშიშია მაშინაც კი, თუ მცირე ასაკის გამო ეიაკულაციით არ სრულდება — "იგი მაინც ართმევს ყრმას უმანკოებას გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მის თანატოლს, რომელიც უკვე ყოფილა ქალთან". უფრო მეტიც, — ამტკიცებს ჟერსონი, — ეს პირდაპირი გზაა სოდომის ცოდვისაკენ. მხოლოდ 1996 წელს მიიღო კათოლიკური ეკლესიის ზნეობის კონგრეგაციამ გადაწყვეტილება, რომ მოზარდთა მასტურბაცია არ წარმოადგენს ცოდვას.

ჟერსონი თვალსაზრისით ყველაფრის მიზეზი ადამიანის პირველყოფილი ცოდვით გამოწვეული თანდაყოლილი გარყვნილებაა, რომლის გამო ბავშვი თავიდან არანაირ დანაშაულს არ განიცდის და უნებურად ეხება ხელით იმ ადგილებს, სადაც თავდაპირველ უსიამოვნო დაძაბულობას გრძნობს. როგორ უნდა დავიცვათ ბავშვი? ერთი მხრივ, ბავშვსა და მშობლებს მოძღვრის კეთილი რჩევა დაეხმარება, მეორე მხრივ კი — მშობლებმა აუცილებლად უნდა შეცვალონ ბავშვის თანდასწრებით თავიანთი ქცევა.

ბავშვებს არ უნდა გავაგონოთ ყველაფერი. უნდა ავუკრძალოთ თამაშები, როცა ისინი ერთმანეთს აქტიურად ეხებიან, ან სხეულის ნაწილებს აჩვენებენ. ბავშვები არ უნდა იწვნენ მოზრდილთა საწოლში. ეს უკანასკნელი პრაქტიკა იმ დროს მთელს საზოგადოებაში იყო გავრცელებული. ჟერსონმა თავის ეპოქას ორასი წლით მაინც გაუსწრო.

ჟერსონმა დაწერა ქცევის წესები პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის სკოლისათვის. ამ წესებში ყველა პარაგრაფი მიმართულია იმისკენ, რომ დააბრკოლოს ბავშვებს შორის ახლო მეგობრობის წარმოშობა და ბავშვებთან მისასვლელი შეუზღუდოს ყველა გარეშე პირს, მსახურებისა და სამღვდელოთა ჩათვლით — ეს უკანასკნელნიც ბავშვებს მხოლოდ მასწავლებლის თანდასწრებით უნდა ესაუბრებოდნენ. მანიაკალურად ეჭვიანი ჟერსონი არავის ენდობოდა.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახალი წესები თავიდანვე დაუბრკოლებლად იქნა მიღებული სკოლაში. რა თქმა უნდა, მათ წინააღმდეგ არავინ მართავდა აქციებს. უბრალოდ, საზოგადოებრივი შეგნების ინერცია დღევანდელთან შედარებით განუზომლად უფრო დიდი იყო და ახალი წესების საყოველთაო დამკვიდრება სკოლებსა და კოლეჯებში XVIII საუკუ-

*ჟან ჟერსონის მორალისტური ტრაქტატის პირველი გვერდი*

ნემდე გადაიდო. ჟერსონის ნაწერებში მოცემული მორალური იდეალი სახელმძღვანელოდ იქცა იეზუიტების, **პორ-როიალის** სამონასტრო სკოლის პედაგოგების, **ჟან-ბატისტ დე ლა სალის** მიერ დაარსებული კონგრეგაციისა და XVII საუკუნის მკაცრი მორალური რეფორმის სხვა მესვეურთათვის.

## საბავშვო ცენზურა

საუკუნით ადრე სასკოლო ეთიკის მასწავლებლები გაცილებით ნაკლებ მკაცრნი და მეტად ლიბერალურნი იყვნენ, თუმცა ზოგადი მიმართება იგივე ჰქონდათ. მაგალითად, XVI საუკუნის ეთიკის სახელმძღვანელოში გვხვდება შემდეგი დიალოგი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის: "სხეულის რომელი ნაწილია უფრო სამარცხვინო, წინა თუ უკანა? — ორივე ძალიან უხამსია: უკანა სიბინძურის, ხოლო წინა გარყვნილებისა და ურცხვობის გამო". საზოგადოდ, მეტყველება გაცილებით უფრო თავისუფალი და არაფორმალური იყო, ვიდრე დღეს. თვით მქადაგებელთა სიტყვებშიც კი დღევანდელობისათვის წარმოუდგენელი ზოგი შედარება შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითად, იეზუიტი ლებრენი 1653 წელს ასე ამხელს კლერმონის კოლეგიუმის არისტოკრატ პანსიონერებს: "ჭამაში ისინი ფეხმძიმე დედაკაცებივით თავშეუკავებელნი არიან".

და მაინც, XVI საუკუნიდან პედაგოგები ნელ-ნელა იწყებენ ბავშვების გარემომცველი მორალური ატმოსფეროს კონტროლს. მაგალითად, ცდილობენ, რომ ზოგი წიგნი ბავშვებს არ ჩაუვარდეთ ხელში. ამ დროს ჩნდება კლასიკურ ნაწარმოებთა ბავშვებისათვის ადაპტირების იდეაც. ჩვენს თაობას ახსოვს, რომ, მაგალითად, "საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოთეკის" სერიაში გამოცემული "გულივერის მოგზაურობანი" განსხვავდებოდა ამ გენიალური ნაწარმოების სრული ვერსიისაგან. იგივე შეიძლება ითქვას **ფრანსუა რაბლეს** "გარგანტუასა და პანტაგრუელზე", რომლის ადაპტირებული თარგმანებიც საყოველთაოდაა ცნობილი. XVII საუკუნეში კი პორ-როიალი გამოსცემს წიგნს: "ტერენციუსის კომედიები მცირე ცვლილებებით, რომელთა წყალობით ისინი ყველასათვის მისაღები გახდა".

## ბავშვური უმანკოების დამკვიდრება

XVII საუკუნიდან ცვლილება დაეტყო ქცევის წესებსაც და სქესობრივი ინსტინქტების მიმართ რეპრესიულმა მორალმა ყველგან იჩინა თავი. მაგალითად, იეზუიტთა ერთ-ერთი სკოლის განაწესი მოსწავლეთა გაწკეპლვისას ურჩევდა, არ ჩაეხადათ შარვალი დასასჯელისათვის, მიუხედავად მისი ასაკის ან წოდებისა. "საკმარისია, გავაშიშვლოთ არაუმეტეს ზურგის საკმარისად ფართო მონაკვეთისა".

ასევე ექვემდებარება მსგავს ცვლილებებს სამეფო კარის ეტიკეტიც. ეს უკვე აღარაა ჟერსონის მსგავსი მარტოხელა ენთუზიასტის თვალსაზრისი, არამედ საზოგადოებრივი მოძრაობაა, რომელიც ცხოვრების ყველა დონეს მოიცავს. შესაძლოა, მხოლოდ **ლიბერტენები** არ ემხრობიან ზნეობის რეფორმას. ლიბერტენები — ეს თავისუფალი, ჰედონისტური მორალის მიმდევრები არიან, რომლებიც ერთმანეთთან მსგავსი ეროტიული გემოვნების საფუძველზე მეგობრობენ და მთელს ქსელს ქმნიან მაშინდელ ევროპაში. საფრანგეთში ლიბერტენებმა განსაკუთრებული სუბკულტურაც კი შექმნეს, რომლის უკიდურესი გამოხატულება იყო მარკიზ **დე სადის** ცხოვრება და შემოქმედება.

სწორედ XVII საუკუნეში დამკვიდრდა საბოლოოდ თვალსაზრისი, რომ ბავშვი უმანკო არსებაა. ამავე დროიდან იწყება განსაკუთრებული ზრუნვა ყრმათა აღსაზრდელად, იწერება მრავალი ტრაქტატი, სათაურით "კეთილშობილი ქალიშვილი", ან "კეთილშობილი ვაჟი". ამგვარი შემოქმედების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ვინმე **დე გრენაი**, დე შატონიეს სენიორის მეჯინიბეთუხუცესი. თუმცა თავის ნაწარმოებებში იგი **კვინტილიანეს**, **პლუტარქესა** და **არისტოტელეს** ეყრდნობა, საქმე იმდენად ახალი იყო, რომ დე გრენაი თავს იმართლებს და ეკამათება მათ, ვინც ბავშვების აღზრდაში მხოლოდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ხედავს, მაგრამ წიგნში განხილვის ღირსად არ მიიჩნევს მას.

დე გრენაი თავისი დროისათვის სრულიად ნოვატორულ აზრს გამოთქვამს: "არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვობა რაღაც უმნიშვნელო რამაა: მე აქ დავამტკიცებ, რომ ადამიანის მდგომარეობა, რომელსაც მრავალნი ყურადღების ღირსადაც არ მიიჩნევენ, სინამდვილეში გასაოცარია". მართლაც, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ბავშვობას სისუსტესა და სიბრიყვესთან აკავშირებდნენ, უფრო ადრე მას საერთოდ არ ამჩნევდნენ.

დე გრენაისათვის ბავშვობა გასაოცარი ხანაა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს ეტაპი იესო ქრისტემაც გამოიარა. თუმცა, შუასაუკუნეობრივი თეოლოგისა და ასკეტის, წმ. **ბერნარ კლერვოელის** თანახმად, ქრისტეს ბავშვად ყოფნა მისი თვითდამდაბლების სიმბოლოა, რომელიც არ გამოუვლია, მაგალითად, ადამს. ამის საწინააღმდეგოდ, დე გრენაი მიუთითებს ქრისტიანობაში წმინდანად შერაცხულ ბავშვთა და ყრმათა სიმრავლეზე. როგორც ვხედავთ, საღვთო წერილი და თეოლოგიური ტრადიცია თანაბარი წარმატებით შეიძლება იყოს ერთმანეთთან დაპირისპირებული თვალსაზრისებისა და სოციალური თუ კულტურული იდეების წყარო და საფუძველი.

ბავშვური უმანკოების ერთ-ერთ მტკიცებად მოჰყავს დე გრენაის "ყრმათა ჯვაროსნული ლაშქრობა", რომელიც 1212 წელს მოხდა, როცა ორივე სქესის ბავშვთა და მოზარდთა ჩრდილოეთიდან წამოსული ბრბოები მოედო მთელს ევროპას. ისინი იერუსალიმისკენ მიისწრაფოდნენ წმიდა ქალაქის ურწმუნოთაგან გასათავისუფლებლად. მრავალმა მიაღწია ხმელთაშუა ზღვის ნაპირს და იქ მეზღვაურებს მიანდო თავისი თავი, მაგრამ უმრავლესობა უკვე რომში მიხვდა, რომ ხელისუფალნი მათ არანაირ დახმარებას არ გაუწევენ და მთელი ეს წამოწყება დამარცხებისთვისაა განწირული.

"და მაინც, — წერს ფრანგი მორალისტი, — ვინ შეგვეკამათება, რომ ღმერთი ბავშვებს უფრო სწყალობს, ვიდრე მოხუცებს". და წყალობს ბავშვების უმანკოების გამო, რომელიც გაცილებით უფრო ახლოსაა თვით ღვთის სრულყოფილებასთან.

პორ-როიალის დედათა მონასტრის იღუმენია, **ჟაკლინ პასკალი** თავის წესდებაში წერდა: "ბავშვებზე ზრუნვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს მოვალეობა ჩვენ ყველა სხვას უნდა ვარჩიოთ, თუნდაც საქმე რაიმე სულიერს ეხებოდეს".

აქ შეუძლებელია მსგავს გამოთქმათა რამდენამდე სრული მიმოხილვა, რადგანაც ეს იდეები უკვე შეადგენენ საერთო საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელსაც თან ახლავს სხვადასხვა, პანსიონების, კოლეჯების, სკოლების ფართო ქსელის განვითარება მთელს დასავლეთ ევროპაში. ამ დროიდან ბავშვები უკვე აღარ არიან საკუთარი თავის ბატონპატრონები, არამედ მოზრდილთა მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. იქმნება გარკვეულად პარადოქსული მდგომარეობა: სქესობრივი აღზრდა იწყება იმით, რომ სრულიად ქრება.

## აღზრდის სამი პრინციპი

ჟაკლინ პასკალი წერდა: "საჭიროა კარგად ვადევნოთ თვალყური ბავშვებს და არსად არ დავტოვოთ ისინი მარტო, ჯანმრთელად იქნებიან თუ ავად... მაგრამ საჭიროა, რომ ეს ზედამხედველობა დელიკატური იყოს და მასწავლებლის მხრიდან გარკვეული ნდობა მათ აგრძნობინებდეს, რომ ისინი სიყვარულით სარგებლობენ, ხოლო გვერდიდან მხოლოდ იმიტომ არ შორდებიან, რომ მათთან ყოფნა სიამოვნებთ".

ეს პრინციპი საყოველთაო გახდება, მაგრამ რეალურად მას მხოლოდ იეზუიტების ინტერნატებსა და კერძო პანსიონებში გამოიყენებენ. ანუ, მისი მოქმედების არეში მხოლოდ მდიდარი მშობლების მცირერიცხოვანი ბავშვები მოჰყვებიან. თავიდანვე საეჭვოდ მიაჩნდათ ბავშვების ნდობა ერთი მასწავლებლისადმი. მნიშვნელოვანი იყო, რომ პატარები ადრეული ასაკიდანვე მიჩვეოდნენ ადამიანების გაცნობასა და მათთან ურთიერთობას. ჯერ კიდევ ერაზმ როტერდამელი ამბობდა, რომ სასარგებლო იქნებოდა 5-6 ბავშვის მოთავსება ერთი ან ორი პატიოსანი კაცის კუთვნილ სახლში".

მეორე პრინციპი: იშვიათად უნდა მოვუალერსოთ ბავშვებს და ადრეული ასაკიდანვე მივაჩიოთ ერთგვარ სიმკაცრეს. 1671 წელს ფრანგი მორალისტისა და პედაგოგის, **კურტენის** სახელმძღვანელოში წერია შემდეგი: "ნუ მეტყვით, რომ ისინი ჯერ პატარები არიან და საჭიროა მოთმინება. გონების გარყვნილების შედეგები მათ ასაკში საკმაოდ ძლიერად ვლინდება". ავტორი ჩივის, რომ მოზრდილები ბავშვებთან დროს ისე ატარებენ, რომ არ უფიქრდებიან, თუ რა არის სასარგებლო და რა — მავნებელი. მოზრდილები ხშირად არ ცნობენ არანაირ აკრძალვებს, რის გამოც ბავშვები იცინიან იქ, სადაც ტირილი უფრო შესაფერია, ლაპარაკობენ, იმის მაგიერ, რომ დადუმდნენ, მუნჯდებიან, როცა მათგან პასუხს ითხოვენ.

მესამე პრინციპი: თავშეკავება. ეს უნივერსალური ქრისტიანული პრინციპი, რომელიც ადრე ბერების პრივილეგია იყო, ახლა უკვე ბავშვებზეც ვრცელდება. პორ როიალის პანსიონში, ძილად მისვლის შემდეგ მასწავლებლები ყოველ საწოლთან მიდიან იმის შესამოწმებლად, რამე უხამსი ხომ არ შეინიშნება მძინარე გოგონათა პოზებში. ამ პრინციპის განხორციელებაში დიდი წვლილი ეკუთვნის ფრანგ თეოლოგსა და რელიგიურ მოღვაწეს წმ. **ფრანცისკ დე სალს** (1567-1622), სალეზიანელთა ორდენის ფუძემდებელს, რომელსაც, კერძოდ, ასეთი რეკომენდაცია ეკუთვნის: "მშობლებმა უნდა შთააგონონ თავიანთ შვილებს, რომ მიუღებელია ძილად მისვლისას შიშველი სხეული აჩვენო ვინმეს". ფრანცისკ დე სალის პედაგოგიურმა თხზულებებმა, რომლებიც მან ჟენევის ეპისკოპოსად ყოფნისას დაწერა, დიდი როლი შეასრულა კათოლიკური აღზრდის პრინციპთა დამკვიდრებაში.

ერთხელ დაწყებული რეპრესიული კამპანია უკვე ძალიან შორს წავიდა და სიტყვების სფეროსაც გადასწვდა. იმდროინდელი დიდაქტიკური ტექსტები სავსე იყო შემდეგნაირი რჩევებით: "ბავშვები უნდა სწავლობდნენ წიგნებით, რომლებშიც ენის სიწმინდე შეხამებული იქნება სიუჟეტთა კეთილგონიერებასთან. როცა ბავშვები წერას დაიწყებენ, მასწავლებლები არ უნდა აძლევდნენ მათ ცუდი სიტყვებით აღსავსე მაგალითებს".

იგივე შეზღუდვები ეხება სიმღერებსაც. მუსიკა ყველასათვისაა მისაწვდომი. ამიტომაც ბობოქრობენ პედაგოგები: "არ მისცეთ ბავშვებს უფლება, შეისწავლონ დღევანდელი სიმღერები". მაგრამ ძველი სიმღერებიც არაა ბევრად უკეთესი: ისინი სავსეა მწვავე სატირით, სხვადასხვა ორაზროვანი მინიშნებებით, დაცინვითა და გმობით. ზნეობრივ რეფორმამდე ხომ არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ ბავშვის ყურამდეც აღწევდა ეს სიტყვები.

ფრანგი პედაგოგი, **ჟან-ბატისტ დე ლა სალი** (1651-1719) XVIII საუკუნის დასაწყისში უკვე სანახაობებსაც გადასწვდა: "ქრისტიანისათვის თოჯინურ წარმოდენაზე დასწრება ისევე დაუშვებელია, როგორც კომედიის ნახვა. ბრძენი კაცი ზიზღით უნდა ეკიდებოდეს ამგვარ სანახაობებს... მშობლებმა შვილებს არ უნდა დართონ მათზე დასწრების ნება".

აღზრდის მეოთხე ფუნდამენტური პრინციპი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ძველი ფამილიარობა სრულიად უნდა შეეცვალათ ქცევის მოკრძალებული მანერით. ეს მანერა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც უნდა დანერგილიყო. პედაგოგები ცდილობდნენ ურთიერთობის არაფორმალური სტილი, თუ სულ არ მოესპოთ, მინიმუმამდე დაეყვანათ მაინც. იგივე დე ლა სალი მასწავლებლებს სულ პატარა ბავშვებთანაც უკრძალავს შენობით ლაპარაკს. მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი სკოლებში მხოლოდ ლათინურ ენაზეა დასაშვები.

ცნობილი ლათინური გამოთქმა si puer prout decet, vixit (თუ ბავშმა ღირსეულად იცხოვრა) 1671 წლის პედაგოგიურ სახელმძღვანელოში ასეა თარგმნილი: თუ ბავშმა მოზრდილივით იცხოვრა.

## მოკლე დასკვნა

რა შეიძლება ვთქვათ ყოველივე ამის შესახებ? შუა საუკუნეებში ბავშვებს არ ამჩნევდნენ. ისინი თითქოსდა პატარა ზომისა და შედარებით უძლური მოზრდილები იყვნენ. ბავშვისა და მოზრდილის გაიგივება მატერიალურ დონეზე ხდებოდა. ზნეობრივი რეფორმის განვითარებამ თავიდან ბავშვის განსაკუთრებულობა დაამკვიდრა და თითქოს ამ ასაკის ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინა ადამიანების თვალში. მაგრამ მოგვიანებით ახალმა დრომ ისევ გააიგივა ბავშვი მოზრდილთან, ოღონდ ამჯერად სულიერ დონეზე. ბავშვობის ვერშემჩნევა ბავშვობის მოსპობამ შეცვალა.

## კლასიცისტური არქიტექტურა

სუფთა კლასიცისტური არქიტექტურა დიამეტრალურად განსხვავდება ბაროკალური ხუროთმოძღვრებისგან. კლასიცისტი არქიტექტორისთვის იდეალია მკაფიო გეომეტრიული ფორმები, ნათელი ლოგიკური დანაწევრება, მკაცრი ხაზები, მასათა ცხადი არქიტექტონიკა. არა მხოლოდ უხვად იყენებდნენ ცალკეულ ანტიკურ არქიტექტურულ მოტივებს, რომლებიც პროპორციებითა და ფორმით ძლიერ წააგავს პირველწყაროს, არამედ ახდენდნენ ანტიკური ხელოვნების საფუძვლად არსებულ კანონზომიერებათა გააზრებასა და ათვისებას. კლასიციზმის წამყვან თემად იქცა ანტიკური ორდერი. აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნეში სუფთა სახით კლასი-

*ვერსალის სასახლის ფასადი (ფრაგმენტი)*

ცისტური არქიტექტურა თითქმის არ არსებობს. კლასიციზმის იდეა სრული სახით არქიტექტურაში მხოლოდ XVIII საუკუნეში გაიშალა, საუკუნით ადრე კი ის უშუალოდ ბაროკოსთან იყო დაკავშირებული და მასთან უცნაურ სიმბიოზს ქმნიდა.

მართლაც, **ლევოსა** და **მანსარის** არქიტექტურა, რომლის ნიმუშია ვერსალის სასახლეთა კომპლექსი პარიზის მახლობლად, შორსაა მკაცრი გეომეტრიზმისაგან. არსად არ მიმართავენ ანტიკური მოტივების პირდაპირ კოპირებას. კომპოზიციები უფრო თავისუფალია, არქიტექტურული ფორმები — რბილი და პლასტიკური, ინტერიერიც, თავისი სიმდიდრით, ფუფუნებით, დეკორატიული სამკაულების სიუხვით ბაროკალურ დარბაზებს გვაგონებს.

## ბაროკო და კლასიციზმი

ამ ორი განსხვავებული სტილური სისტემის, — ბაროკოსა და კლასიციზმის — ელემენტთა ორგანული შერწყმა გარკვეულმა მიზეზებმა განაპირობა. პირველ რიგში კი სოციალურმა ფაქტორებმა. აბსოლუტიზმის იდეოლოგიის პლასტიკურ ხელოვნებებში მტკიცე დამკვიდრებისათვის კლასიციზმი არასაკმარისად მოქნილი აღმოჩნდა. სწორედ ავტორიტარული რეპრეზენტაციული ნაწარმოების შექმნა შესაძლებელი გახდა ბაროკალური ინვენტარისა და მხატვრული მეთოდების დასესხების გზით.

ფრანგული კლასიციზმის დოქტრინის ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური მოვლენების უშუალო გამოძახილია. საინტერესოა, რომ პუსენის ხელოვნება აყვავდა რომში. მისმა სახელოსნომ აქ ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღა. თუმცა კარდინალ **რიშელიეს** მცდელობით პუსენი პარიზში დაბრუნდა, მაგრამ მისი მუშაობა საფრანგეთის სამეფო კარზე ძალზე ხანმოკლე და უნაყოფო აღმოჩნდა. სოციალური რეპრეზენტაციის სპეციფიკური ამოცანების ადეკვატური გადაწყვეტა

*კლოდ ლორენი – ნავსადგური მზის ჩასვლისას*

პუსენმა კი არა, **ლებრენმა** მოახერხა სწორედ კლასიციზმზე უარის თქმითა და ბაროკოს პოზიციების დაკავებით.

ლორენისა და პუსენის ნამუშევრები არაა გათვლილი კოლექტიური აღქმისათვის. დაზგურობის პრინციპი, ბაროკოსთან შედარებით, მათში მეტადაა შენარჩუნებული. მხატვრულ ანსამბლშიაც ინარჩუნებს ავტონომიურობას ხელოვნების სხვა დარგებთან მიმართებაში. ეს სურათები თავიანთი არამსხვილი ფორმატით გათვალისწინებულია ხანგრძლივი ჭვრეტისათვის და არა პირველადი წმიერი ეფექტისთვის. ისინი მნახველისაგან შინაგან კონცენტრირებასა და მობილიზებას მოითხოვს.

*გასპარ დიუგე – პეიზაჟი წმიდა ავგუსტინეთი და ყოვლადწმიდა სამების გამოსახულებით*

## დასასრული

XVIII საუკუნეში მოხდა კლასიციზმის ტრანსფორმირება აკადემიურ დოქტრინად. ამის საფრთხეს ყოველთვის ქმნიდა კლასიციზმის ზედმეტად რაციონალური ბუნება. XVIII საუკუნეში ეს მიმდინარეობა, იქნება ეს კონსერვატიული ფრთა, თუ **ლუი დავიდის** რევოლუციური იდეებით განმსჭვალული მხატვრობა, უფრო ხელოვნურია. სამყაროსადმი მხატვრის უნივერსალური მიდგომა, სინამდვილის მთლიანი აღქმა დაიკარგა. ახლა წინა პლანზე იწევს საზოგადოებრივი დოქტრინა. ხელოვნება უფრო სამოქალაქო თვითშეგნების ნიშანს ატარებს, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ცივი და აბსტრაქტულია. კლასიცისტური მხატვრული კანონები ნაკლებად ნიჭიერ მხატვართათვის ხელმისაწვდომ შაბლონებად იქცა.

**ავტორები: ნოდარ ლადარია, ლეილა ბეზარაშვილი**

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(93) 202767

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფასი: 18000$. ტელ: 98-40-41.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა გადაკეთებული 3-ად. ტ.: 30-83-45.

იყიდება 1-ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას IV კვარტალში. ტელ: 30-83-45.

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებთ თანხების სესხება-გასესხებაში ბინის მყარი გარანტიით. დაგეხმარებით საბუთების შეგროვებაში. ტელ: 23-70-91; 96-66-27; 893 30-32-82.

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## კომერციული ფართი

იყიდება 350 კვ.მ ფართობი სუპერ-რემონტით. 4-გასასვლელი კარებით, II სართულზე. რუსთაველის მეტროსთან, გამზირზე. 22-26-26.

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე 27 000-ად. 77 19 40, 92 24 64 ტარიელი

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).

ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

## სწავლება

**შეგასწავლით!**

კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.

ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

პოლიკლინიკის დირექტორ ლომთათიძესთან მოწვეული მაღალკვალიფიციური ექიმები მკურნალობენ: იშიალგიას, რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, ნერვის ანთებას, სახსრების დაავადებას, უნებლიე შარდვას, ტროპიკულ წყლულს, წითელ ქარს, ძვალსისხლძარღვთა დაავადებებს, ხერხემლის გამრუდებას, ბუასილს, ბუდობრივ ცვენას, ფსორიაზს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაბრუნებას, თამბაქოს გადაჩვევას, მეჭეჭების მოშორება უმტკივნეულოდ, დიაგნოსტიკა 30 ლარი. დავით აღმაშენებლის 113 ლომთათიძე. ლიც: N04/34-120. 95-74-29. სამსხ.

სამუშაო ინტერნეტში! ჩვენი დაბანდება, თქვენი შემოსავალი. გამდიდრდით ჩვენთან ერთად. ტელ: 57-79-58, (19-22 სთ).

ლომთათიძე მკურნალობს: მეჭეჭების პაპილომების, ხორცმეტების მოშორება უმტკივნეულოდ. კანის სხვადასხვა დაავადებებს. თმის ცვენას. მკურნალობის კურსი5-10 დღიანია.

აღმაშენებლის 113. კაბ. 17. იკითხეთ ლომთათიძე.

მშობელთა საყურადღებოდ, ვმკურნალობთ: უნებლიე შარდვა, სქოლიოზი, აგრეთვე წონაში დაკლება, ყურებში შუილი, ოსტეოქონდროზი, საჯდომი ნერვის ანთება. აღმაშენებლის 113. კაბ. 17. ლომთათიძე. 95-74-29. სამსხ.

გვესაჭიროება ავეჯის ხელოსანი. ხე და ლამინატი. 22-57-77, 2513-46.

ლომთათიძე მკურნალობს ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, წითელ ქარს, თმის ცვენას, სებორეას, ბუასილს, ფრჩხილების ჩაბრუნებას, ტროპიკულ წყლულს, ფეხების ოფლიანობას, თირკმელებს, პროსტატიტს, მარილების დაგროვებას, ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს, პირში უსიამოვნო სუნს, მუცლის ღრუში დაგროვილ სითხეს, ჩინური ნემსებით გახდომას, ყურებში შუილს. მკურნალობის კურსი 10 დღიანია.

აღმაშენებლის 113. კაბ. 17. ლომთათიძე. 95-74-29. სამსხ.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებთ თანხების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება-დაგირავებაში.ბინის მყარი გარანტიით. დაგეხმარებით საბუთების შეგროვებაში. დაბალი საპროცენტო ანაზღაურებით. ტელ: 23-70-91; 96-66-27; 893 30-32-82.

ჰომეოპათი-ნევროპათოლოგი მკურნალობს ნევროზს, შიშს, შაკიკს. თევდორე მღვდლის 11. საგზაო პოლიკლინიკა, 23-ე კაბინეტი. 13.00-15.00. 39 47 28

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა.

ვიწვევ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. ტელ: 899 288393

მოვამზადებ ინგლისურ ენაში ყველა ასაკის მსურველს. 8(99) 25 58 20 თამუნა

მოვამზადებ ფრანგულ ენაში ყველა ასაკის მსურველს. 8(99) 25 58 20 ნინო

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.

ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.

ტელ: 95-39-97

მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

**სადილი ყველას!**

შაბათს, 7 დეკემბერს "კათარზისში" კვლავ ღია კარის დღეა, ანუ ნებისმიერ მსურველს შეუძლია 12-დან 17 საათამდე მოვიდეს სათნოების სახლში და აქ, ადგილზე მიირთვას ცხელი გემრიელი სადილი.

დარეკეთ 11-დან 17-საათამდე 95-16-46.
დავით აღმაშენებლის 121.

24 საათის რედაქცია
ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ
ტრაგიკულად დაიღუპა

**ჟურნალისტი ეკა გაძაღუა**

და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს.

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი
სერგეი რახმანინოვი "ალეკო"
ყუზეპე ვერდი "რიგოლეტო" (IV აქტი)
დას: 19:00 სთ

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**მარჯანიშვილის თეატრი**
"სასიყვარულო ბარათები", რეჟ: თემურ ჩხეიძე, მთავარ როლებში: გია ბურჭანაძე, ნანი ჩიქვინიძე (სპექტაკლი გაიმართება სარეპეტიციო დარბაზში)
დას: 18:00 სთ; ფასი 3-6 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
საჩხერის თეატრის სპექტაკლი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
გაბრიელ გარსია მარკესის "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე; მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი
დას: 17 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**TMS**
ქეთი იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ძარვასლა„**
გიორგი მასხარაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
ანტონ ბალანჩივაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
გოგა ჯაფარიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**გალერეა „ჰობი„**
"ტროპიზმი-4", ბესო ქართველიშვილის, ლაშა წიწიკაშვილისა და გიგა ხუტაშურის ნამუშევრების გამოფენა
ქართველ მხატვართა ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

**გალერეა „ვერნისაჟი„**
საიუბილეო გამოფენა "ვერნისაჟი 5 წლისაა"

**გალერეა „უნივერსი„**
"პალერმოს გამოფენა 15 წლის შემდეგ", ფარჯიანი, მატაბელი, ბუღაძე, ჭოლოშვილი

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"წითელი ურჩხული", რეჟ. ბრედ რატნერი
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ, ფასი 5-8 ლარი
"მობრძანდით კოლინვუდში", პროდიუსერები: სტივენ სოდერბერგი, ჯორჯ კლუნი; რეჟ. ჯოზეფ რუსო
დას: 16:00 სთ; 18:00 ფასი 5,6 ლარი

**„რუსთაველი„**
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ
დას: 17:00; 21:30 სთ. ფასი 5,7 ლარი

**„ელისო„**
"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ
დას: 15:00; 19:00 სთ, ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"გაქცევა ელისეის მინდვრებიდან"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

## TV პროგრამა 5 დეკემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერაკლე
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი "ბიჭები არ ტირიან"
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 დრო და ფული
10.00 მხ. ფილმი "სამიზნე"
11.30 დოკ. სერიალი "აფრიკის გუნებრივი დიდებულება"
12.00, 15.00, 20.00 მოამგე
12.10 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ინგლისური ენის გაკვეთილი"
14.35 დოკ. სერიალი "პალიტრა"
15.15 მხ. ფილმი "ჰოკროვის კარიბჭე" 1-ლი სერია
16.20 დოკ. ფილმი
16.55 ტელესერიალი "ძილის წინ"
17.10 რამპა
17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (ჩრდილოეთ კაროლინა)
17.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორგიტაზე"
18.00 ვესტნიკი
18.20 გასტრ-ბუბუ
18.40 "ჯანმრთელობა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.10 "საქართველო არის ესე"
22.35 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ირგვლივ"
23.00 "დღის გოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "გავშვებისათვის 16 წლამდე"
01.35 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

08.00 "ტროლლა"
10.00 "ინფორმატორი" განმეორებით
11.00 "მუს. ათეული" განმეორებით
11.45 - 13.45 პაუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 "კომედია" მხ.ფ. "გულთამპყრობელები"
19.00 "ინფორმატორი" განმეორებით
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 მუს. ათელი მიქსი
21.45 ჩაძირობანა
22.45 საუკეთესო პატარა დიდები
23.00 სველი ხაზი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ციგანი". მთ. როლებში ლეტიცია კასტა, ხოაკინ კორტესი
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "კრაზანის გუდე".
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამგე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ცხრანახევარი კვირა"

### ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20, 20.00 მსოფლიო სპორტი
12.25, 21.00 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 "იდენ-ტვ"
23.00 ფსიქო-პორტრეტი
00.00 მხ.ფ. "საკუთარი წვეულება"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "მორიელთა მეფე"
10.20 მხ. ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 გუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "გმადლობთ ფოკოლადისათვის"
22.15 მხ.ფ. "ყველაფერი დედაჩემის შესახებ"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ნიღაბი"
13.30 მხ. ფილმი "9 იარდი"
15.00 მხ. ფილმი "თავში უჭრის"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ტაქსი 2"
19.20 სპეკტრი
21.00 მხ. ფილმი "არმაგედონი"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 11.50, 13.40, 15.35, 16.15, 17.30, 21.20, 21.45, 00.00 მუსიკა
11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი"
12.50 მულტფილმი "სინდბადი"
14.00 მხ. ფილმი "ისტორია ღამღამობით იქმნება"
15.55 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
16.30 დოკ. ფილმი "ველური გუნება"
17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "გენზინი სისხლში"
21.00 მულტფილმი "ოზის კეთილი ჯადოქარი"
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ზიმბაბვის ძველ ნანგრევთა საიდუმლო"
22.00 მხ. ფილმი "გენერალი"
00.15 მხ.ფილმი "სემის ზაფხული"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 3 სერია
10.20 კომედია "ოპერაცია დალმატინელი"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.10 მხატვრული ფილმი "მარტოხელას მართლმსაჯულება"
13.50 სათაგბადასავლო ფილმი "მუშკეტერთა დაბრუნება"
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "მაუგლი"
17.20 ფანტასტიკა "ცისფერი ტორნადო"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 მხატვრული ფილმი "ოცეული"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" 3 სერია
01.10 მხატვრული ფილმი "შანჰაი"
03.30 მელოდრამა "სულელები არა ვართ"
05.15 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.10 მელოდია
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
10.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხგზრთი"
11.30 "სახლიდან გაუსვლელად"
11.55 "გიორითმი" - მადონა
12.15 ანიმაციი
12.35 "სახლიდან გაუსვლელად"
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 "სახლიდან გაუსვლელად"
13.50 სპორტი
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.45 "პაემანი"
20.35 "სახლიდან გაუსვლელად"
21.10 "ღამის კაპრიზი" - თემა: ჩემი შეცდომები
22.15 "სახლიდან გაუსვლელად"
22.50 "კინოკლუბი " - "შენ რაღა გაძვს სათქმელი" 1 სერია.
00.45 "სახლიდან გაუსვლელად"
01.00 "გიორითმი" - მადონა

### 1 OPT

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.15 "Ураза-Байрам". Трансляция из Уфимской соборной мечети
12.05, 16.15, 00.30 "Фабрика звезд"
12.35 Дисней-клуб: "Черный плащ"
13.15 Худ.фильм "ПОЕЗДКА В ИНДИЮ", ч. 1
15.00 Телеканал "Новый день". "Сати"
15.30 Телеканал "Новый день". "Прыжок из космоса"
16.50 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА"
18.00 "Большая стирка"
19.25 "Сами с усами"
21.00 "Слабое звено"
22.00, 01.00 Время
22.40 Сериал "Знатоки". "ПУД ЗОЛОТА"
23.45 Человек и закон
01.20 Телеканал "Новый день". "Русский экстрим"
01.50, 02.50 "Апология"
02.20 Телеканал "Новый день". "Гении и злодеи"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!"
09.45 Праздник Ураза-Байрам. Трансляция из Московской соборной мечети
10.45 "Сам себе режиссер"
11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.10 "Экспертиза"
14.30 "Вся Россия"
14.45, 19.20, 21.40 Вести-Москва
15.20 "Что хочет женщина"
16.20 Худ.фильм "ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!"
18.50 "Дорожный патруль"
19.05 Вести-Спорт
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 "Спокойной ночи, малыши!"
21.55 Худ.фильм "ЖЕНСКАЯ СОБСТВЕННОСТЬ"
00.00 "Вести +"
00.45 Худ.фильм "В СПАЛЬНЕ"
03.05 "Дорожный патруль"

Imagine CENTRE
ეროვნული განვითარების სფეროა და მოდების საერთაშორისო
"იმიჯ-ცენტრი"

ფეხბურთი

# მზადება საახალწლო ვოიაჟისთვის

*გუშინ, გვიან ღამით, ხორვატიიდან დაბრუნდნენ საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი და გუნდის სპორტული დირექტორი გივი ნოდია. როგორც "დინამოს" პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ გვამცნო, შუშაკისა და ნოდიას ვიზიტი ზამთრის არდადეგების დროს "დინამოს" მოსამზადებელი პერიოდის დაგეგმვას უკავშირდება.*

მიხეილ აბაიშვილი

მთავარი მწვრთნელი და სპორტული დირექტორი თბილისიდან 2 დეკემბერს გაემგზავრნენ. ჯერ ბოსნიის ქალაქ შიროკი ბრეგს ესტუმრნენ, რომელიც, სხვათა შორის, ივო შუშაკის მშობლიური ქალაქია. ყოველწლიურად, თებერვალში, შიროკი ბრეგში იმართება საერთაშორისო ოთხთა ტურნირი, რომელშიც წლეულს თბილისის "დინამოც" მიიღებს მონაწილეობას. მის გარდა, აქ იასპარეზებენ მასპინძელი, "შიროკი ბრეგი" და ზაგრების "დინამო". ჯერ დადგენილი არ არის, თუ ვინ იქნება მეოთხე, თუმცა, ცნობილია, რომ კვარტეტს შეავსებს სპლიტის "ჰაიდუკი" ან ავსტრიის "შტურმი", რომელშიც, მოგეხსენებათ, ჩვენი დავით მუჯირი ირიცხება. "შიროკი ბრეგმა", რომელშიც თავის დროზე ივო შუშაკი თამაშობდა, წლეულს უეფა-ს თასის ტურნირში ითამაშა. დანარჩენ გუნდებს ქართველი გულშემატკივრისთვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდებათ.

ტურნირი 5-დან 9 თებერვლამდე გაიმართება. როგორც ლევან სალუქვაძემ გვითხრა, მანამდე "დინამო" ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის კვიპროსზე. შეკრება 14-დან 28 იანვრამდე გასტანს. დაგეგმილია, რომ კუნძულზე ყოფნისას "დინამო" ამხანაგურ სპარინგ-მატჩს გამართავს თემურ ქეცბაიას "ანართოსისთან". ამგვარი თამაში იგეგმება ერთ-ერთ ადგილობრივ გუნდთანაც. მესამე საწვრთნელი შეხვედრა მოსალოდნელია ერთ-ერთ უცხოურ გუნდთან. ასეთები კი იანვარში მრავლად იკრიბებიან კუნძულზე.

შიროკი ბრეგში ტურნირის დასრულების შემდეგ "დინამო" ორად გაიყოფა. ისინი, ვისაც ალექსანდრე ჩივაძე საქართველოსა და ესტონეთის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში მონაწილეობის მისაღებად გამოიძახებს, თბილისისკენ გამოემგზავრებიან, ხოლო დანარჩენები გადაინაცვლებენ ხორვატიაში, "მაკარსკას" საწვრთნელ ბაზაზე, სადაც ერთ დროს საბჭოთა კავშირის ნაკრები ატარებდა საწვრთნელ შეკრებებს. ორი წლის წინ შუშაკი სლოვენიის "მარიბორის" მთავარი მწვრთნელი იყო და მაშინ თავის გუნდს სწორედ "მაკარსკას" ბაზაზე გაატარებინა შეკრება, რითაც, "დინამოს" პრესატაშეს თქმით, კმაყოფილი დარჩენილა. უკვე დაგეგმილია, რომ ხორვატიაში "დინამო" ამხანაგურ საწვრთნელ მატჩს გამართავს ისეთ ძლიერ გუნდთან, როგორიცაა სპლიტის "ჰაიდუკი". საბოლოოდ, შიროკი ბრეგის ტურნირის მატჩების ჩათვლით, "დინამო" ზამთრის არდადეგებზე ათამდე საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. როგორც ირკვევა, ივო შუშაკს და მის გუნდს ესპანეთსა და იტალიაშიც იწვევდნენ, მაგრამ ამ ქვეყნებში გამართულ ტურნირებში, როგორც წესი, მასპინძელი ქვეყნები დუბლშემადგენლობებით ასპარეზობენ, თამაშები იმართება მეორეხარისხოვან სტადიონებზე, ხშირად კი ისეთ მინდვრებზე, რომლებსაც ტრიბუნები საერთოდ არა აქვთ. "ამიტომაც, შუშაკმა ამჯობინა, მონაწილეობა მიიღოს შიროკი ბრეგის ტურნირში, რომელიც ცენტრალურ სტადიონზე იმართება და 12-15 ათას მაყურებელს იზიდავს. ამით "დინამოს" მწვრთნელს სურს, თავის გუნდს საშეჯიბრებო ატმოსფერო შეუქმნას, რის გარეშეც ტურნირი დიდ სარგებლობას ვერ მოგვიტანს", - თქვა "24 საათთან" საუბარში "დინამოს" პრეს-ატაშემ.

გიორგი ბახსოლიანი ფოტო

*ივო შუშაკი "დინამოს" ზამთრის ტურნესთვის ამზადებს*

"დინამო" თავის აღმოსავლეთევროპულ ტურნეს, სავარაუდოდ, 20 თებერვალს დაასრულებს და სამშობლოში დაბრუნდება.

# „იტერამ„ უარი განაცხადა

*თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასი სპონსორის გარეშე დარჩა. გაზის კომპანია "იტერამ" უარი განაცხადა ტურნირის სპონსორობაზე. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ტურნირი საპრიზო ფონდის გარეშე დარჩება, რაც მის ავტორიტეტს ძალზე შელახავს.*

ჰაატა თოთაძე

"იტერა" ბოლო ორი წლის განმავლობაში იყო ტურნირის სპონსორი, შარშან კი, სულაც, მისი გენერალური სპონსორი გახდა. ჯერჯერობით გაურკვეველია, რამ გადააწყვეტინა კომპანიის ხელმძღვანელობას, უარი ეთქვა. რუსეთის ფეხბურთის ფედერაცია ცუდ დღეში ჩავარდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ტურნირის ჩაშლაზეც კი იყო საუბარი, თუმცა, ფედერაციის ხელმძღვანელთა ძალისხმევით გადაწყდა: ტურნირი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო, 18-26 იანვარს გაიმართება.

გადაწყვეტილების რეალურად განხორციელება საეჭვოა, რადგან ფედერაცია ტურნირის ახალი სპონსორის ძიებაშია. გენერალური მდივნის ალექსანდრ ტუკმანოვის თქმით, ჯერჯერობით არ არის ცნობილი მომავალი სპონსორის ვინაობა, მაგრამ ის აუცილებლად უნდა მოიძებნოს. სხვაგვარად ფეხბურთის ფედერაცია ვერ აუვა ტურნირის საორგანიზაციო ხარჯებს.

დაფინანსება კი საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მონაწილე გუნდები იხდიან მხოლოდ მოსკოვამდე მგზავრობის საფასურს, დანარჩენი რუსეთის ფეხბურთის ფედერაციისა და სპონსორის გადასახდელია. მონაწილეები უფასოდ უნდა განათავსონ პრესტიჟულ სასტუმრო "კოსმოსში", საპრიზო ფონდი კი 100 000 დოლარია. წინა წლებში ტურნირის ჩატარება, დაახლოებით, მილიონი დოლარი ჯდებოდა. ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ მომავალში ეს თანხა მესამედით შეიკვეცოს. გამორიცხული არაა, საპრიზო ფონდი საერთოდ გაუქმდეს. ასევე სავარაუდოა, რომ, ფინანსური პრობლემების გამო, ტურნირს ფიფა და უეფა არ დააფასებენ და მათი ხელმძღვანელები, წინა წლების მსგავსად, მოსკოვში არ ჩავლენ.

სპეციალისტთა ვარაუდით, არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც "იტერამ" სპონსორობაზე უარი განაცხადა. პირველი - თავად კომპანიის არამყარი ფინანსური მდგომარეობაა. ადრე "იტერა", ფეხბურთის გარდა, სპორტის სხვა სახეობებშიც დებდა ფულს. მამაკაცთა გუნდი ველოსპორტში მთლიანად გაუქმდა, ქალთა გუნდის დაფინანსება კი, დაახლოებით, პროცენტით შემცირდა. კომპანიამ ასევე უარი თქვა ზოგიერთი საწყლოსნო სახეობის დაფინანსებაზე. მეორე მიზეზი ის არის, რომ ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებს თანამეგობრობის ორი ყველაზე პოპულარული გუნდი – მოსკოვის "სპარტაკი" და კიევის "დინამო". "ლოკომოტივი" და "შახტარი" კი, მათი მიღწევების მიუხედავად, სპონსორებისთვის მიმზიდველნი არ არიან.

***P.S.*** *გუშინ ცნობილი გახდა, რომ თანამეგობრობის თასის ჯგუფურ ეტაპზე ქუთაისის "ტორპედოს" მეტოქეები რუსეთის ჩემპიონი მოსკოვის "ლოკომოტივი," ყირგიზეთისა და ყაზახეთის ჩემპიონები იქნებიან.*

ჩოგბურთი

# იუჟნისთან შეხვედრამ მატიეს ცხოვრება შეცვალა

კახა ფაჩუაშვილი

დევისის თასის ფინალში საფრანგეთისა და რუსეთის ნაკრები გუნდების შეხვედრას 9 მილიონი ფრანგი ადევნებდა თვალყურს. ყველა მათგანი ამომავალი ვარსკვლავის, პოლ-ანრი მატიეს გამარჯვებას ელოდა. ეს ჩოგბურთელმა ძალიან კარგად იცოდა. ამიტომ გადამწყვეტ მატჩში მიხაილ იუჟნისთან წაგებამ უაღრესად დამთრგუნველად იმოქმედა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფრანგული ჩოგბურთის მომავალი გადარჩა.

პოლ-ანრი მატიეს საჩოგბურთო კარიერა არ დასრულებულა. ამაში, ჩოგბურთის მოყვარულთა სასიხარულოდ, დარწმუნებულია თვითონ 20 წლის სპორტსმენი, რომელიც საჩოგბურთო სამყარომ მოსკოვში, კრემლის თასის მოგების შემდეგ გაიცნო. "მე ძველებურად ვოცნებობ, რაც შეიძლება, დავწინაურდე საჩოგბურთო კლასიფიკაციაში. - განაცხადა პოლ-ანრი მატიემ გაზეთ "ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - დიდი მარცხი კი, ისევე როგორც დიდი გამარჯვებები, მხოლოდ უკეთ თამაშს გაიძულებენ".

ამასთან დაკავშირებით მატიემ ისევ "ბერსის" კორტებზე გამართული პირველი დეკემბრის მატჩი გაიხსენა. "იუჟნი წარმოუდგენელი დარტყმების პატრონია. ვიცოდი, რომ ის ნიჭიერია, მაგრამ მან ყველაფერი იცის - მარჯვნიდანაც კარგად თამაშობს და მარცხნიდანაც. მან არ იცის შიში და, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის მსვლელობისას თითქოს დაღლილი ჩანდა, დასკვნითი ეტაპი ძალიან ძლიერად ჩაატარა". პოლ-ანრიმ გაიხსენა 2002 წლის საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მატჩიც, რომელიც, პირველი ორი სეტის მოგების მიუხედავად, ანდრე აგასის დაუთმო.

იმ მატჩმა, მატიეს აზრით, მისი სპორტული კარიერა საფუძვლიანად შეცვალა. "ვფიქრობ, იუჟნისთან შეხვედრასაც ანალოგიური ეფექტი ექნება", - ამბობს ჩოგბურთელი. მატიემ, "როლან გაროს" შემდეგ, კიდევ ორი ტურნირი მოიგო - მოსკოვისა და ლიონის. თუმცა, როგორც ჩანს, ახალგაზრდა ფრანგი უაღრესად თვითკრიტიკულია. მას არ აკმაყოფილებს ლეგენდარულ ჩოგბურთელთა მაგალითი, მათ შორის, "დიდი სლემის" ტურნირების 14-გზის გამარჯვებული, პიტ სამპრასის მაგალითიც, რომლებიც დევისის თასის გათამაშებაში ყოველთვის წარმატებით არ თამაშობდნენ. "მინდა, მათზე უკეთესი ვიყო", - აცხადებს პოლ-ანრი მატიე.

REUTERS

*პოლ-ანრი მატიე*

ქალათბურთი

# წავაგეთ, მაგრამ მაინც გავედით

**ხიმიკი - დინამო 96:86**

გუშინ ოდესაში თბილისის "დინამო" უკრაინის "ხიმიკს" შეხვდა. ეს იყო რეგიონული შესარჩევი ციკლის მატჩი, რომელსაც ჯგუფში პირველი ადგილის მფლობელის ვინაობა უნდა დაესახელებინა. პირველობა იმით ფასობდა, რომ ჯგუფის გამარჯვებულს მომდევნო ეტაპზე შედარებით სუსტ მეტოქესთან ექნებოდა საქმე. ამ მიზნის მისაღწევად ლევან მოსეშვილის შეგირდებს 6 ქულის სხვაობით გამარჯვება მართებდათ, მაგრამ ეს ამოცანა ჩვენი გუნდისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა.

პირველი პერიოდი ქართველი კალათბურთელების უპირატესობით წარიმართა და "დინამომ" ერთი ქულის სხვაობით მოიგო. კარგად ითამაშეს თორთლაძემ, ოგანესიანმა და ჯაფარიძემ. შემდგომში კი ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ და თამაში საბოლოო გამარჯვებამდეც მიიყვანეს. 13 დეკემბერს "დინამო" ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩს ბაქოს "ნტდ დევონთან" გამართავს. ეს მატჩი უფრო ფორმალური ხასიათის იქნება, ვინაიდან მომდევნო ეტაპზე გამსვლელთა ვინაობა უკვე ცნობილია. ეს პატივი "ხიმიკმა" და "დინამომ" მოიპოვეს.

მეორე ეტაპზე თითო კონფერენციიდან (სულ სამი კონფერენციაა) 8 საუკეთესო გუნდი პლეი-ოფის სისტემით ოთხ საგზურს გაითამაშებს. საუკეთესო ოთხეული კი შექმნის რეგიონულ ჯგუფს, რომელიც უკვე ულების თასის ერთი საგზურისთვის იბრძოლებს.

## მოკლედ

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსიმ" პირველი დივიზიონის ბინადარ "ვულვერჰემპტონს" იჯარის წესით ფორვარდი კარლტონ კოული უბოძა. 19 წლის ფორვარდი "მგლების" შემადგენლობაში სამი თვის განმავლობაში ითამაშებს. "ვულვერჰემპტონის" მთავარი მწვრთნელი დეივ ჯონსი მიიჩნევს, რომ კოული მის გუნდს პრემიერლიგაში აღზევებაში არსებითად დაეხმარება. თავის მხრივ, "არისტოკრატთა" თავმჯდომარემ მმართველობის დარგში კენ ბეიტსმა განაცხადა: "კარლტონი უაღრესად ნიჭიერი ფორვარდია და "ჩელსი" მასზე იმედებს ამყარებს. კოულის შეძენის მოთხოვნით რამდენიმე კლუბი დაგვიკავშირდა, მაგრამ ყველამ უარი მიიღო. თუმცა, ამჟამად კოული ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა კი, არა მგონია, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს. ამიტომ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კოული უახლოეს სამ თვეს "მგლების" შემადგენლობაში გაატარებს. ვფიქრობ, პირველ დივიზიონში სტაჟირება მას გამოადგება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს ფრანგ ფილიპ ტრუსიეს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტი შესთავაზა. ტრუსიეს სიტყვებს, რომ ირლანდიელთაგან წინადადება, მართლაც, მიიღო, ბრიტანელებმა "ფანტაზიის თამაში" უწოდეს. ასოციაციის პრეს-ატაშეს ბრენდან მაკენას თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მხოლოდ კომისიის ფორმირება, რომელიც ახალი მწვრთნელის შერჩევაზე იმუშავებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუშინ "ლივერპულმა" განაცხადა, რომ გუნდის ჩეხი ნახევარმცველი პატრიკ ბერგერი მინდორზე სამი თვე არ გამოჩნდება. ფეხბურთელი კვლავ მუხლმა შეაწუხა. ამჟამად იგი აშშ-ში, გამოკვლევაზე იმყოფება. ამასთან, მერსისაიდელებმა განაცხადეს, რომ ჟერარ ულიეს განუზრახავს, პოლონელი ირჟი დუდეკის ნაცვლად, კარი კრის კერკლანდს ანდოს. ეს გადაწყვეტილება ფრანგმა "მანჩესტერ იუნაიტედთან" პრემიერლიგის მატჩში დუდეკის მიერ დაშვებული უხეში შეცდომის გამო მიიღო.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ნიუ-ჯერსი ნეთსის" ცენტრი დიკემბე მუტომბო, ტრავმის გამო, კალათბურთს ორი თვით გამოეთიშა. ეს ტრავმა მუტომბომ "ლოს-ანჯელოს კლიპერსთან" მატჩის დროს, ერიკ პიატკოვსკისგან დარტყმის შედეგად მიიღო. "მუტომბო ძალიან წუხს, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ხელების ჩამოშვებას და მის დაბრუნებამდე შევეცდებით, არ შევრცხვეთ", - განაცხადა მუტომბოს თანაგუნდელმა ჯეისონ კიდმა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ტრავმებით დასუსტებულმა საკრამენტოელმა "მეფეებმა" კონტრაქტი გაუფორმეს შემტევ მცველ ჯიმ ჯექსონს და, იმავდროულად, საავადმყოფოში მოათავსეს თურქი ფორვარდი ხედო თურქოღლუ. ჯიმ ჯექსონისთვის, რომელმაც NBA-ში თავისი მეთერთმეტე სეზონი დაიწყო, "საკრამენტო" მეცხრე გუნდია. შარშანდელი სეზონი ამ უაღრესად ნიჭირმა კალათბურთელმა "მაიამი ჰიტის" რიგებში გაატარა და მატჩში, საშუალოდ, 10,7 ქულას აგროვებდა. "მეფეების" ტრავმირებულთა სია საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება: პეჟა სტოიაკოვიჩი, მაიკ ბიბი, სკოტ პოლარდი, მეტინ კლივზი და თურქოღლუ. ამჟამად კლუბში მხოლოდ 8 ჯანმრთელი კალათბურთელია. თუმცა, ეს გარემოება "საკრამენტოს" გამარჯვებაში ხელს არ უშლის. ბოლო რვა შეხვედრიდან რიკ ადელმანის შეგირდებმა შვიდი მოიგეს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** Jaguar Racing-ის ექს-ხელმძღვანელმა ნიკი ლაუდამ, რომელიც წინა კვირაში თანამდებობიდან გაათავისუფლეს, განაცხადა, რომ სურს, თავის ყოფილ კოლექტივში კონსულტანტის რანგში დარჩეს. ეს ახალი როლი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს შესთავაზა რიჩარდ პერი-ჯონსმა, თუმცა, სწორედ ის იყო ლაუდას გათავისუფლების ინიციატორი. "თუ ყველაფერი კარგად აეწყობა და მე საკუთარი შეხედულებების წინააღმდეგ წავალ, მაშინ თანამშრომლობას შევძლებთ", - თქვა ლაუდამ. 53 წლის ავსტრიელი გუნდს საათავეში ჩაუდგა 2001 წლის აგვისტოდან, მაგრამ შარშანდელ სეზონში Jaguar Racing-ი იმავე დონეზე დარჩა. კონსტრუქტორთა შეჯიბრებაში გუნდმა მე-7 ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მონაწილეთა განაცხადში ამერიკელი პიტ სამპრასის გვარიც შეიტანეს, მაგრამ ჩოგბურთელისგან არავითარი შეტყობინება არ მიულიათ. სამპრასი კორტზე სექტემბრის შემდეგ აღარ გამოჩენილა, როცა მან ამერიკის ღია ჩემპიონატი მოიგო. მაშინ ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა მიანიშნა, რომ შეიძლება სპორტულ კარიერას წერტილი დაუსვას. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ სამპრასი მონაწილეობას მიიღებს ტურნირში, მაგრამ თავად ჩოგბურთელის გეგმებზე წარმოდგენა არა აქვთ და ეს პრობლემებს ქმნის. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის წესების მიხედვით, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის განაცხადში ავტომატურად შეჰყავთ პირველი ასეულის ჩოგბურთელები. შემდეგ კი ისინი უარყოფენ ან ადასტურებენ ტურნირში თავის მონაწილეობას. ჯერჯერობით თამაშზე უარი განაცხადა მხოლოდ ამერიკელმა ტოდ მარტინმა, რომელსაც 1994 წელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალი სწორედ პიტ სამპრასმა მოუგო.

■ ■ ■

**კრივი.** 7 დეკემბერს ლას-ვეგასში გაიმართება ორთაბრძოლა ჯამილ მიკლაინსა და ვლადიმირ კლიჩკოს შორის. უკრაინელი მძიმეწონოსანი მოკრივე მეტოქეზე პატივისცემით საუბრობს, მაგრამ, ამავე დროს, აცხადებს, რომ თავის გამარჯვებაში აბსოლუტურად დარწმუნებულია. "ჯამილი უაღრესად კარგი მოკრივეა, - ძმები კლიჩკოების ოფიციალურ საიტზე განაცხადა კლიჩკო-უმცროსმა, - ერთ დროს ის ძალიან მნიშვნელოვანი სპარინგ-პარტნიორი იყო. ორთაბრძოლებისთვის ამზადებდა ლუისს, ტუას, მერსერს. თუ მაიკლ გრანტზე მისი გამარჯვება, რომელმაც აღაზევა კიდეც მოკრივე, შემთხვევითობად აღიქვეს, ლანს ვიტაკერისა და შენონ ბრიგსის დამარცხება უკვე კანონზომიერი იყო. ჯამილი ფიზიკურად ძლიერია, მოძრავია, ორივე ხელით ძლიერ დარტყმას ფლობს. მასთან შეხვედრა ლას-ვეგასში იოლი არ იქნება. რა თქმა უნდა, როგორც ყველასთვის, ჩემთვისაც ნოკაუტით გამარჯვება სასურველია. ასეთი გამარჯვება არავისში ეჭვს არ იწვევს - არც მაყურებლებში და არც მსაჯთა კორპუსში, მაგრამ მე მზად ვარ მოვლენების ნებისმიერი განვითარებისთვის. მხოლოდ ერთს ვიტყვი: როგორც უნდა მოვიგო, ვეცდები, ეს ისე გავაკეთო, რომ ჩემი გამარჯვება ეჭვის საბაბი არ გახდეს".

საწყლოსნო სპორტი

# „უსახელო„ საქართველომ წყალში ისახელა თავი

*საქართველოში ლამის ეგზოტიკად ქცეულმა საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლებმა ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზეს. მოზარდმა სპორტსმენებმა რამდენიმე დღის წინათ დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზე მედლები მოიპოვეს. ამ წარმატებაში უჩვეულო, ალბათ, ის არის, რომ მათ ჩვენზე ბევრად დალხენილი და მოწინავე ქვეყნის წარმომადგენლები შეავიწროეს. საქართველოდან სტრასბურგში წარგზავნილმა შვიდივე სპორტსმენმა კვარცხლბეკის სხვადასხვა საფეხური დაიკავა. მეტიც – მათ, გუნდურ პირველობასთან ერთად, მისთვის დაწესებული თასიც დაისაკუთრეს.*

გიგა გურასაშვილი

30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს სტრასბურგმა უმასპინძლა ევროსაბჭოს ეგიდით მოწყობილ უმაღლესი A კატეგორიის მე-7 ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს. არაოფიციალურ ევროპის ჩემპიონატზე, როგორც მას უწოდებენ, 17 ქვეყნის 30 კლუბთან ერთად, ქართველი წყალში მხტომელებიც გამოდიოდნენ. თბილისის მერიასთან არსებული სპორტის საწყლოსნო სახეობათა ოლიმპიური რეზერვების სკოლა და დიღმის ოლიმპიური მზადების ცენტრი სტრასბურგში შვიდი გოგო-ბიჭით იყვნენ წარმოდგენილნი. ქართველი წყალში მხტომელები თანასწორად ეპაექრნენ 800 თანატოლს და არაერთხელ დაჯაბნეს კიდეც. თუმცა, როგორც საქართველოს იუნიორთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ბართაიამ "ლაგუნა ვერეს" ბაზაზე გვითხრა, უცხოელი მსაჯების (და არა მარტო მათი) მხრიდან, ხშირი იყო სპორტის ამ სახეობაში "უსახელო" საქართველოს წარგზავნილთა დაჩაგვრის მცდელობა. თუ რა გამოვიდა აქედან, ეს მედლების რაოდენობიდანაც ჩანს. მთლიანობაში, ჩვენმა გოგო-ბიჭებმა, 17 სხვადასხვა, კერძოდ, რვა "ოქრო", სამი "ვერცხლი" და ექვსი "ბრინჯაო" დაისაკუთრეს.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების დაწყებიდან ექვსი საათის შემდეგ მათ უკვე 12 მედალი ჰქონდათ აღებული. საქართველოს გუნდის ყველაზე პატარა წევრი, ჯესიკა მელიქოვა, 10 წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის 1 და 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში ჩემპიონი გახდა. საინტერესოდ წარიმართა 12 წლამდე გოგონებს შორის 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომების ფინალი. პირველ- მეორე ადგილისთვის ორი ქართველი - სოფიკო ხუციშვილი და ნინო ყვავაძე იბრძოდა. მათ, შესაბამისად, "ოქრო" და "ვერცხლი" დაისაკუთრეს. ხუციშვილმა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაშიც გამოიჩინა თავი - მესამე ადგილზე გავიდა. ასევე მესამე ადგილი დაიკავა გერმანიისა და ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულმა ყვავაძემაც, ოღონდ 5-მეტრიან კოშკურაზე. 14 წლამდელთა შორის 12 წლის სალომე ჯუღელმა 1 და 3-მეტრიანი ტრამპლინებიდან და 5-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში მესამე ადგილები დაიკავა.

სხვათა შორის, თანაგუნდელებისგან განსხვავებით, რომლებიც მშობლების ხარჯით გაემგზავრნენ შეჯიბრებაზე, ჯუღელი ერთადერთია, რომლის სტრასბურგში გამგზავრებისა და დაბინავების ხარჯები ოლიმპიური მზადების ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი უდესიანმა იკისრა. რაც შეეხება ბიჭებს, მათ შორის ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია გუნდის კაპიტანმა ჭოლა ჭანტურიამ. 14 წლამდელთა შორის ჭანტურია ჩემპიონი გახდა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან და 5-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში. და მაინც, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სინქრონულ ხტომებში ჭანტურიასა და მისი მეწყვილის გიორგი გეორქიანის მიერ დაკავებული მეორე ადგილია. საქმე ის არის, რომ საქართველოში ორი ერთი და იგივე სიმაღლის პარალელური ტრამპლინი არ არსებობს. ასე რომ, არა გვაქვს სინქრონული ხტომების სკოლა. მათ კი, როგორც ბართაიამ გვითხრა, ჩემპიონატამდე სამი დღით ადრე, იქვე, სტრასბურგში წაივარჯიშეს. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჭანტურიასა და გეორქიანის ტანდემმა ეგრეთ წოდებულ ღია კლასში დაიკავა მეორე ადგილი. ღია კლასში კი, როგორც წესი, ასაკი შეუზღუდავია და ამაში ჩემპიონთა ასაკმაც დაგვარწმუნა - გამარჯვება იზეიმეს 25 წლის პოლონელმა ტყუპებმა. გეორქიანი 3-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობაშიც გახდა პრიზიორი - მესამე ადგილი დაიკავა. წარმატებით გამოვიდა შოთა კორახაშვილიც. მან გაიმარჯვა 12 წლამდელთა შორის 1 და 3-მეტრიანი ტრამპლინებიდან და 5-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში, რითაც თანაგუნდელებს ხელი შეუწყო გუნდური პირველი ადგილისთვის დაწესებული თასის დასაკუთრებაში. მეორე გუნდური ადგილი დაიკავა გერმანიის კლუბმა "მაინცმა".

გიორგი ბახსოლიანი ფოტო

*სტრასბურგის ტურნირის ტრიუმფატორები*

J 1 რუსიკო ალაგიკელი ასაკი-16, 192/91/62/92, თბილისი - თბილისი, თმა - შავი

J 2 სოფიკო კვირაძე ასაკი-13, 172/81/63/90, თბილი - ლისფერი, თმა - ნაბლისა

J 3 გვანცა ფოფხაძე ასაკი-15, 177/84/64/91, თბილი - ყავისა, თმა - ნაბლისა

J 4 ნინო ოსაძე ასაკი-17, 177/91/68/93, თბილი - ბაბისფერი, თმა - ნაბლისა

J 5 ბელა ძაბანი ასაკი-17, 178/91/68/93, თბილი - თბილისი, თმა - ღია ნაბლისა

J 6 თამა ქართველიშვილი ასაკი-16, 178/89/61/90, თბილი - ბაბისფერი, თმა - ნაბლისა

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი

საქართველოში პირველი საკონსულტაციო ფირმა კადრების მენეჯმენტში ორგანიზაციებს სთავაზობს პრაქტიკული მოგზასურეობის შემდეგ პაკეტებს:

ორგანიზაციულ-ფსიქოლოგიური კვლევა – ორგანიზაციაში კადრების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა,პერსონალის მოტივირების და მრომითი კმაყოფილების ზრდის პროგრამების შემუშავება,პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სხვა რეკომენდაციები.

სამუშაოს აღწერაანალიზი – თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება; სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის დებულებების შემუშავება.

პერსონალის შერჩევა - ორგანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად კადრების მოძიება და შერჩევა.

ატესტაცია, შეფასება - ატესტაციისათვის პროფესიული ტესტების დამუშავება; შესრულებული სამუშაოს პერიოდული შეფასებისათვის მეთოდების მომზადება.

ტრენინგი და განვითარება – ეფექტური მუშაობის ტრენინგი; კომუნიკაციური ტრენინგი; მომხმარებელთან მუშაობის ტრენინგი; ხელმძღვანელი და ტრენინგები ადამიანური რესურსის მენეჯმენტში

საპაჟრო სამსახურის რეორგანიზაცია - საკადრო სამსახურის ჩამოყალიბება (სამსახურის დებულებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება); ორგანიზაციაში კადრების შერჩევისა და დაკომპლექტების,ატესტაციის, ორგანიზაციული კვლევისა და. კადრების მართვისათვის აუცილებელი სხვა მეთოდების სწავლება.

მარკეტინგული კვლევები და მოხმარებელთა მოსაზრებების შესწავლა – თვისებრივი (ფოკუს-ჯგუფები,ინტერვიუ და სხვ) და რაოდენობრივი კვლევები;

მისამართი: თბილისი 380079, მელიქიშვილის 12; სასტუმრო "საქართველო" V სართული, ტელ: (995-32) 22-13-32 ფაქსი: (95-32) 22-13-23 ელ. ფოსტა: pmc@mmc.ge

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამერიკა-კავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმოგრაფიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნანიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფილიალი შვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52


## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

[illegible] "[illegible]" [illegible] "[illegible]" [illegible] (3) [illegible]